



საბუნების
პროტექციის



საბუნების
პროტექციის



GEORGIAN POLITICS



საბუნების
პროტექციის



საბუნების
პროტექციის

2
2014

პოლიტიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



**გამომცემელი: შიული შარტავას სახელობის ახალგაზრდა
პოლიტიკოსთა სკოლა**

E ISSN 1987-8605

ქართული პოლიტიკა

სამეცნიერო ჟურნალი

**სერია: საგარეო პოლიტიკის აქტუალური
პრობლემები**

წელიწადული



თბილისი
2014 წელი

მთავარი სარედაქციო საბჭო

- როინ მებრევილი** – პოლიტიკის აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, **თავმჯდომარე**
- დავან ალაშინია** – პოლიტიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი
- ლავით ბაქრაძე** – საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი
- ნინო გურჯაანია** – პოლიტიკური პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ თავმჯდომარე
- გუგაზ სანიქია** – საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე
- არჩილ ფრანგიფილი** – პოლიტიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი
- თაღო ჯაფარიძე** – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე
- ზურაბ ჯიბლაძე** – ჟურნალის მთავარი რედაქტორი, მთავარი სარედაქციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი

მრჩეველთა ჯგუფი სახელმწიფოს მართვის საკითხებზე

გოგი თოფაძე (თავმჯდომარე), ნოდარ ჭითანავა, შინღა უკრაინიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ირაკლი მენაღარიძე, დავით იაკობია

სარედაქციო კოლეგია

- იხა აბდულაჰი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (**რუსეთის ფედერაცია, დაღესტანი**)
- ზაზა ალაშინია** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- რევაზ არქვალაძე** – საქართველოს ენერგეტიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
- ფრიდრიხ გლაზუნ** – ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი, თსუ-ს საპატიო დოქტორი (**ავსტრიის რესპუბლიკა**)
- იხსნაქ დავიდი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, საქართველოს საპატიო მოქალაქე (**ამერიკის შეერთებული შტატები**)
- სტეფანე ვორჟელი** – ჰავაის უნივერსიტეტის პროფესორი (**ამერიკის შეერთებული შტატები**)
- გურამ თევზაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- ჰეინ თიითი** – მონრეალის და ჯენას უნივერსიტეტის პროფესორი (**კანადა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა**)
- ქანტა ივანოვიჩი** – ჩეჩნეთის რესპუბლიკის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, აკადემიკოსი (**რუსეთის ფედერაცია, ჩეჩნეთი**)
- ელდარ ისაილოვი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (**აზერბაიჯანის რესპუბლიკა**)
- აითანდილ კორახაშვილი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- ნილ მაჟარაიანი** – ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (**დიდი ბრიტანეთი**)
- პირობაჰა მამად** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (იაპონია)
- ლიანა მელიქიძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
- ელვაზა მამარიანი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- საიდ მულიანი** – ფრეილუნშპრის უნივერსიტეტის პროფესორი (**ირანის სილამური რესპუბლიკა**)
- ვლადიმერ პაპაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- ჯონანა რაგულსკა** – რათერსის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (**პოლონეთის რესპუბლიკა**)
- ჯარი სიმასონი** – მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორი (**ავსტრალიის თანამეგობრობა**)
- აითანდილ სილაგაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- ბარნარ უბი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, აკადემიკოსი (**საფრანგეთის რესპუბლიკა**)
- დავით შოლაია** – ვარშავის უნივერსიტეტის დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (**პოლონეთის რესპუბლიკა**)
- რამი არაბაძე** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
- ლაო ჩიჰაჰა** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
- ჯონი სუსურიანი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- რამაზ ხაროძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
- მუჟა ანანი (ჯაფარიძე)** – მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
- სტივენ ჯონსი** – მაუნტ კოლიოკის კოლეჯის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (**ამერიკის შეერთებული შტატები**)

მისაღება

როინ მატრაველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი „პოლიტიკის აკადემიის“ პრეზიდენტი 4

რედაქტორის სვები

ლევან ალექსიძე

პოლიტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი 5

ოფისიალური მოხსენებები

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველო და ევროკავშირი: ვილნიუსიდან რიგამდე – პრიორიტეტები და გამოწვევები. 6

სამეცნიერო სტატიები

მანია ფანჯიკიძე

საქართველოს ევროპული არჩევანი: დასავლური საგარეო პოლიტიკა და მშვიდობიანი განვითარება 13

ალექსი პეტრიაშვილი

საქართველოს საგარეო პოლიტიკის არჩევანი: სვლა დასავლეთისაკენ 22

თედო ჯაფარიძე

საქართველოს ჰყავს მეგობრები, პარტნიორები და არა გადამრჩენი რეანიმატოლოგები (რამდენიმე პოლემიკური მოსაზრება) 31

ვიქტორ დოლიძე

გარდამტეხი წელი ევროკავშირსა და საქართველოს ურთიერთობებში ვილნიუსიდან რიგამდე 41

ზურაბ აბაშიძე

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პერსპექტივები 46

ვლადიმერ პავაშვა

ეკონომიკური პოლიტიკის ტრანსფორმაცია „პოსტვარდისფერ“ საქართველოში 50

სოსო ცინცაძე

ქართული დიპლომატიის აქილევსის ქუსლი 56

ზურაბ დავითაშვილი

საქართველო: რატომ ინტეგრაცია დასავლეთთან? 61

ალექსანდრე რონდელი

საქართველო-რუსეთი: ურთიერთობების დალაგება? 69

იაკობ მესხია

საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ახალი ორიენტირები 79

ახალი ნომრის ანონსი

გუზაზ სანიკიძე

მომდევნო ნომრის ანონსი 88



გიორგი ბერიძე!

ამ რამოდენიმე ხნის წინ, ქართველ მოღვაწეთა და მეცნიერთა, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ღვაწლმოსილი მეცნიერების ძალებით დაფუძნდა „პოლიტიკის აკადემია“, რომელიც მოწოდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, მეცნიერებისა და სახელმწიფოს მართვის ურთიერთსასარგებლო კავშირების განმტკიცებაში, მაღალი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებასა და ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

დღეს, ზედმეტად მიგვაჩნია ლაპარაკი იმაზე, რომ უაღრესად აქტუალურია ცოდნისა და მმართველობითი საქმიანობის, მეცნიერებისა და პოლიტიკური პრაქტიკის ურთიერთმიმართების ტრადიციული პრობლემა. სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმ თვალ-

საზრისით, რომ ჩვენი თვალსაჩინო მეცნიერები უფრო აქტიურად ჩადგნენ სახელმწიფოს სამსახურში. საჭიროა მეცნიერება და ქვეყნის მართვა მაქსიმალურად დაუახლოვდეს ერთმანეთს, რადგან ეს დაახლოება აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის, ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის.

ამ საქმეში, რა თქმა უნდა, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ სამეცნიერო გამოცემებმა, რომლებსაც, თანამედროვე პირობებში, მეცნიერული აზრის გავრცელების უკიდურეს საშუალებები გააჩნიათ.

პოლიტიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და სამეცნიერო ჟურნალის „ქართული პოლიტიკა“ მთავარი სარედაქციო საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, ჟურნალის ეს, და მომავალი გამოცემები, უპირატესად, ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ცალკეულ თემებს – ძირითად მიმართულებებს მიეძღვნება. მიგვაჩნია, რომ ერთ ნომერში თავმოყრილი და სიღრმისეულად გაანალიზებული მეცნიერული ინფორმაცია, უფრო სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის ამათუიმ პოლიტიკური მიმართულებით გაწეულ საქმიანობაზე და რეალურად არსებულ ვითარებაზე. ამასთან, მოგვცემს უფრო სწორი და საფუძვლიანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობებს.

წინამდებარე გამოცემა ამ წამოწყების პირველი მცდელობაა. ჟურნალში ვაქვეყნებთ ჩვენი ხელისუფლების თვალსაჩინო წარმომადგენლების და მეცნიერების სტატიებს, სადაც საფუძვლიანად არის გაანალიზებული ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის რეალური შედეგები და სამომავლო ამოცანები.

დრო, პერმანენტულად წარმოქმნის ახალ-ახალ პრობლემებს. დღეს, ჩვენს ძირითად ამოცანად – ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების წინაშე მდგარი პრობლემების დროულად წარმოჩენა და მათ გადასაწყვეტად საუკეთესო ქართველი და უხოელი მეცნიერების ძალების კონსოლიდირება მიგვაჩნია. მთავარია არ დაკვამყოფილდეთ მხოლოდ მწვავე, პრობლემური საკითხების დაყენებით, არამედ მოვებნოთ მათი გადაწყვეტის კონკრეტული გზები, შევიმუშაოთ მეცნიერული რეკომენდაციები და, ერთობლივად, აქტიურად ვიღვაწოთ მათ განსახორციელებლად.

პოლიტიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით გულწრფელად მივესალმები სამეცნიერო ჟურნალის – „ქართული პოლიტიკა“ – 2014 წლის პირველი ნომრის გამოცემას. იმედს გამოვთქვამ და მჯერა, რომ ამ და მომდევნო ნომრებში გამოქვეყნებული მასალები მიმართული იქნება ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

როინ მეტრეველი

პოლიტიკის აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი



ქართული პოლიტიკა სერიოზული გამოწვევის წინაშე

დღეს მსოფლიო, კერძოდ დასავლეთი, „კარიბის კრიზისის“ შემდეგ პირველად ახალი „ცხელი ომის“ შესაძლო დაწყების წინაშე დგას. ისმება საკითხი ქართული პოლიტიკის დღევანდელი მიმართულების განსაზღვრის შესახებ. რამდენად აირეკვლება უკრაინაში და, კერძოდ ყირიმში, მიმდინარე მოვლენები საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე. საქართველო დარჩება რუსეთის მიმართ მეტ-ნაკლებად შემწყნარებელი, თუ უკრაინაში რუსეთის აშკარა აგრესია რაიმე ცვლილებას გამოიწვევს? ყირიმის მიერ ე.წ. დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომელიც უდავოდ 16 მარტს დაგეგმილი რეფერენდუმის ჩატარებით მიღწევასთან დაკავშირებული უკრაინაში მიმდინარე პროცესების საერთაშორისო-სამართლებრივ ასპექტებს – რუსეთის მხრიდან უკრაინაში ინტერვენციას და ყირიმის ოკუპაციასაც, ანუ აგრესიას ემატება საქართველოსათვის ძალზედ მნიშვნელოვანი ასპექტი – სეპარატისტული რეჟიმების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება უცხო ქვეყნის სამხედრო დახმარებით. რამდენად სამართლიანია კოსოვოს პრეცედენტის გამოყენება ყირიმის პარლამენტის მიერ 11 მარტს ყირიმის დამოუკიდებლობის გამოცხადების ლეგიტიმაციისათვის. ეს პრობლემა, დარწმუნებული ვარ, უახლოესი პერიოდის ყველაზე აქტუალური თემა იქნება ევროატლანტიკურ ქვეყნებსა და რუსეთს შორის დაპირისპირებაში. მიუხედავად იმისა, რომ პასუხი ცალსახად ერთია, თუ კოსოვოში სერბეთმა ჩაატარა ეთნიკური წმენდა, რამაც განაპირობა დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარება, ყირიმში უკრაინის შემადგენლობაში არანაირი დისკრიმინაცია რუსულენოვანი მოსახლეობისა არ მომხდარა, რაც ავტომატურად გამორიცხავს ყირიმის უკრაინისგან ცალმხრივ გამოყოფას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, საქართველოს ხელისუფლების პოზიციის გამკაცრება რუსეთის მიმართ, მას შემდეგ რაც ამ ქვეყნის აგრესიული ზრახვები განხორციელების სტადიაში გადავიდა, კერძოდ ყირიმში და უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონებში რუსეთის მიერ სეპარატისტული მოძრაობების ინსპირირება და ღია მხარდაჭერა, შეიარაღებული ძალების შეყვანითაც კი (ყირიმი). საქართველოს ხელისუფლების ხისტი დიპლომატია კარგად გამოვლინდა პარლამენტის მიერ შესაბამისი დეკლარაციის მიღების შემდეგ, განსაკუთრებით კი – პრეზიდენტის და საქართველოს პარლამენტის წევრი თ.ხიდაშელის გამოსვლაში ევროპის საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტზე. ამგვარად საქართველოს პოლიტიკის ევროინტეგრაციის ვექტორი ძალას იკრებს. საგულისხმოა, რომ შექმნილ ვითარებაში მსოფლიო პოლიტიკოსთა და ექსპერტთა უმრავლესობა საქართველოს მაპის პროგრამაში ჩართვის გარდუვალობაზე საუბრობს.

დასანანია, რომ შემოთავაზებული სტატიები, რომელთა ავტორები არიან საქართველოს საგარეო ურთიერთობებში უშუალოდ ჩაბმული მაღალი რანგის პირები და დამოუკიდებელი ექსპერტები, დაიწერა უკრაინასთან დაკავშირებით წარმოშობილ „ცივი ომის“ დაწყების საშიშროების წარმოშობამდე. მიუხედავად ამისა, პროფესიონალურად გაანალიზებული პერიოდი, რომელიც წინ უძღოდა დღევანდელ მოვლენებს, მისცემს მკითხველს საშუალებას განსაჯოს იმ მოლოდინის ავ-კარგი, რომელიც სუფევდა პოლიტიკოსებისა და მეცნიერთა შეფასებაში, რაც უდავოდ მისცემს ფართო მასებს უფრო კომპეტენტურად შეაფასონ მიმდინარე მოვლენები.

საგულისხმოა, რომ მიუხედავად ავტორების დაკავებულობისა, მათ მაინც შეძლეს მოეწოდებინათ ძალიან ღირებული მოსაზრებები, რომლებიც წაადგება ქართული პოლიტიკის უფრო ღრმა გათვითცნობიერებას, რისთვისაც რედაქცია დიდ მადლობას უხდის მათ.

ლევან ალექსიძე

პოლიტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი



საქართველო და ევროკავშირი: ვინცნიდან ჩიბამდე – ჰიოხიხაბები და ბამონვევები*

ირაკლი ლარიბაშვილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

ქალბატონებო და ბატონებო, მვირფასო სტუმრებო,

მოხარული ვარ მივმართო პატივცემულ აუდიტორიას, დღეს, ეგმონტის სამეფო ინსტიტუტში, ბრიუსელში ჩემი, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის, პირველი ვიზიტის ფარგლებში. ნება მომეცით, მაძლობა გადავუხადო ამ ინსტიტუტს, შესანიშნავი და ამასთან, დროული შესაძლებლობისთვის, ვისაუბრო საქართველოს პრიორიტეტების, პერსპექტივებისა და ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ ვილნიუსის სამიტიდან რიგის სამიტამდე პერიოდში.

ჩემს ქვეყანაში განვითარებული მნიშვნელოვანი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მოვლენების ფონზე, აქ ჩამოვედი, რომ გაგიზიაროთ საქართველოს მთავრობის ევროინტეგრაციის დღის წესრიგი. ვისაუბრებ, ასევე, ვილნიუსის სამიტის შემდგომ გამოწვევებზე, და არა მხოლოდ გარე ფაქტორების გათვალისწინებით. და ბოლოს, თქვენს ყურადღებას გავამახვილებ საქართველოს

მოლოდინებზე 2015 წლის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგის სამიტისთვის.

უპირველეს ყოვლისა, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ევროკავშირში ეტაპობრივი ინტეგრაცია წარმოადგენს საქართველოს როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედს. ეს არის ეროვნული იდეა, რომელსაც მხარს უჭერს ქართველი ხალხი და ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტია. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფების ნათელი დემონსტრირება გახლდათ.

ამავდროულად, ყველა კარგად ვაცნობიერებთ, რომ ევროპული ინტეგრაცია არის უწყვეტი შიდა პროცესი, რომელიც მასშტაბურ რეფორმებს მოიცავს.

2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ჩვენმა მთავრობამ, ევროინტეგრაციის მიზნისადმი

* პრემიერ-მინისტრის მოხსენება ეგმონტის საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტში, ბრიუსელი, თებერვალი 2014

თავისი ერთგულების დასტურად, წამოიწყო და გაატარა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც მიმართულია დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის, ბიზნესის მხარდაჭერისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ.

საქართველოსთვის 2013 წელი გამორჩეული იყო მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენისა და წარმატების თვალსაზრისით. ნება მიბოძეთ, გამოვყო ექვსი მთავარი მიღწევა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში:

- უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დემოკრატია კონსოლიდაციის ახალ ეტაპზე გადადის. ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ შეფასდა როგორც ყველაზე სამართლიანი და თავისუფალი. ამასთან, ქართველმა ხალხმა ცხადპყრო, რომ აღარ შეეგუება განვითარების დემოკრატიული კურსიდან გადახვევას და ვფიქრობ, ეს ქართველი ერის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია.
- საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდაციის თვალსაზრისით კიდევ ერთი მიღწევა იყო საკონსტიტუციო ცვლილებები, რამაც აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის ძალთა ბალანსის დემოკრატიული სისტემა შექმნა. აღმასრულებელ შტოს ხელში კონცენტრირებული ძალაუფლება გადაეცა პარლამენტს, რაც ქვეყანაში წარმომადგენლობითი დემოკრატიის გაძლიერების საწინდარია.
- გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ხელისუფლების ძალისხმევა თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის

უზრუნველსაყოფად. სასამართლო თანდათან იბრუნებს ხალხის ნდობასა და პატივისცემას. სამწუხაროდ წარსულში, სასამართლო სისტემა მართლაც დისკრედიტირებული იყო.

- ამჟამად, ქართული მედია ისეთივე თავისუფალია პოლიტიკური ზეწოლისგან, როგორც ეს ნებისმიერ სხვა დემოკრატიულ ქვეყანაშია.
- ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის უმცირესობათა უფლებების, დაცვა ჩვენს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამჟამად, ადამიანის უფლებების დაცვის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების დასკვნით ეტაპზე ვართ. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ევროკავშირის წარმომადგენელს ადამიანის უფლებების საკითხში თომას ჰამერბერგს მისი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.
- და ბოლოს, საქართველო არის ქვეყანა, სადაც ადვილია ბიზნესის კეთება, დაცულია საკუთრების უფლება და ბიზნესი თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში ოპერირებს. მიუხედავად ეკონომიკური გამოწვევებისა, გაორმაგდა სოციალური დახმარება, ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა; ახალი შრომის კოდექსი სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნებთან; მთავრობა ასრულებს მუშაობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე 2020 წლისათვის, რომლის მიზანია გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა ქვეყანაში. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში ეკონომიკა გაიზარდება 5-6 პროცენტით. უფრო ზუსტად რომ

ვთქვა 6.3%-ით. უკანასკნელი ორი-სამი თვის განმავლობაში ჩვენ გვქონდა მნიშვნელოვანი ზრდა, ნოემბერ-დეკემბერში 8.1-8.4%-ით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, საქართველოს მთავრობის ძალისხმევამ და ქართველი ხალხის ევროპისაკენ სწრაფვამ შესაძლებელი გახადა, რომ 2013 წელი გამორჩეულად წარმატებულ იყოფილიყო საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში:

- „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე ჩვენ მოვახდინეთ ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით. ამ ნაბიჯით, ჩვენ ევროკავშირთან ურთიერთობების ახალი ეტაპი დავიწყეთ. ჩვენთვის ეს შეთანხმება ქვეყნის ევროპეიზაციის „მთავარი გეგმაა“. იგი წარმოადგენს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირების ფუნდამენტური წინსვლის საფუძველს და გვიხსნის ეკონომიკური ინტეგრაციის უპრეცედენტო პერსპექტივას. იგი ზრდის საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას ბიზნესის განვითარებისთვის ფართო შესაძლებლობებების გახსნის გზით. იმედს გამოვთქვამ, რომ როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო ბიზნეს საზოგადოებები სათანადოდ გამოიყენებენ ამ ახალ რეალობებს.
- ვილნიუსის სამიტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა გახლდათ ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ჩვენს ძლიერ გზავნილს. პარალელურად ჩვენი ჩართულობისა NATO-ს ISAF-ის ავღანეთის მისიაში, შეგახსენებთ რომ საქართველო არის

NATO-ს არა-წევრი ქვეყნებიდან ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორი, ჩვენი ენთუზიაზმი, შევუერთდეთ ევროპელ პარტნიორებს სამოქალაქო და სამხედრო მისიებში, ასახავს საქართველოს მზაობას, იყოს არა მხოლოდ ევროკავშირის უსაფრთხოების მექანიზმების ბენეფიციარი, არამედ, აგრეთვე, როგორც სანდო პარტნიორმა, წვლილი შეიტანოს ევროკავშირის ძალისხმევაში, მიმართულს მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობისკენ მთელს მსოფლიოში.

- ჩვენ მივადღიეთ მნიშვნელოვან პროგრესს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი საკანონმდებლო ფაზის დასრულების მიზნით, რაც ევროკომისიის მიერ დადებითად იქნა შეფასებული.

მაშინ როდესაც მივესალმებით ვილნიუსის სამიტზე გახსნილ ახალ შესაძლებლობებს, ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ამ პროცესის თანმდევი გამოწვევები:

ასოცირების შესახებ შეთანხმების დროული ხელმოწერა საქართველოსთვის უპირველესი პრიორიტეტია. მივესალმებით პრეზიდენტ ბაროზოს და პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპუს განცხადებას, იმის თაობაზე, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერა მოხდება არა უგვიანეს 2014 წლის აგვისტოში. ჩვენი მხრივ, ყველაფერს ვაკეთებთ რაც აუცილებელია ამ მიზნის განხორციელებისთვის. თუმცა, მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, რომ თვითონ ასოცირების ხელშეკრულება არ არის ჩვენი საბოლოო მიზანი. ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი ჩვენი ევროკავშირში ინტეგრაციისკენ. როგორც კომისარმა სტეფან ფულემ აღნიშნა მიუნხენის კონფერენციაზე, გვირავის ბოლოს სინათლე უნდა მოჩანდეს.

მეორე საკითხი, რაზედაც მსურს ყურადღება გავამახვილო, არის ის, რომ ჩვენ მზად ვართ, აღებული ვალდებულებები გარდავსახოთ კონკრეტულ ქმედებებსა და პოლიტიკაში, ჩვენი მოქალაქეების სასარგებლოდ.

მესამე: შეთანხმების ხელმოწერა და მისი დროებითი გამოყენება შექმნის ახალ რეალობებს, რაც, ასევე, გულისხმობს ფართომასშტაბიან და ძვირადღირებულ რეფორმებს, რომელთა განხორციელების ვალდებულებაც აიღო ჩემმა ქვეყანამ. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ დაიწყო რეფორმების დღის წესრიგის შემუშავება, ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით. ამასთანავე, ჩვენ მზად ვართ, დროულად დავასრულოთ „ასოცირების დღის წესრიგის“ შემუშავება.

ძვირფასო მეგობრებო,

აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორი რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის საქართველო, უკანასკნელი თვეების განმავლობაში მზარდ ზეწოლას განიცდიან რუსეთის ფედერაციისგან, მათი ევროპული მისწრაფებების გადახედვის მიზნით. ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ შემდგომი პროვოკაციული ქმედებები მოსკოვიდან არ განმეორდება, განსაკუთრებით ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერამდე.

ჩვენ შევინარჩუნებთ სიფხიზლეს იმისთვის, რომ არ დავუშვათ ესკალაცია, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს შეთანხმების ხელმოწერა ან განხორციელება. მზად ვართ, გავუძლოთ ნებისმიერ ზეწოლას, რადგან საქმე ეხება არა მხოლოდ მორიგ საერთაშორისო ხელშეკრულებას, არამედ საქართველოს ევროპულ მომავალს.

ამავე დროს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეგიონში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გაკვეთილი უნდა იყოს

ყველასათვის. ევროკავშირმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ძალაუფლების ყველა საშუალება იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ მესამე ქვეყნის ჩარევა ევროკავშირის და მისი აღმოსავლეთ ევროპული მეზობლების ურთიერთობებში. ჩვენ უნდა გავაერთიანოთ ძალისხმევა და შევიმუშაოთ საერთო პოზიცია, რომელიც ხელს შეუშლის აღმოსავლეთ პარტნიორობის წინააღმდეგ მიმართულ იძულებით ზომებს.

ჩვენ ერთად უნდა დავიცვათ ჩაურევლობის ფუნდამენტური პრინციპი და თითოეული ქვეყნის უფლება, ეუთო-ს ჰელსინკის დასკვნითი აქტის შესაბამისად, განსაზღვროს და განახორციელოს საკუთარი საგარეო პოლიტიკა.

ქალბატონები და ბატონებო,

წლების განმავლობაში, საქართველო ცდილობს შეამციროს დამაბულობა რუსეთთან ურთიერთობებში და მე მსურს მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე; ჩვენ თანამიმდევრული ვართ ამ ძალისხმევაში. განსაკუთრებით კი, მას შემდეგ, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მოვედით ქვეყნის სათავეში, საქართველოს მთავრობამ გადადგა რიგი კონსტრუქციული ნაბიჯებისა, იმისთვის, რომ მოგვეხდინა დამაბული ურთიერთობების დეესკალაცია, დავიწყეთ სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის მოსინჯვა, რა თქმა უნდა, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის უმთავრესი პრინციპის დაცვის პირობებში. მას შემდეგ, რაც ჩვენი მთავრობა მოვიდა ქვეყნის სათავეში, ჩვენ დავენიშეთ პრემიერ მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში. გარკვეულ შედეგებს უკვე მივაღწიეთ, მაგალითად, ეტაპობრივად გაიხსნა რუსული

ბაზარი ქართული პროდუქციისათვის; გაუმჯობესდა სატრანსპორტო კავშირები და ინტენსიური გახდა ხალხთა შორის კონტაქტები.

ამავე დროს, გადაწყვეტით, რომ არ მოგვეხდინა სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირება და გაგვეზავნა ჩვენი სპორტსმენები სოჭში. ეს იყო ძალზედ რთული გადაწყვეტილება. გარდა ამისა, შევთავაზეთ რუსეთს ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობა.

მიუხედავად ჩვენი მთავრობის აღნიშნულ მცდელობებისა, მოსკოვი მაინც აგრძელებს პროვოკაციულ ქმედებებს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავრთულხლართების და ღობეების არალეგალურად აღმართვის გზით ჩვენს ტერიტორიაზე. ველით, რომ რუსეთის ფედერაცია გააგრძელებს მცდელობებს საქართველოზე ზეწოლის გაზრდის მიზნით.

ჩვენი მთავრობა განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას ევროკავშირთან, სხვა საერთაშორისო პარტნიორებსა და მეგობარ სახელმწიფოებთან, ადგილზე არსებული სიტუაციის შემდგომი გაუარესების თავიდან აცილების მიზნით.

ამ კონტექსტში, მსურს განსაკუთრებით ხაზი გავუსვა ევროკავშირის გადამწყვეტ როლს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების კუთხით: მის ურყევ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში კრიტიკული მნიშვნელობა აქვს; ევროკავშირის მხრიდან საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას უაღრესად დიდი დატვირთვა აქვს; ფასდაუდებელია ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ფუნქციონირება და ევროკავშირის წვლილი ომით

გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობაში და მისი აქტიური მონაწილეობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში.

მვირფასო მეგობრებო,

2014 წელს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი თარიღები აღინიშნება: ათი წლის წინ საქართველო შეუერთდა ევროპულ სამეზობლო პოლიტიკას. ხუთი წლის წინ ის გახდა ევროკავშირის ინიციატივის – „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ნაწილი.

წელს ხელს მოვაწერთ ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რაც უნდა გახდეს ევროკავშირთან ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობის განმავლობაში მიღწეული პროგრესის ლოგიკური შედეგი. დღეს, ნებისმიერი საფრთხე, რომელიც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მომავალს ემუქრება, ჩვენი საერთო საფრთხეა და მის ასაცილებლად მჭიდრო თანამშრომლობა აუცილებელია. ეს არ არის უკრაინის პრობლემა, ეს არ არის სომხეთის ან აზერბაიჯანის პრობლემა, ან მოლდოვის. ეს არის ჩვენი საერთო საფრთხე, ჩვენი საერთო პრობლემა.

აღნიშნული აუცილებლობის გათვალისწინებით, ჩვენ ინტენსიურად ვითანამშრომლებთ ჩვენს პარტნიორებთან ბრიუსელში, ისევე როგორც ევროპის თითოეულ დედაქალაქთან, იმისთვის, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ წარმატებულ ევროპულ პროექტად ვაქციოთ. ჩვენი მოლოდინია, ასევე, რომ ევროკავშირის პოლიტიკა, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივასთან მიმართებაში მისი ინტერესების შესაბამისი იქნება.

ჩვენ აგრეთვე მოველით რომ 2014 წელს მოხდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განვითარება ნატო-საქართველოს ურთიერთობებში. დემოკრატიული რეფორმებისა და ევრო-

ატლანტიკური ინტეგრაციის პროგრესის გათვალისწინებით, ჩვენ მოველით რომ ნატო სათანადოდ დააფასებს საქართველოს ქმედებებს, ასახავს ამ დაფასებას კონკრეტულ გადაწყვეტილებებში და გადადგამს შემდეგ ნაბიჯს ჩვენი ინტეგრაციისაკენ გაერთიანებულ სამეფოში დაგეგმილ სამიტზე.

საუბრის დასასრულს, მინდა მოკლედ აღვნიშნო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგის სამიტისთვის საქართველოს გეგმებისა და მოლოდინების შესახებ:

- მზად ვართ გავაგრძელოთ ყოვლისმომცველი რეფორმები საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგით აღებული ვალდებულებების მიხედვით;
- ასევე მზაობას გამოვთქვამთ, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ დემოკრატიული მიღწევები და კვლავ ვიყოთ რეგიონში წარმატებული დემოკრატიული განვითარების მაგალითი;
- ველით რომ ხელს მოვაწეროთ ასოცირების შესახებ შეთანხმებას მიმდინარე წლის შემოდგომის დასაწყისისთვის;
- მზად ვართ ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობისათვის, როგორცაა „კრეატიული ევროპა“, „ერასმუსი ყველასათვის“, „ჰორიზონტი 2020“, და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობის ახალი მიმართულებების განსაზღვრისათვის;

- ჩვენი მოლოდინია, რომ დავიწყებთ ასოცირების შესახებ შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების განხორციელებას და გადავდგამთ პირველ ნაბიჯებს ევროკავშირის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ეტაპობრივი ინტეგრაციისკენ. იმედი მაქვს, რომ რიგის სამიტზე ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების ადრეული შედეგების პოზიტიურად შეფასებას შევძლებთ.
- ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ მივაღწიოთ ევროკომისიის მიერ პოზიტიური რეკომენდაციის შემუშავებას საქართველოს მოქალაქეებისთვის მოკლევადიანი ვიზების გაუქმების თაობაზე;
- ველით ტრანსპორტის, ენერგეტიკის, განათლებისა და კულტურის სფეროებში ახალი პროექტების განხორციელებას;
- ველით, რომ გაძლიერდება ევროკავშირის როლი საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის კუთხით და
- ასევე, ძლიერ პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას ევროკავშირისგან, დახმარების ახალი ინსტრუმენტების ეფექტიანი იმპლემენტაციის ჩათვლით;

დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებთ ამ ყოველივეს ხორცშესხმას! ველი, რომ დღეს გვექნება აზრთა კონსტრუქციული ურთიერთგაცვლა იმის თაობაზე, თუ როგორ მივაღწიოთ ამას.

გმადლობთ ყურადღებისათვის.



საქართველოს ევროპული ახივანი: დასავლური საბაზო პოლიტიკა და მშვიდობიანი ბანკითაობა

მანია ფანჯიკიძე

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი
მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

შესავალი

საქართველოს დღევანდელი საგარეო პოლიტიკა ქვეყნის ისტორიული განვითარების შედეგი და ღირსეული მომავლის წინაპირობაა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს საქართველოს ეროვნული ინტერესები, რომლებიც სახელმწიფო სუვერენიტეტს, დასავლეთის სამყაროსთან ინტეგრაციასა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს ემყარება.

საქართველომ წარმატებით მოახერხა გავლად დემოკრატიული ტრანზიციის და ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემის პრეცედენტის შექმნით დაიწყო ევროპული ტიპის დემოკრატიული საზოგადოების კონსოლიდაცია. დემოკრატიული საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა სტაბილური საერთაშორისო გარემოა. ამგვარი გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ სტაბი-

ლურობის საფუძველი საერთაშორისო საზოგადოების დემოკრატიული განვითარება უნდა გახდეს, რადგან დემოკრატიული თანამეგობრობის გარეშე მშვიდობა და პოლიტიკური სტაბილურობა მყიფე და არამდგრადი იქნება.

შესაბამისად, საქართველოს საგარეო პოლიტიკა მიმართულია საერთაშორისო დემოკრატიული მშვიდობის გამყარებისაკენ, რაც საქართველოს მოსახლეობის საერთო ნების გამოვლინებაა. ქართველი ხალხი თავის სახელმწიფოს ევროპის განუყოფელ ნაწილად განიხილავს. საქართველოსთვის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება უპირველესი სტრატეგიული ამოცანაა. ეს მიზანი ქართველი ხალხის ისტორიულ, საუკუნებრივ მისწრაფებას წარმოადგენს და, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ასე ახლოს არასოდეს ყოფილა დასავლეთთან ინტეგრაციის ამოცანის შესრულებასთან, როგორც დღეს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დემოკრატიული განვითარების

დაჩქარებამ საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში უაღრესად პოზიტიური როლი შეასრულა. 2013 წლის ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნებში ძალაუფლების გადაცემის მშვიდობიანმა დასრულებამ საბოლოოდ ცხადყო საქართველოს მიერ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში მიღწეული პროგრესი. დემოკრატიული ღირებულებები იყო და რჩება საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის ყველაზე ძლიერ და ქმედით არგუმენტად.

საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და დასავლური ინტეგრაციის გაღრმავების ამოცანების შესრულებაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს. საგარეო პოლიტიკის განხორციელების პარალელურად სამინისტროს განვითარება და დიპლომატიური პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლება საქართველოს წარმატების აუცილებელი პირობაა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიული კონტექსტი

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ყოველთვის იყო განპირობებული დასავლური სამყაროსკენ მისწრაფებით. საქართველო იყო და რჩება ევროპული სამყაროს ნაწილად. საქართველოს მოსახლეობის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების გათავისებისაკენ და დანერგვისაკენ სწრაფვა ამ სამყაროს წევრობის გამოვლინებაა. ქართულმა საზოგადოებამ თანდათანობით გაითავისა ხელისუფლების არჩევითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპები და გააცნობიერა კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მნიშვნელობა.

საქართველოს მოსახლეობის დასავლურ მისწრაფებებს ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადა საუკუნებრივმა ქრისტიანულმა ღირებულებებმა, პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918-1921) დემოკრატიულმა მემკვიდრეობამ, ეროვნულმა მოძრაობამ საბჭოთა დიქტატურის პირობებში და, მის მიწურულს, ეროვნული დამოუკიდებლობის სახალხო მოძრაობამ.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ ბევრი მძიმე განსაცდელი გადაიტანა. სამოქალაქო ომების, სეპარატისტების მიერ გაღვივებული და გარედან თავსმოხვეული სამოქალაქო კონფლიქტების, საგარეო აგრესიისა და ოკუპაციის პირობებში საქართველომ არა მხოლოდ დამოუკიდებლობის შენარჩუნება, არამედ თავის ისტორიულ მიზანთან – დასავლურ ინტეგრაციასთან მჭიდროდ მიახლოებაც მოახერხა. საბჭოთა კავშირიდან მიღებული უმძიმესი მემკვიდრეობის მიუხედავად, საქართველომ დაიმკვიდრა ადგილი, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვანმა წევრმა და დემოკრატიული თანამეგობრობის მონაწილემ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ნიშნით წარიმართა. საწყის ეტაპზე წამყვანი ამოცანა იყო დამოუკიდებლობის გადარჩენა და შეიარაღებული კონფლიქტების დამლუპველი მორევისაგან თავის დაღწევა. კონფლიქტების შეიარაღებული ფაზის დასრულების შემდეგ საგარეო პოლიტიკის უპირველესი ამოცანა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო სამართლებრივი აღიარების

განტკიცება და საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლად დამკვიდრება გახდა. ამ ამოცანებისთვის ბრძოლაში ჩამოყალიბდა საქართველოს პროდასავლური საგარეო კურსი, რომლის მთავარ შემაღვენელ ნაწილებად ევროკავშირში და, მოგვიანებით, ნატო-ში გაწევრიანება გახდა.

ევროკავშირში და ნატო-ში გაწევრიანების მიზანმიმართულმა პოლიტიკამ საქართველო ევროპასა და ევროატლანტიკურ თანამეგობრობას დაუახლოვა. 2008 წლის სამხედრო აგრესიამ და ქვეყნის ნაწილის ღია ოკუპაციამ შეაფერხა, მაგრამ ვერ შეაჩერა საქართველოს ინტეგრაცია დასავლეთთან. ამ ინტეგრაციის მნიშვნელოვან წინაპირობად იქცა 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება, რაც საქართველოს უახლეს ისტორიაში პირველად, ხელისუფლების კონსტიტუციურად გადაცემის საფუძვლად იქცა.

დღეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რეგიონული სტაბილურობის მიღწევა, მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება, ეკონომიკური განვითარება, ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საერთაშორისო მშვიდობის ხელშეწყობა.

საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს

წარმოადგენს, რაც ყველაზე საიმედო გზაა ქვეყნის მშვიდობიანი და უსაფრთხო მომავლის უზრუნველსაყოფად.

საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა საერთო ღირებულებებს ემყარება, რაც მოიცავს დემოკრატიულ მმართველობას, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პრინციპების პატივისცემას. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებით საქართველომ დაამტკიცა, რომ საერთო ევროპული ფასეულობების ერთგულია და ევროპული, დემოკრატიული ოჯახის განუყოფელი ნაწილია.

ევროკავშირში ეტაპობრივი ინტეგრაციის ამბიციური მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, ამ ეტაპზე, აღსანიშნავია, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ როლი, რომელიც ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების მიზნით საქართველოს მნიშვნელოვან პერსპექტივებს უხსნის. ამდენად, საქართველო მზად არის გამოიყენოს ყველა არსებული მექანიზმი ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის, მობილურობის გაზრდისა და უვიზო რეჟიმის შემოღების, ასევე მთელ რიგ დარგებში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ სფეროებში. 2013 წლის 28-29 ნოემბერს, ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში გამართულ სამიტზე პარაფირებულ იქნა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი

თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის ჩათვლით, ასევე, დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიმართულებით მიღწეული პროგრესი. გარდა ამისა, სამიტზე ხელი მოეწერა ჩარჩო შეთანხმებას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს საქართველოს, ჩაერთოს ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში და ამ გზით, ევროკავშირთან ერთად თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიოში უსაფრთხოების ხელშეწყობის პროცესში. ამდენად, სამიტი საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობისა და ევროკავშირთან ურთიერთობების თვისობრივად ახალი ეტაპის დასაწყისი გახდა.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რომელიც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, ევროკავშირთან და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს ითვალისწინებს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება ფაქტობრივად შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს.

გარდა ამისა, ევროკავშირში ეკონომიკური ინტეგრაცია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ჩამოყალიბების გზით, რაც ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, გზას უხსნის საქართველოს საქონელსა და მომსახურებას ევროკავშირის შიდა ბაზარზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისთვის.

ამავდროულად, ფასდაუდებელია ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და

ტერიტორიული მთლიანობისადმი, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის როლსა და ჩართულობას საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობის მიმართულებით. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია მონიტორინგის მისიის ფუნქციონირება, რომელიც ერთადერთ საერთაშორისო მექანიზმს წარმოადგენს ადგილზე მშვიდობის შენარჩუნების თვალსაზრისით. რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარების მოსაპოვებლად უწყვეტი მცდელობების ფონზე, ევროკავშირი, მთელი თავისი დიპლომატიური ძალების მობილიზებით, აგრძელებს ამ ტერიტორიების მიმართ არაღიარების პოლიტიკის ეფექტურად გატარებას, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ევროკავშირი საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის პროცესში დიდ როლს თამაშობს, აგრეთვე, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში აქტიური მონაწილეობისა და სამხრეთ კავკასიაში და საქართველოს კრიზისის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობის გზით.

ამჟამად, ჩვენს წინაშე უმნიშვნელოვანესი პერიოდი დგება – ვილნიუსის სამიტზე დემონსტრირებული შედეგების განხორციელების ეტაპი. ჩვენი ამოცანაა ზედმიწევნით შევასრულოთ ევროინტეგრაციის დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმები, რაც განაპირობებს საქართველოს მოდერნიზაციასა და ჭეშმარიტ ტრანსფორმაციას. ეს კი, რეალობად აქცევს ქვეყნის საერთო ევროპულ ოჯახში დამკვიდრების პერსპექტივას.

საქართველოს უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) გაწევრიანება რჩება. ურთულესი გეოპოლიტიკური მდებარეობის მიუხედავად, საქართველომ შეძლო შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. ტერიტორიების დროებითი ოკუპაციის მიუხედავად, საქართველომ არ დათმო დასავლური ორიენტაცია და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ნატო-სთან დაახლოების კუთხით. საქართველომ შეძლო მოეპოვებინა ყოველწლიური მოქმედების პროგრამა, რომელიც პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ნატო-ს სტანდარტებს უახლოვდება. ასევე, საქართველოსა და ნატო-ს დაახლოების ნათელი დადასტურებაა ნატო-საქართველოს კომისია, რომელზეც საქართველოსა და ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსის პარტნიორობის უმნიშვნელოვანესი საკითხები განიხილება.

ნატო დიდ დახმარებას უწევს საქართველოს როგორც უსაფრთხოების, ასევე პოლიტიკური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. ნატო-სთან პარტნიორობა საქართველოსთვის წარმოადგენს არა მარტო პრაქტიკული მიზნების მიღწევის საშუალებას, არამედ სტრატეგიულ პარტნიორობას, რომელიც საქართველოს დასავლეთთან სრულფასოვან ინტეგრაციას ემსახურება.

უკვე წლებია, ნატო-სთან ურთიერთობა საქართველოსთვის არ წარმოადგენს მხოლოდ ცალმხრივი დახმარების მიღების საშუალებას. საქართველომ წარმატებით მოახერხა, საკუთარი წვლილი შეეტანა საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობით საქართველომ თავი დაიმკვიდრა, როგორც ნატო-ს საიმედო

მოკავშირემ, კომპეტენტურმა პარტნიორმა და საერთაშორისო უსაფრთხოების სრულფასოვანმა სუბიექტმა.

ნატო-სთან ნაყოფიერი ურთიერთობის კუთხით, უახლოეს ხანებში საქართველოს ამოცანაა, ხელი შეუწყოს ავღანეთის სტაბილურობას, განსაკუთრებით 2014 წელს მოკავშირეთა მიერ ავღანეთის მთვრობისათვის ქვეყნის უსაფრთხოების სრულად გადაბარების კონტექსტში. საქართველო კვლავაც გააგრძელებს ნატო-სთან პარტნიორობას ავღანეთში და მზადაა, ხელი შეუწყოს მოკავშირეთა ჯარების მშვიდობიან გამოყვანას ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონების სატრანსპორტო დერეფნის საშუალებით.

ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობა ქართველ ხალხს ძალიან ძვირი დაუჯდა – დაიღუპა და მძიმედ დაიჭრა რამდენიმე ათეული ქართველი სამხედრო. ამ უმძიმესი და აუნაზღაურებელი მსხვერპლის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობა კვლავაც უჭერს მხარს საქართველოს მონაწილეობას ნატო-ს ოპერაციებში და, მეტიც, გამოკითხვების მიხედვით, სულ უფრო მეტად ემხრობა საქართველოს გაწევრიანებას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

საქართველოს მიერ ნატო-სთან მიღწეული პოლიტიკური ურთიერთგაგება და ოპერატიული თავსებადობა, ასევე საქართველოს პროგრესი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებისა და დემოკრატიის დამკვიდრების სფეროში საქართველოს აძლევს სრულ უფლებას, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე უახლოეს მომავალში დასვას საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის სათანადო აღიარებისა და ნატო-ში გაწევრიანების კონკრეტული ნაბიჯების განსაზღვრის საკითხი.

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა. აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსთვის ყოველთვის წარმოადგენდა პრიორიტეტს, რომელიც რჩებოდა და რჩება წამყვან მიმართულებად საგარეო პოლიტიკაში, მთავრობების მონაცვლეობის მიუხედავად. აშშ-თან ურთიერთობა არასოდეს ყოფილა უფრო მჭიდრო და შინაარსიანი, ვიდრე დღეს. ორმხრივ ურთიერთობებში აშშ-მა და საქართველომ დიდ პროგრესს მიაღწიეს, რაც გამოიხატება საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული ქარტიის სრულფასოვნად ამოქმედებაში. ქარტიის ოთხი ძირითადი მიმართულება – თავდაცვა; ეკონომიკური თანამშრომლობა; დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება; და ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავება – ბოლო წლების განმავლობაში ახალი შინაარსით შეივსო. ეს თანამშრომლობა არაა მიმართული მესამე სახელმწიფოების წინააღმდეგ და ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო გაფართოებას ემსახურება.

საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღწევა რჩება, რომელიც ამჟამად მაღალი დონის დიალოგის ფორმატში მიმდინარეობს. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და საინვესტიციო თანამშრომლობა სტრატეგიულად ემთხვევა საქართველო-ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასა და ამჟამად აშშ-ევროკავშირს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებს ტრანსატლანტიკურ სივრცეში თავისუფალი ვაჭრობის და ინვესტიციების თაობაზე.

საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა დიპლომატიური აქტიურობა

საერთაშორისო ფორუმებზე. საქართველოს ეფექტური მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, სუამ-ის და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ყოველდღიურ მუშაობაში და პლენარულ შეკრებებზე საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის წინაპირობაა.

გეოსტრატეგიულად რთულ რეგიონში ეროვნული უსაფრთხოების მყარი გარანტიების არარსებობის პირობებში საქართველოსთვის საერთაშორისო ფორუმებზე ეფექტიან დიპლომატიურ მუშაობას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველო ამ ფორუმებზე უკვე მონაწილეობს, როგორც წვლილის შემტანი საერთაშორისო უსაფრთხოებაში და დემოკრატიული ნორმების დამკვიდრებაში. საქართველო, როგორც დემოკრატიზაციის კუთხით რეგიონის ყველაზე დინამიური ქვეყანა, მზარდი ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო რეგიონში, არამედ გლობალურ საერთაშორისო ფორუმებზეც.

საქართველოს განვითარებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება მოუგვარებელი ურთიერთობები რუსეთთან. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტები საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემებია. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ძალისხმევის დიდი ნაწილი სწორედ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ხმარდება.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომლებიც მიმართული იყო რუსეთთან გაყინული ურთიერთობების გაღრმავებისაკენ. პრემიერ-მინისტრმა დანიშნა

სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც რუსეთთან სავაჭრო, კულტურული და ჰუმანიტარული საკითხების მოგვარებას ცდილობს. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების არქონის მიუხედავად, საქართველომ გადაწყვიტა, უარი არ ეთქვა სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, რითაც კეთილი ნება გამოავლინა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში გარკვეული დინამიკა გაჩნდა – აღდგა საპაერო მიმოსვლა, რუსეთის ბაზარზე დაბრუნდა ქართული ღვინო, მინერალური წყალი. იმავდროულად, ვითარება კონფლიქტის რეგიონებში კიდევ უფრო გართულდა. 2013 წლის გაზაფხულზე რუსეთმა წამოიწყო ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესი, რომელიც მავთულხლართების დამონტაჟებასა და მოსახლეობის გადაადგილების უხეშ შეზღუდვაში გამოიხატა. რუსეთის ოფიციალური პოლიტიკა, რომელიც ხალხების დაშორიშორებასა და, ხშირად, ოჯახებისა და მეზობლების ერთმანეთისგან დაცილებას იწვევს, კიდევ უფრო გვაშორებს კონფლიქტების მშვიდობიან გადაჭრას. საერთაშორისო თანამეგობრობის – ევროკავშირის, ნატო-სა და აშშ-ის მხრიდან არაერთი მწვავე განცხადების მიუხედავად რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები ხელს უშლის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში პოზიტიური დინამიკის გაჩენას და განვითარებას.

საქართველო ცდილობს კონსტრუქციული პოზიცია დაიკავოს რუსეთის მიმართ, მაგრამ ეს არ ხდება საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის, ამჟამად ოკუპირებული ტერიტორიის თუნდაც უმცირესი ნაწილის დათმობის ხარჯზე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს სეპარატისტული რეჟიმების

საერთაშორისო აღიარების შეჩერება და შემობრუნება; კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვება სტაბილურობისა და ჰუმანიტარული ვითარების გაუმჯობესების მიზნით; იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ ადგილებში მშვიდობიანი დაბრუნების უზრუნველყოფა; და „ბორდერიზაციის“ აღკვეთა.

ქართული დიპლომატია ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს მოლაპარაკებების საერთაშორისო ასპარეზო კონფლიქტების მოსაგვარებლად. ჟენევის ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებების ფარგლებში საქართველომ მოახერხა რუსეთთან დიალოგის საერთაშორისო მონაწილეების – ევროკავშირისა და აშშ-ის – დახმარებით წარმართვა. სამწუხაროდ, ჟენევის მოლაპარაკებები მეტისმეტად რთულად მიმდინარეობს, მაგრამ საქართველოს მთავრობა ამ ფორუმს მოლაპარაკების ყველაზე მნიშვნელოვან, ერთადერთ შესაძლო ფორმატად განიხილავს. ჟენევის მოლაპარაკებების საშუალებით უნდა მოხდეს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების პირობების შესრულება, რაც იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ ადგილებში ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნებასა და საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაციას ითვალისწინებს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ შეძლო უპირობოდ დაემკვიდრებინა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად. გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე ყოველწლიურად იზრდება იმ სახელმწიფოთა რიცხვი, ვინც იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელ ადგილებში უპირობოდ დაბრუნებას ემხრობა. გაეროს მიერ

მიღებული რეზოლუციები ემსახურება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას, როგორცაა ადამიანთა უფლება, დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს, ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად.

ქართული დიპლომატიის დამსახურებაა, რომ, რუსეთის გარდა, საქართველოს შესანიშნავი ურთიერთობები აქვს ყველა სხვა მეზობელ სახელმწიფოსთან – თურქეთთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამ ურთიერთობებმა ახალი დინამიკა შეიძინა. ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარება მეზობელ სახელმწიფოებთან საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური ამოცანაა. დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც კავკასიის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნად გადაქცევას ემსახურება, რაც რეგიონული სტაბილურობის და განვითარების ერთ-ერთი საფუძველი უნდა გახდეს.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ურთიერთობას ტრადიციულ მეგობრულ სახელმწიფოებთან – უკრაინასთან, მოლდოვასთან, ისრაელთან, კანადასთან, იაპონიასთან, ჩინეთთან, ინდოეთთან, ბრაზილიასთან. საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავებისათვის ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

არაღიარების პოლიტიკის თვალსაზრისით სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საქართველოს დიპლომატიური კავშირები ლათინური ამერიკის, აფრიკისა და ოკეანეთის ქვეყნებთან. საქართველოს ორმხრივი კავშირები ამ სახელმწიფოებთან არა მარტო საქართველოს სუვერენიტეტის

დაცვას ემსახურება, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს საერთაშორისო პოპულარიზაციის და კულტურული გაცვლის საქმეში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სავაჭრო და საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვას. საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. დღევანდელ მსოფლიოში ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის განვითარების გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. შესაბამისად, ქართული დიპლომატიის მიერ ქვეყნის საერთაშორისო პოპულარიზაცია, მისი საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენა, სავაჭრო, სამრეწველო და საფინანსო პარტნიორების მოძიება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საზღვარგარეთ საქართველოს წარმომადგენლობების მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

საქართველოს მიმზიდველ პარტნიორად წარმოჩენა მარტო შიდა პროცესების დინამიკით არ ამოიწურება. ქართული დიპლომატიის ამოცანაა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოზიტიური პროცესების ისე მიწოდება უცხოელი აუდიტორიისათვის, რომ საქართველომ შეძლოს საერთაშორისო საინვესტიციო ბაზრებზე მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა შორის ადგილის დამკვიდრება და საერთაშორისო კონკურენციის პირობებში ინვესტიციების ჩვენთვის სასურველი მიმართულებით წარმართვა.

საინვესტიციო მიმართულების გარდა სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსა და რეგიონის ქვეყნების ძალისხმევის კოორდინაცია რეგიონული სატრანსპორტო, ენერგეტიკული და

სატრანსპორტო დერეფნის შექმნისა და განვითარების მიზნით. უკვე თითქმის ორი ათეული წელია, საქართველო წარმატებით ახერხებს დაუკავშირდეს რეგიონულ ქვეყნებს და სტრატეგიულ პარტნიორებს და მათთან თანამშრომლობით განახორციელოს გლობალური მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტები. საქართველო ცდილობს ააღორძინოს ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის იდეა, რაც ახალ ბიძგს მისცემდა რეგიონულ თანამშრომლობას კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ევროკავშირთან, აშშ-თან და თურქეთთან თანამშრომლობით.

ქართული დიპლომატიური სამსახური

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს წარმომადგენლობებმა საზღვარგარეთ, პრაქტიკულად, თავიდან შექმნეს ქართული დიპლომატიური ტრადიცია, რომელიც თითქმის სრულად იყო დაკარგული საბჭოთა პერიოდში. ქართული დიპლომატიური ტრადიციის აღორძინებას, ქართველი ხალხის ნიჭიერების გარდა, ხელი შეუწყო საქართველოს მოსახლეობის ინტელექტუალურმა პოტენციალმა და საქართველოს დიპლომატიური პერსონალის პატრიოტიზმმა და თავდადება.

ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქართულმა დიპლომატიურმა სამსახურმა ბევრ გამოცდას ღირსეულად გაუძლო. შეიქმნა არა მარტო გამართული საგარეო პოლიტიკური აპარატი, არამედ განვითარდა ქართული საგარეო პოლიტიკის ტრადიცია, რომელიც ქართველი ხალხის დასავლურ პოლიტიკურ ორიენტაციაზეა

დაფუძნებული. ამასთან, ქართული დიპლომატიის პროფესიონალიზმი, მისი არსებობის მცირე ხნის მიუხედავად, პატივისცემით სარგებლობს უცხოელ კოლეგებს შორის. ქართველი დიპლომატები ღირსეულად არიან წარმოდგენილნი მთელ მსოფლიოში და ემსახურებიან თავიანთი სამშობლოს ინტერესებს.

დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კარგად კოორდინირებულ სამსახურს წარმოადგენს, სადაც დინამიური სამუშაო გარემოა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სამინისტრო ახდენს ქართული დიპლომატიის გლობალურ მართვას. დიპლომატიური სამსახურის მართვის ოპერატიულობა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების პროფესიონალიზმის დამსახურებაა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მართავს კოლეგია, რომელიც სამინისტროს ხელმძღვანელობისა და დეპარტამენტების დირექტორებისაგან შედგება. დეპარტამენტები დაყოფილია როგორც პროფილური, ასევე რეგიონული პრინციპით. დეპარტამენტები შედგება სამმართველოებისაგან, რომლებიც ცალკეულ მიმართულებებს კურირებენ.

დღეს საქართველოს აქვს სამოცდათორმეტი დიპლომატიური წარმომადგენლობა (საელჩო, მისია და გენერალური საკონსულო), რომლებიც მსოფლიოს უმეტეს ნაწილს ფარავს. ამჟამად, სამინისტროსა და წარმომადგენლობების პერსონალის შერჩევა ღია კონკურსის წესით ხდება, რაც ქართულ დიპლომატიურ სამსახურში განსაკუთრებული ნიჭით

გამორჩეული საქართველოს მოქალაქეების მოზიდვას უზრუნველყოფს. დღეს საქართველოს დიპლომატიური პერსონალის უმეტესობა ახალგაზრდა პროფესიონალია, რომლებიც გამუდმებით იმდღებენ კვალიფიკაციას როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. სამსახურის მზარდი პროფესიონალიზმის მაჩვენებელია დიპლომატების სტაბილური, შეკავშირებული კოჰორტის ჩამოყალიბება, რომელიც დიპლომატიისათვის დამახასიათებელ დისციპლინას წარმატებით უხამებს შემოქმედებით მიდგომასა და არაორდინარულ აზროვნებას.

ქართული დიპლომატიური სამსახურის პროფესიონალიზმის დამსახურებაა, რომ საქართველოს მოქალაქეების დაცულობა მსოფლიოს ყველა კუთხეში წლიდან წლამდე უმჯობესდება, ხოლო საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟი მაღლდება.

დასკვნა

საქართველოს საგარეო პოლიტიკა გააზრებულ სტრატეგიასა და მყარ პრიორიტეტებს ეყრდნობა. საერთაშორისო ძალაუფლების განაწილების ცვალებადობის პირობებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს წარმომადგენლობები საზღვარგარეთ ახერხებენ ძირითადი პოლიტიკური კურსის შენარჩუნებას და განვითარებას და, იმავდროულად, ახდენენ გარემოსთან ტაქტიკურ ადაპტირებას.

საქართველოს ეროვნული ინტერესები რჩება საქართველოს საგარეო პოლიტიკის უპირობო ორიენტირად. ამ ინტერესებს კი საქართველოს ხალხის ნება განსაზღვრავს. საქართველოს დაბრუნება ევროპულ ოჯახში ჩვენი თაობის მთავარი მიზანია, რომლის ახდენაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს.



საქართველოს საბაზო ჰოლიტიკის აჩვენანი: სვდა დასავლეთისაჲ

ალექსი პეტრიაშვილი

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში
ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი

დღეს საქართველო უმნიშვნელოვანესი ცვლილებების მიჯნაზეა. საქართველოს უახლეს ისტორიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. სულ მალე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოეწერება ხელი, რომელიც საქართველოს მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედად იქცევა. ასევე ახალ ფაზაში უნდა შევიდეს საქართველო-ნატოს ურთიერთობები, რაც ნატოს მომავალი სამიტის გადაწყვეტილებით იქნება მნიშვნელოვანწილად განპირობებული.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოს წინაშე ურთულესი ამოცანები იდგა: საჭირო იყო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. უაღრესად რთული გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, რასაც თან ერთვის რუსეთის მიერ ინსპირირებული კონფლიქტები და ქვეყანაში მიმდინარე

სამოქალაქო ომი, საქართველომ თავისი ისტორიული არჩევანი გააკეთა და სტაბილურად აიღო პროდასავლური კურსი.

საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკური განვითარების ეს კურსი მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენების პირველივე დღეებიდან, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მე-20 საუკუნის დასასრულს კი არა, არამედ გაცილებით ადრე შეუდგა, საქართველოს მმართველი ელიტის ორიენტირს ყოველთვის დასავლეთი წარმოადგენდა. ისტორიული ქართველებისა და საქართველოს რთული წარსულის განმავლობაში საქართველოს დასავლური ორიენტაცია ის ღერძი იყო, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე არსებობა განაპირობა.

ამ სტატიაში ყურადღებას საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური განვითარების გზაზე და ამ მხრივ არსებული პერსპექტივების გაანალიზებაზე გავამახვილებთ.

**საქართველოს საგარეო პოლიტიკის
თეორიული ასპექტები**

თანამედროვე ეტაპზე, როცა მსოფლიო სულ უფრო და უფრო გლობალური ხდება, შეუძლებელია რომელიმე ქვეყანა აქტიური საერთაშორისო ურთიერთობების გარეშე წარმოვიდგინოთ. თანამედროვე საქართველო აქტიურად ცდილობს, განსაზღვროს თავისი როლი და ადგილი საერთაშორისო სისტემაში, რომლის პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიები მეტად ცვალებადია.

დღეს საერთაშორისო სისტემა გლობალიზაციის ტენდენციების გაძლიერებით ხასიათდება. გლობალიზაციის პროცესმა განვითარების ახალ საფეხურს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწია, როცა ქვეყნებს შორის გეოგრაფიულმა დაშორებამ თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა და განსაკუთრებით გაძლიერდა მე-20 საუკუნის მიწურულს, როცა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების წყალობით ქვეყანათა ურთიერთკავშირი საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, ინფორმაციის, იდეების, ხალხის, გარემოსა და ბიოლოგიური სუბსტანციების ინტენსიური მოძრაობის წყალობით არნახულად გაძლიერდა.

გლობალიზაციის პროცესი ხშირად რეგიონული ინტეგრაციული პროცესების განვითარების ხარჯზე მიმდინარეობს. თავისი არსით გლობალიზაცია ინტეგრაციის პროცესის ხარისხობრივ გაღრმავებას, ფუნქციონალურ გაძლიერებას და განვითარების ტერიტორიული განზომილების შემცირებას წარმოადგენს. ახალი რეგიონალიზმი, საკმაოდ განსხვავდება მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში მიმდინარე რეგიონული

ინტეგრაციისაგან. იგი პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს თანაბრად მოიცავს და გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ თავისუფალი ვაჭრობა.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ამ პროცესებში მეტ-ნაკლები ინტენსიურობით საქართველოც ჩართულია. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ამოცანა ქვეყნის სტაბილურ და უსაფრთხო გარემოში განვითარებაა. ამ ამოცანის მიღწევისათვის საქართველომ ევროპასა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება აირჩია.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დასავლეთთან საქართველოს პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მომავალი განვითარების თვალსაზრისით. პრაქტიკაში საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში თანმიმდევრულ ინტეგრაციაში აისახა. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან რამდენიმე წლის შემდეგ საქართველომ აქტიური ურთიერთობები დაიწყო ნატოსა და ევროკავშირთან, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქვეყნის ადგილი და როლი მსოფლიოში და ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიმართულებები. დასავლეთთან ეს ურთიერთობები პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს ეხება და ყველა ამ სფეროში ინტეგრაციის გაღრმავებას ემსახურება.

პოლიტიკური გადაწყვეტილების გარდა, საქართველოს ამ არჩევანს წმინდა პრაგმატული საფუძველიც გააჩნია. მხედველობაშია მისაღები ის ეკონომიკური

სარგებლიანობაც, რაც დასავლეთთან აქტიური ეკონომიკური ურთიერთობების საშუალებით შეიძლება მიიღოს ქვეყანამ.

საქართველო და ევროკავშირი

ევროკავშირი წარმატებული რეგიონული ინტეგრაციული კავშირის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, რომელმაც დიდი ხანია, ეკონომიკური განზომილებების გარდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. როგორც წესი, ევროკავშირი მასთან დაახლოების მსურველ ქვეყნებს მის მიერ აღიარებული ფასეულობების პატივისცემისა და დაცვისაკენ მოუწოდებს. გამონაკლისი არც საქართველოა. საქართველო სრულად იზიარებს ისეთ ფასეულობებს, როგორცაა ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა, თავისუფლება და უსაფრთხოება, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა, ხელსაყრელი ბიზნეს გარემო და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა.

სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის თითქმის 80% დასავლეთთან დაახლოებისა და ინტეგრაციის მომხრეა. საქართველოში დასავლეთისაკენ სწრაფვა პროგრესთან და კეთილდღეობასთან ასოცირდება. ეს მხოლოდ ასოციაცია არ არის. საქართველოში მიმდინარე რეფორმების საბოლოო მიზანი სტაბილური და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაა, რომელმაც მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალი დონე უნდა უზრუნველყოს.

საქართველომ ევროკავშირთან ურთიერთობები 1992 წელს დაიწყო, როცა ევროკავშირმა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სცნო. რამდენიმე წლის შემდეგ კი, 1996 წელს, ხელი მოეწერა ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (Partnership and Co-operation Agreement – PCA), რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა და რომელმაც თანამშრომლობის ინსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლები შექმნა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგისათვის სხვადასხვა წლებში შეიქმნა ისეთი სტრუქტურები, როგორცაა თანამშრომლობის საბჭო, საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი, დიალოგი ადამიანის უფლებების საკითხებზე, თანამშრომლობის კომიტეტი და ქვეკომიტეტები, რომელთა სხდომები ყოველწლიურად ტარდება. ქვეკომიტეტები შექმნილია, ფაქტობრივად, ყველა საკითხზე, მათ შორის, ვაჭრობის, ეკონომიკურ და სამართლებრივ საკითხებზე; სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე; ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, ენერგეტიკის საკითხებზე; დასაქმებისა და სოციალური საკითხების, სახელმწიფო ჯანდაცვის, ტრენინგების, განათლებისა და ახალგაზრდობის, კულტურის, საინფორმაციო საზოგადოებისა და აუდიოვიზუალური პოლიტიკის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საკითხებზე.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირთან სამართლებრივი ჰარმონიზაციის მიღწევის მიზნით

საქართველომ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. განხორციელდა და დღესაც მიმდინარეობს რეფორმები დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და გაძლიერების, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის შექმნისა და განვითარების, აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

2006 წლიდან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საქართველომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის საფუძველზე გააგრძელა. 2009 წლიდან კი ევროკავშირის ინიციატივის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში შემოთავაზებული ახალი მექანიზმებისა და ფორმატების საშუალებით საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგი და ეკონომიკური ინტეგრაცია კიდევ უფრო გარღმავდა.

ეს ინიციატივა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლა იყო. ინიციატივამ მეტი კონკრეტულობა შესძინა თანამშრომლობას და მკაფიო მიზნები – ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო მიმოსვლა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ეკონომიკური და სოციალური თავსებადობა – დასახა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეფორმირების პროცესში ევროკავშირის ფინანსური დახმარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. 1992-2006 წწ. სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში საქართველოს მიერ ათვისებულ იქნა 505.9 მლნ ევრო. დახმარება კიდევ უფრო გაიზარდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განხორ-

ცილების პერიოდში და 2007-2013 წწ. 300 მლნ. ევრო შეადგინა. ეს რიცხოვრივი მაჩვენებლები ცხადად მოწმობს, რომ ამ წლების განმავლობაში საქართველოში მიმდინარე რეფორმები, რომელიც ევროინტეგრაციის დღის წესრიგით იყო ნაკარნახევი, მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 2014-2020 წლებისათვის მოსალოდნელია ევროკავშირის დახმარების კიდევ უფრო გაზრდა. ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები – ასოცირების შეთანხმების განხორციელება, სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება, მართლმსაჯულებისა და საჯარო სამსახურის შემდგომი რეფორმირება იქნება.

შორს წაგვიყვანს იმის ჩამოთვლა და გაანალიზება, კონკრეტულად თუ რა რეფორმები განხორციელდა და რომელი სფეროების მოდერნიზება მოხდა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რეფორმები ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში განხორციელდა. თუმცა ეს რეფორმები სხვადასხვა სფეროში განსხვავებული ინტენსივობით ხასიათდება. იყო პერიოდი, როცა რეფორმების ტემპი კლებულობდა, ან იმ მიმართულებით არ ხორციელდებოდა, რაც ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციას შეუწყობდა ხელს. თუმცა საერთო ჯამში, განხორციელებული რეფორმების წყალობით საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რაც ადეკვატურად აისახა ევროკავშირთან შემდგომი ურთიერთობების ინტენსიფიკაციით.

ევროკავშირის ინიციატივის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დაწყებიდან სულ რაღაც რამდენიმე წელში უკვე სახეზეა

თანამშრომლობის პოზიტიური შედეგები. კერძოდ, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ორმხრივი განზომილების ფარგლებში, 2010 წელს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე, ხოლო 2012 წელს მის შემადგენელ ნაწილზე – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ – დაიწყო მოლაპარაკება, რომელიც 2013 წლის ივლისში დასრულდა. ამჟამად საუბარი ევროკავშირთან უკვე ასოცირების დღის წესრიგის შემუშავებაზე მიმდინარეობს, რომელიც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას ჩაანაცვლებს.

ასევე, 2011 წლიდან ძალაშია სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმიის შესახებ ხელშეკრულებები, რომელთა განხორციელებაში საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით ევროკავშირმა გასული წლის ივნისიდან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგი დაიწყო. ამჟამად, შესაბამისი სამოქმედო გეგმის სამართლებრივი ნაწილის განხორციელება მიმდინარეობს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის მთელ რიგ ცვლილებებს უკავშირდება და რომელიც ეტაპობრივად და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური კონსულტაციების თანხლებით მიმდინარეობს.

მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს რუსეთთან კონფლიქტი, რომელიც 2008 წლის აგვისტოში ომში გადაიზარდა და საქართველოს ტერიტორიის თითქმის 20%-ის ოკუპაციით დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი, ასევე, განსაკუთრებულ როლს ასრულებს საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი

დარეგულირების პროცესში, რასაც მოწმობს მისი მხარდაჭერა საქართველოს უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი. ევროკავშირი აშშ-თან და ეუთოსთან ერთად ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეა, საქართველოში ახორციელებს სადამკვირვებლო მისიას (EUMM) და მოვლინებული ყავს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი.

ზემოაღნიშნული სირთულეების მიუხედავად, საქართველო დგამს კონკრეტულ ნაბიჯებს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების თვალსაზრისით. ეკონომიკური, კონკრეტულად კი სავაჭრო ურთიერთობების კუთხით, პროგრესიც კი შეინიშნება, მაგრამ ეს პროგრესი ვერ და არ იქნება საპირწონე საქართველოს უმთავრესი ეროვნული ინტერესებისთვის, კერძოდ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის.

დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველად მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული შეცვლა. ეს მოვლენა – ძალაუფლების დემოკრატიული შეცვლა – ასევე, პირველი ფაქტი იყო პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. საქართველომ დაამტკიცა, რომ იგი დემოკრატიული და შესაბამისად, ევროპული ღირებულებების ერთგულია და მტკიცედ მიჰყვება არჩეულ კურსს. დემოკრატიის ეს პროგრესი

კიდევ უფრო განმტკიცდა 27 ოქტომბერს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებით, რომელიც მნიშვნელოვანი პლურალიზმითა და სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემოს პირობებში მიმდინარეობდა.

დემოკრატიული გზით არჩეულმა მთავრობამ მმართველობის პირველსავე დღეებში დაადასტურა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პროდასავლური კურსისადმი ერთგულება და კიდევ უფრო ინტენსიურად შეუდგა ევროინტეგრაციის დღის წესრიგის განხორციელებას და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია.

მთავარი ის არის, რომ ევროკავშირმა აღიარა საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი და მისი ევროპული მისწრაფება. ამის ნათელი დადასტურებაა ის გარემოება, რომ 2013 წლის ივლისში საქართველომ მოლაპარაკებათა რამდენიმე რაუნდის შემდეგ დაასრულა მოლაპარაკება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ, რომელიც, ასევე, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებას. ხოლო, ამავე წლის 28-29 ნოემბერს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე მისი პარაფირება მოხდა, რითაც საქართველოს ევროპული კურსის შეუქცევადობის სამართლებრივ საფუძვლებს ჩაეყარა საძირკველი.

ასოცირების შეთანხმების განხორციელებით საქართველო, პრაქტიკულად, ევროპულ ქვეყნად ჩამოყალიბდება, სადაც დემოკრატიული პროცესები, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა და ძირითადი თავისუფლებები სათანადო დონეზე იქნება უზრუნველყოფილი შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობით.

ასოცირების შეთანხმების განხორციელებით ინიცირებული და გაძლიერებული პროგნოზირებადი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო, ასევე, გაზრდის საქართველოს, როგორც ეკონომიკური პარტნიორის, მიმზიდველობას.

საქართველო და ნატო

საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნის, განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული მის უსაფრთხოებასთან. აქ არა მარტო თავდაცვისუნარიანობა იგულისხმება, არამედ შიდა პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგოუსაფრთხოების სფეროები და ა.შ.

სწორედ გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორიის მანძილზე საქართველოს სუვერენიტეტი, უსაფრთხოება და განვითარება ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების ძიება ევროატლანტიკური უსაფრთხოების სივრცეში 90-იან წლებში დაიწყო.

ამ მხრივ, პირველი ნაბიჯები გადადგმულ იქნა 1992 წელს საქართველოს ჩართვით ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში. მომდევნო ეტაპზე, 1994 წელს საქართველო ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PFP) პროგრამას შეუერთდა.

2002 წელს პრალაში გამართულ ნატო-ს სამიტზე კი საქართველომ ოფიციალურად განაცხადა ალიანსში გაწევრიანების სურვილის შესახებ.

2003 წლიდან საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ნატო-ში გაწევრიანების გზაზე, როგორც ალიანსის პოლიტიკის ნების ჩამოყალიბების, ასევე ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოების კუთხით.

2004 წელს საქართველომ ნატო-სთან თანამშრომლობა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) ფარგლებში დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინსტრუმენტი არ არის ალიანსში გაწევრიანების მექანიზმი, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების განხორციელებისა და ნატო-სთან ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით იგი მნიშვნელოვანი იყო.

2006 წლიდან საქართველომ ნატოსთან გაწევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგი (ID) დაიწყო, რაც ერთგვარ მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც საქართველო ნატო-ში გაწევრიანების აუცილებელ კრიტერიუმებს გაეცნო.

საქართველოს ნატოში ინტეგრირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო 2008 წლის აპრილში, ბუქარესტში გამართული ნატო-ს სამიტი, სადაც ალიანსის წევრ-სახელმწიფოთა მეთაურებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, საქართველო ნატო-ს წევრი ქვეყანა გახდება. ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება არაერთხელ იქნა დადასტურებული და განმტკიცებული ნატო-ს მომდევნო სამიტებზე.

2008 წლის აგვისტოში საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგ ნატო-ს გადაწყვეტილებით, ნატო-საქართველოს კომისია (NGC) შეიქმნა, რომელიც პოლიტიკური კონსულტაციების ფორუმსა

და პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმს წარმოადგენს. NGC-ის ფარგლებში ყველა სამუშაო დონეზე რეგულარულად იმართება თემატური კონსულტაციები. ყოველწლიურად 20-ზე მეტი შეხვედრა ტარდება პოლიტიკურ, უსაფრთხოების, თავდაცვის, დემოკრატიის, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების, ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ა.შ. საკითხებზე.

იმავე წლის დეკემბერში, საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამის – (ANP) განხორციელების საშუალება მიეცა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნატო-ს გაფართოების პოლიტიკის პრაქტიკიდან გამომდინარე, ANP-ს მხოლოდ MAP-ში ჩართული ქვეყნები ახორციელებდნენ. დოკუმენტი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორც არის სამხედრო რეფორმა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ეკონომიკური განვითარება და სხვ. ამ რეფორმების განხორციელება, პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობისთვის და საქართველოს, როგორც თანამედროვე, ძლიერი, ევროპული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის არის მნიშვნელოვანი. მეორე მხრივ, წლიური ეროვნული პროგრამის განხორციელება ხელს უწყობს ქვეყნის ნატო-ს სტანდარტებთან მაქსიმალურად დაახლოებას. ამჟამად საქართველო ANP-ს მეხუთე ციკლს ახორციელებს.

საქართველო სრულად იყენებს ANP-სა და NGC-ის შესაძლებლობებს, რომლებიც მყარ საფუძველს უქმნის ალიანსს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების – საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების – განსახორციელებლად.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2010 წელს საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისი გაიხსნა, რომელიც მოწადინებულია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს საქართველოს რეფორმების განხორციელების პროცესში.

შემდგომ წლებში ნატო-საქართველოს ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. 2011 წელს ბერლინში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე ალიანსისა და საქართველოს ისტორიაში პირველად იქნა მიღებული ერთობლივი დეკლარაცია.

საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2012 წელს გამართულ ჩიკაგოს სამიტზე ქართულმა მხარემ სამიტის ყველა შეხვედრაში (გარდა უშუალოდ ნატო-ს წევრი სახელმწიფოების შეხვედრისა) მიიღო მონაწილეობა.

ჩიკაგოს სამიტის შემდეგ საქართველოს ნატოში ინტეგრაციამ სრულიად ახალი დინამიკა შეიძინა: მოხდა საქართველოს დაჯგუფება ბალკანეთის MAP-ის მქონე ქვეყნებთან. ამ მხრივ, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა. ეს არის ახალი ფორმატი და პოლიტიკური გზავნილი, რომელმაც გაფართოების კონტექსტში მეტი დინამიკა შექმნა. ხაზი უნდა გაესვას 2013 წლის ივნისში საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტს. თავისთავად ნიშანდობლივია, რომ ნატოს ასეთი ტიპის ვიზიტები მსგავსი სიხშირით არა-წევრ ქვეყნებში არასდროს გაუმართავს. 2008 წლის შემდგომ, ეს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მესამე ვიზიტია საქართველოში, რაც ნატო-ს მიერ საქართველოსა და მისი ალიანსში გაწევრიანების სურვილის ძლიერ

პოლიტიკურ მხარდაჭერას ადასტურებს და ეს არის მხარდაჭერა, პირველ რიგში, საქართველოს საზოგადოების, რომელიც აბსოლუტური უმრავლესობით უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებას.

ამასთან, საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ჩვენი ქვეყანა არის უმსხვილესი კონტრიბუტორი ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის და პირველი კონტრიბუტორი ერთ სულ მოსახლეზე ალიანსის წევრ ქვეყნებში ავღანეთში მიმდინარე ნატოს ოპერაციაში. ჩვენ მზადყოფნა გამოვთქვით 2014 წლის შემდეგ ვითანამშრომლოთ ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ავღანეთში მიღწეული პროგრესის უზრუნველსაყოფად.

საგულისხმოა, რომ 2015 წელს საქართველო გაწევრიანდება ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში, რაც ნატო-ს წევრ ქვეყნებთან ერთად ალიანსის მიერ დაგეგმილ ოპერაციებში მონაწილეობას გულისხმობს.

ბუქარესტის გადაწყვეტილების შემდეგ, სადაც ნატო-მ განაცხადა, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი, კითხვის ნიშანი აღარ დგას იმასთან დაკავშირებით გავხდებით თუ არა ჩვენ ნატო-ს წევრები, საკითხი დგას, თუ როდის და რა გზით მოხდება ეს.

სწორედ ამასთან დაკავშირებით მეტი სიცხადის შეტანა იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი 2014 წელს დიდ ბრიტანეთში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე.

ამასთანავე, საქართველოს მთავრობის ოპტიმისტური განწყობის მიუხედავად, დაუშვებელია, ზედმეტი და არასწორი მოლოდინების შექმნა სამიტთან მიმართებაში. კარგად უნდა იქნეს

გაცნობიერებული, რომ 2014 წლის ნატო-ს სამიტზე საქართველო არ მიიღებს ალიანსში გაწევრიანების მოწვევას, თუმცა საქართველოს წინაშე მდგარი რეალისტური ამოცანა ნატოს მხრიდან კიდევ უფრო მკაფიო და ნათელი გზავნილის მიღებაა, რომელიც ცხადად განსაზღვრავს, თუ რა გზით გააგრძელებს საქართველო გაწევრიანების პროცესს.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი დასავლეთისაკენ არის მიმართული, რაც ქვეყნის დემოკრატიულ და თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ემსახურება. საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ემსახურება და გლობალურ მსოფლიოში ქვეყნის სრულფასოვან ინტეგრაციას უწყობს ხელს. საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმიშვნელოვანესი

მიზნები ნატოს და ევროკავშირის წევრობას უკავშირდება. ამ სტრუქტურებთან თანამშრომლობას განუზომელი წვლილი შეაქვს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევაში, რაც აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობის მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის. მრავალრიცხოვანი წინააღმდეგობებისა და რუსეთთან კონფლიქტის მიუხედავად, საქართველოში განხორციელებულმა ცვლილებებმა თავისი პოზიტიური შედეგი უკვე მოიტანა.

საქართველოს წინაშე მდგარი ახალი გამოწვევები კიდევ უფრო მასშტაბურია. თუმცა მოსალოდნელი შედეგებიც უფრო ხელშესახები იქნება. მომავალში დინამიური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების საშუალებით საქართველოს ყველა წინაპირობა გააჩნია, რათა გლობალური მსოფლიოს და ცივილური საერთაშორისო საზოგადოების ღირსეული და სრულფასოვანი წევრი გახდეს.



საქართველოს ჰყავს მეზობლები, ჯახსნიოხები და ჯა ბაღაშიჩენი ხენიბასოლობები* (ხაბენიბე ჰოღაშიაუხი მოსახეზა)

თედო ჯავარიძე

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

*„ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით“
კარლ კლაუზევიცი*

რა მოხდა 2012 წლის ოქტომბერში?

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა საქართველოს ნორმალური განვითარების შანსი მისცა. ბუნებრივია, ძალადობით მოსული ხელისუფლების დემოკრატიულობაზე საუბარიც არ შეიძლება. ამდენად, ნაციონალურ მოძრაობაზე გამარჯვება არჩევნებით და არა რევოლუციით, სასიკეთო გარღვევაა. თუმცა, წინასაარჩევნო კამპანია და ხმების დათვის პროცესიც საქართველოს უახლეს ისტორიაში შევა, როგორც უსამართლო, ამორალური, ზნეობრივ სიმახინჯემდე მისული წინასაარჩევნო პოლიტიკური ფარსი და ხელისუფლების მხრიდან ფსიქოლოგიური, ფიზიკური და ფინანსური ტერორის ამაზრზენი მაგალითი. ამ ფონზე დამაიმედებელია ევროპული, დემოკრატიულ ყაიდაზე მოსული, ახალი ხელისუფლების ევოლუციური

განვითარებისა და გააზრებული რეფორმების დაპირება. თუმცა, საარჩევნო პროცესი და ქვეყნის მართვა რთული ტრანსფორმაციაა, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. არჩევნებიდან უკვე წელიწადზე მეტი გავიდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ეტაპზე თავისუფალი ბაზრის დამკვიდრებას და ევროპულ, ევროატლანტიკურ მისწრაფებებს მნიშვნელოვნად უშლის ხელს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის „კატეგორიული“ არჩევანის გაკეთების ქართული პოლიტიკის (და არა მხოლოდ) სამწუხარო ტრადიციადქცეული სინდრომი.

სახელმწიფო (დიდიც და პატარაც) კონსპირაციის თეორიებზე მგრძნობიარედ

** ამ სტატიის შემოკლებული ვარიანტი პირველად გამოაქვეყნა სააგენტო „რეპორტიორი“*

მაშინ რეაგირებს, როდესაც ახალი გეოპოლიტიკური ვითარება ყალიბდება. ახალი დემოკრატიის დროს საგარეო პოლიტიკა „ბუნებრივად“ ხდება შიდა პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტი და ქვეყანა „მოღალატეებად და პატრიოტებად“ დაყოფილი. ემოციური მოლოდინის მიუხედავად, გარდამავალი პერიოდი საქართველოში ელვისებური ვერ იქნება, ხელისუფლების მხრიდან დინჯი, აწონილი ნაბიჯებია საჭირო. კარგია, რომ ამ მხრივ დადებითი და შეუქცევადი ტენდენციები მყარად გამოიკვეთა.

სამხრეთ კავკასიური ნიშა ახალ მსოფლიო წესრიგში

ვფიქრობ, სამხრეთ კავკასიაში და მის სიახლოვესაც კოლექტიური უსაფრთხოების ელემენტარული მექანიზმიც კი არ არსებობს. ქართველი პოლიტიკოსები ევროკავშირს და დასავლეთს დღეში, მინიმუმ სამჯერ კი ახსენებენ, მაგრამ ევროპიდან რეალურ მხარდაჭერაზე საუბარი ნაადრევი მეჩვენება. მხოლოდ მოწოდება, რომ მივდიოთ „ევროპულ გზას“, იმის მიუხედავად, ვიცით თუ არა, როგორია ეს გზა და რა გველის ამ გზის ბოლოს, კითხვის ნიშნებს ტოვებს. დასაფიქრებელი ბევრია: გასული საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო წესრიგი აღარ არსებობს, დამთავრდა ცივი ომი და შეიცვალა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის წესები, თუმცა, ჩვენ ჯერ კიდევ „ცივი ომისდროინდელი“ (შესაძლოა გაცილებით ადრინდელი – XVIII-XIX საუკუნეების) მეთოდებით, ინსტრუმენტებით და მენტალობით ვცდილობთ მოვავაროთ პრობლემებიც, ურთიერთობებიც და კონფლიქტებიც. ბონაპარტესი არ იყოს, ისტორიის საბოლოო

შედეგი გეოგრაფიაა: საბჭოთა კავშირი კი გაქრა პოლიტიკური რუკიდან, მაგრამ საქართველო რჩება რუსეთის ფედერაციის მეზობლად (აი, ეს კი ნამდვილად მუდმივი და უცვლელი პერსპექტივაა!), აქედან გამომდინარე, პრობლემებით. მეზობლობა მეზობლობად და, ყოველ წამს უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთამდე ჩრდილოეთ კავკასიაა, ურთულესი რეგიონი და კრემლის თავსატეხივარი – ისტორიულადაც და დღესაც. სწორედ ჩრდილო კავკასია ეწოდება ჩვენს მეზობელ ურთულეს მუსლიმანურ სამყაროსაც – ახლო აღმოსავლეთი, ტურბულენტური რეგიონი, რომლის ნებისმიერ შიდა პრობლემას თუ წინააღმდეგობას გლობალური „თამაშისათვის“ იყენებს აგრესიული ისლამური ფუნდამენტალიზმი. არც ჩრდილო კავკასიასთან საქართველოს, ხშირ შემთხვევაში, მწარე ისტორიული გამოცდილებაა დასავიწყებული. თუმცა, ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, კონკრეტულ და უმძიმეს სახელმწიფო პრობლემად კი ჩვენთვის ის რჩება, რომ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტი რუსეთის ფედერაციის მიერ არის ოკუპირებული და ამ ჩიხიდან გამოსავალია მოსაძებნი. მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტიც (საერთაშორისო ტერორიზმი, ხელახალი გადანაწილება და „დიდი კომპრომისის“ მიღწევის გლობალური მცდელობა) არ იძლევა მოდუნების საშუალებას. ვიმეორებ, პოლიტიკურ წესრიგთან ერთად დღევანდელ მსოფლიოში გამოწვევებიც შეიცვალა. საერთაშორისო თანამეგობრობა საერთო საფრთხეების აქამდე უცნობი, ე.წ. არასისტემური, ასიმეტრიული პრობლემების წინაშე დგას და იძულებულია, ახალ ამოცანებს არაპრობირებული საშუალებებით

უპასუხოს. შესაბამისად, ეგრეთწოდებული „განაპირა ევროპის“ სახელმწიფოებსაც რთული პერიოდი უდგათ. სამხრეთ კავკასია და შავი ზღვის რეგიონი ორ „გარდამავალ პერიოდს“ შორის მომწყვდეულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ „დექავიუდ“ იქცა, ის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ცენტრალურ ევროპას წააგავს. „ევროპაში დაბრუნების“ სურვილის საწინააღმდეგოდ კი გააქტიურებულია რუსეთის ფედერაციის პოსტიმპერიული ფაქტორი (რომელიც 2008 წლის ომის შემდგომ უფრო ხისტი და აგრესიული გახდა) და მოსკოვის მიერ „ახლო საზღვარგარეთის“ ადეკვატური აღქმის მიმღე პრობლემა. პარალელურად, ვაშინგტონი და მოსკოვი ვერ გასცდნენ „სურვილის ეტაპს“ ე.წ. „გადატვირთვის“ პოლიტიკაში. მოუგვარებელ პრობლემად რჩება ახლო-აღმოსავლეთის კონფლიქტიც და ჩრდილო კორეის გამო თავისტკივილიც. დასავლეთმა არ იცის, რა უნდა მოიმოქმედოს სირიაში, არ იხსნება ირანული კვანძი, კვლავ გამძაფრებულია ტერიტორიული დავები აზიაში და არავინ უწყის, როგორი იქნება არაბული რევოლუციების შედეგი.

ამ „ინსტიტუციონალურ გაურკვეველობაში“ (თუკი ეს მხოლოდ „ინსტიტუციონალური გაურკვეველობაა“ და არა მენტალური აბერაცია) რამდენიმე პოსტსაბჭოთა სახელმწიფო ფიქრობს ევრაზიულ (ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა საუბარი და ისიც მხოლოდ ერთიან საბაჟო კავშირზე) სივრცესთან და ევროკავშირთან ერთდროულ დაახლოებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს, რეალურ პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ, თუნდაც ტექნიკურად არის შეუძლებელი. ფაქტია ისიც, რომ დასავლეთი საქართველოსაგან ევროკავშირთან და რუსეთთან

ურთიერთობების პარალელურ რეჟიმში დარეგულირებას ითხოვს. აქაც არის ლოგიკა – დასავლეთის ამგვარი მიდგომა არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალური ხასიათის სტაბილურობას ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. აქ დიდი დოზა იმისაა, რომ მას, დასავლეთს, არ სურს გაიჩინოს ახალი თავის ტკივილი (ისევ 2008 წლის ომი და მისი შედეგები გავიხსენოთ!). რეალობაა, რომ დასავლეთს რუსეთთან დაკავშირებით უამრავი პრაგმატული და მატერიალური ინტერესი აქვს. ამის გარდა, უამრავი შიდა „თავის ტკივილია“ ევროპის შიგნით და დეზინტეგრაციული პროცესებიც აშკარაა. პარალელურად, დღეს ვაშინგტონი სხვა მიმართულებით – აზიისა და წყნარი ოკეანისკენ იცქირება. ამერიკის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ნუსხა ჩინეთით იწყება. თუ დავუშვებთ, რომ საქართველოსთვის დასავლეთ-რუსეთის უმტკივნეულო კომბინაცია გადაწყვეტადი ამოცანაა – და არა თეორიულ-ილუზორული ნარატივი, მაშინ ბრიუსელისგანაც და მოსკოვისაგანაც, მინიმუმ, აუცილებელია ჩვენს რეგიონთან დაკავშირებული ერთმანეთში შეჯერებული და ჩვენთვის ცხადი პოზიცია გაჟღერდეს. ეს თითქოს ესმით ჩვენს პარტნიორებს, მაგრამ ერთია, ესმით. ჯერჯერობით კი ფონეტიკური აქტივობისა და „ახალი“ ურთიერთობის უამრავი ინიცირებული ფორმატის მიუხედავად, დილემა მხოლოდ სურვილისა და დეკლარაციის დონეზეა მიტოვებული. ვფიქრობ, რომ ამ კონკრეტულ მოცემულობაში გეოპოლიტიკურის პარალელურად, უნდა შევექმნათ „რეგიონული კონტექსტიც“. ეს რთული ამოცანაა, ჩვენი გადასაწყვეტი დილემაა და ამ მიმართულებით მცდელობა არც ქვეყანაში და არც მის ფარგლებს გარეთ არ უნდა შეფასდეს, როგორც ფასეულობათა

„ღალატი“. სხვათაშორის, ეს არ გახლავთ „ვინმე თედო ჯაფარიძის აკვიატება“ – ამას გვირჩევენ ჩვენი უმაღლესი რანგის დასავლელი კოლეგები, ცნობადი სახეები, რომლებსაც ამ ცხრა წლის განმავლობაში ასე ეკეკლუცებოდნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები და თავს ახვევდნენ საკუთარ ვირტუალურ ნარატივს საქართველოს „გლობალური მისიის“ თაობაზე. რეგიონული კონტექსტის პრიორიტეტი არ ნიშნავს იზოლირებას, ქართული სახელმწიფოსათვის სივრცის შეზღუდვას და მხოლოდ რეგიონული განზომილების დომინანტს. პირიქით, ეს პოტენციალია გლობალურ უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილის შესატანად და, შესაბამისად, პოლიტიკური დივიდენდის მისაღებად. „გლობალურ თამაშში“ მაქსიმალურად მონაწილეობა სწორედაც რომ რეგიონში გამორჩეულ, მნიშვნელოვან, პასუხისმგებლობით სავსე სახელმწიფოს ძალუმს. ამაშია სიძლიერე და არა რუსეთსა და დასავლეთს შორის „ბერლინის ახალი კედლის“ შენებაში. რატომ არ უნდა მივხედოთ უშუალოდ ჩვენს პრობლემებს? რატომ არ უნდა შევეშვათ გრანდიოზულ გეგმებზე რიტორიკას? რაში გვჭირდება და რას გვაძლევს ახალი „ბერლინის კედლის“ საქართველოში შენება? ნუთუ ძნელია იმის აღქმა, რომ საქართველოს გლობალური როლი და ფუნქცია თვით საქართველოში განვითარებულ მოვლენებსა და რეფორმების შეუქცევადობაზე იქნება დამოკიდებული?

აბა, მართლაც ვეცადოთ, დავამკვიდროთ ევროპული ინსტიტუციები, კანონიერება. რეალური სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური პროგრესი ხომ, პირველ ყოვლისა, ქვეყნის შიგნით შექმნის მიმზიდველ გარემოს? ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს ჩვენი მოქალაქეებისათვის და

არა ევროპისათვის თუ ამერიკისთვის. ევროპელები და ამერიკელები ამაში დაგვეხმარებიან, მაგრამ ჩვენ გასაკეთებელ საქმეს არ გააკეთებენ. გარდა ამისა, ჩნდება ცხინვალთან და სოხუმთან ურთიერთობების დარეგულირების პრეცედენტის შანსი. იარაღის ჟღარუნის დრო უნდა დასრულდეს. საქართველო პატარა სახელმწიფოა, მაგრამ თავისი გეოგრაფიიდან და დღევანდელი მსოფლიო კონიუნქტურიდან გამომდინარე (საერთო გამოწვევები), ჩვენთვის აქტუალური დღის წესრიგია გლობალური უსაფრთხოების თემები და არა „გამარჯვებულ-დამარცხებულის“ შუასაუკუნეობრივი პრინციპი და საომარი ყიჟინა. ჩვენი გზა „გამარჯვებულ-გამარჯვებულის“ არჩევანია პოლიტიკური ტრაექტორიით: რეგიონალურიდან გლობალურისაკენ. ვიმეორებ, ევროკავშირსაც არა აქვს გამოკვეთილი რეგიონში თავისი ჩართულობა. მაგალითად, ბალკანეთზე იგი ინსტიტუციურ დაახლოებას, მმართველობითი სისტემების დანერგვას და ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავებას ცდილობს, მაგრამ იმავეს არ აკეთებს სამხრეთ კავკასიაში, რაც, ალბათ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და ძირითად მოთამაშეებთან შეუთანხმებელი რეგიონალური მიდგომის ბრალია. სამხრეთ კავკასია კი ბალკანეთი არ არის – სხვა გეოგრაფიაა, სხვა ისტორია, პერსპექტივა და ამიტომაც სრულიად გამორიცხულია მიდგომების ავტომატური კოპირება – რაც პოლიტიკურად პროდუქტიული იყო ბალკანეთში, სამხრეთ კავკასიაში ვერ გამოდგება! თუკი ვთანხმდებით ევროპელებთან, რომ სამხრეთ კავკასია ევროკავშირის „სამეზობლო პოლიტიკისა“ და რუსეთის „ახლო საზღვარგარეთის“ მისწრაფებების გადაკვეთის წერტილია,

მაშინ დასავლეთმა დროულად უნდა გაითავისოს ჩვენი რეგიონის დემოკრატიული პერსპექტივა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების რთულ კონტექსტში. ეს პროცესი არ დაიძვრება (და თუ დაიძვრება, დაიბლოკება) რუსეთის ფედერაციის ჩართულობის გარეშე. მოსკოვის გარიყვის მცდელობა, უკეთეს შემთხვევაში, პოლიტიკური დილეთანტიზმია. მე ამგვარი მოსაზრებები ხშირად მომისმენია მსოფლიოს წამყვანი ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მხრიდან, მით უმეტეს, დღევანდელ მსოფლიოში, სადაც სახელმწიფოთა ურთიერთსაჭიროებაა დომინანტი და საერთო პრობლემებმა (ეკოლოგია, კლიმატური დათბობა, სოციალ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემები) აშკარად უკანა პლანზე გადასწია ტრადიციული სახის საერთაშორისო გამოწვევები და რისკები. ამგვარი, სახეშეცვლილი უსაფრთხოების პარამეტრებში, წამყვანი სახელმწიფოები სრულიად პრაგმატულად ფიქრობენ მრავალმხრივად სასარგებლო გლობალურ, ერთობლივ ინიციატივებზე და ნაკლებად აინტერესებთ ირაციონალური დაპირისპირებები წინა საუკუნისა და, როგორც უკვე ვამბობდი, „ცივი ომის“ სტილში. ამ ეტაპზე მაინც უნდა შევიგნოთ, რომ მსოფლიო არ არის საქართველოს მტრებისა და მოყვარეების ორად გაყოფილი ბანაკი. საერთაშორისო თანამეგობრობას ჩვენს გარდა, სხვა საფიქრალიც ბევრი აქვს. ამდენად, სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრება გვიწევს არა მარტივ, არამედ კომპლექსურ სამყაროში, სადაც სახელმწიფოებს შორის მრავალმხრივად და ორმხრივად სასარგებლო ალიანსები დომინირებს და არა მართლისა და მტყუანის დაპირისპირება. ამ სიტუაციაში

კი „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“ პოლიტიკური ატავიზმია. სულ უნდა გვახსოვდეს: საუკეთესო შემთხვევაში საქართველოს ჰყავს მეგობრები, პარტნიორები და არა გადამრჩენი რეანიმატოლოგები.

რეგიონიდან გლობალურ პოლიტიკაში და არა, პირიქით

სახეცვლილი ლაიტმოტივით, მაგრამ ხელახალი მსოფლიო გადანაწილება, აქცენტების მონაცვლეობა – თუნდაც ეკონომიკური, თუნდაც ენერგორესურსების, სავაჭრო და სატრანზიტო მარშრუტების – სახეზეა. რთულ ვითარებაში არ უნდა დავიბნეთ და უნდა მოვძებნოთ საკუთარი ნიშა! გვაქვს საკუთარი პრობლემები – კონფლიქტები, დაკარგული ტერიტორიები, ურთულესი ურთიერთობები რუსეთთან და ა.შ. ბუნებრივია, მათი მოგვარება დასავლეთის გარეშე ვერ მოხერხდება. ასეთ დროს კი, უპირველესი საფიქრალი ის გახლავთ, როგორ მოვიქცეთ, რომ გავუხსნათ ხელ-ფეხი დასავლეთს ჩვენს დასახმარებლად, რაც გაცილებით ადვილი იქნება რუსეთთან მისი ურთიერთობების მაქსიმალური ნორმალიზაციის პირობებში. დიალოგი რთული პოლიტიკური ხელოვნებაა და იმისათვის, რომ საკუთარი პრობლემა მოაგვარო და ხელოვნურად არ გააჭიანურო, ნაკლებად გაღიზიანებულ პარტნიორს ითხოვს. მე ამას ხშირად ვამბობ: საქართველო არ უნდა იყოს გამაღიზიანებელი დასავლეთსა და რუსეთს შორის. დიდ პოლიტიკაში მოცემულობა ზოგჯერ პირობითი ცნებაა და არაფერია გარანტირებული. ყველაფერს „სტრატეგიული ფასი“ აქვს და ეს ფასი დღეს ჩვენთვის ალბათ 100-ჯერ, 1000-ჯერ მეტია (თუ მეტი არა, და თუ საერთოდ

კიდევ არსებობს ეს ფასი ბუნებაში), ვიდრე 2008 წლის ომამდე იყო. ესეც რეალობაა, რასაც თვალი უნდა გავუსწოროთ. უნდა მოვახერხოთ და გავხადოთ საქართველო ის სივრცე, სადაც რუსეთი და დასავლეთი კი არ ერკინება ერთმანეთს, არამედ თანხმდება და აჯერებს საკუთარ ინტერესებს.

„ნაკლებად გაღიზიანებული პარტნიორი“ ბუნებრივია, წარმატების გარანტიას არ იძლევა, თუმცა ქმნის სხვა, გაცილებით კონსტრუქციულ განწყობას და აჩენს თუნდაც ბუნდოვან პერსპექტივას. პერსპექტივა კი გარკვეული, თუნდაც თეორიული, შანსია პრობლემების მოსაგვარებლად. „შანსის გაჩენა“ კი დიპლომატიასა და საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთი მთავარი თემაა და არა მეორეხარისხოვანი საკითხი. ამიტომაც, უნდა გავუადვილოთ ჩვენს დასავლელ მეგობრებს რთული დიალოგი კრემლთან საერთო კონტექსტშიც და ჩვენს პრობლემებთან დაკავშირებითაც. ეს არ იქნება ადვილი „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ გეოპოლიტიკური ინტერესების გამო, განსაკუთრებით კი, ვიმეორებ, 2008 წლის ომის შემდეგ. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია პუტინს კვლავ ვუწოდოთ ლილიპუტინი (ის ხელისუფლებაში კიდევ 12 წელი იქნება!) და ველოდოთ როდის დაიწყებს „განრისხებულ“ დასავლეთი მითიურ ომს რუსეთთან საქართველოს გულისთვის... თავი როგორმე უნდა დავაღწიოთ პოლიტიკურ პროვიციალიზმს და უნდა გავითავისოთ, რომ სამხრეთ კავკასიის ფუნქცია დღეს არის დამაკავშირებელი ხიდი და არა ბუფერი. რეგიონის კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმები მნიშვნელოვანი ფაქტორია ფართო კონტექსტში – ჩრდილოეთითაც, სამხრეთითაც და აღმოსავლეთის მიმართულებითაც. დღევანდელ

მსოფლიო წესრიგში სამხრეთ კავკასია არის უსაფრთხოების ყველა გლობალური პრობლემის ერთ-ერთი გეოგრაფიული ცენტრი. თუკი, ამერიკელები ნამდვილად ახორციელებენ გადატვირთვას რუსეთთან (რა თქმა უნდა საუბარია გადატვირთვაზე უსაფრთხოების სფეროში და არა ტოტალურ ცვლილებებზე ურთიერთობებში, ვინაიდან ამერიკა და რუსეთი სხვადასხვა გეოპოლიტიკური ინტერესების და კოდის, პოლიტიკური პლუსის და მინუსის მატარებელი ქვეყნებია), ეს გასაგები უნდა გახდეს ჩვენთვისაც.

სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების განსაზღვრა და ერთგვარ გარანტიებზე ფიქრი შესაძლებელია მხოლოდ სრული ინფორმირების პირობებში, თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დიდ პოლიტიკაში გარანტიების მოცემას ერიდებიან, ეს რთული თემაა და ყველა სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ინტერესებზე ფიქრობს. სამწუხაროდ, დღეს ევროკავშირის და ნატოს წევრობის პერსპექტივა ზღვის ჰორიზონტია, რაც ძალიან ლამაზად კი მოჩანს, მაგრამ არ იცი, ოდესმე მიაღწევ მას თუ ვერა, რაც უნდა „მაპი“ ან „მაპზე“ უკეთესი გვიბომოს ვინმემ. ბანალურ ფონეტიკად ქცეულ „ღია კარს“ და წინააღმდეგობას ვაწყდებით ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით და თანაც მაშინ, როდესაც საქართველო აქტიურად მონაწილეობს სამშვიდობო ოპერაციებში ალიანსის ეგიდით. ჭკუა უნდა ვისწავლოთ და პარალელურად საგარეო პოლიტიკაში „შეუძლებელი არჩევანის ტრაექტორიით“ ვიაროთ – სწორედ ეს ურთულესი მომენტი უნდა გამოვიყენოთ საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. უნდა განვსაზღვროთ ეროვნული სტრატეგია, გამოვიდეთ ილუზიებიდან, მოვახერხოთ რეალურ პოლიტიკაზე ფიქრი და

დავაფიქსირით საკუთარ აზროვნებაში ის მოცემულობა, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური წარმატება უმთავრესად დამოკიდებული იქნება წარმატებებზე ქვეყნის შიგნით. თითქოს გაცვეთილი პოსტულატია, მაგრამ ამ ცხრა წლის განმავლობაში ეს მიდგომა თავდაყირა ეკიდა და ძირითადი აქცენტი საგარეო-პოლიტიკურ პიარზე იყო გაკეთებული. მხოლოდ პიარით ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც გარეთ წინ ვერ წავალთ. საქართველო პრობლემებს ვერ გადაწყვეტს რუსეთთან მუდმივი დაპირისპირებით. ამერიკელი ანალიტიკოსის, პოლ გობლის თქმით, „დღეს რუსეთი საქართველოს ღია მტრად აღიქვამს და დასავლეთიც არ გამოექანება „ცხენზე ამხედრებული“ საქართველოს საშველად. მნიშვნელოვანია სწორი ბალანსი“. შეუძლებელია დიდი სახელმწიფოს ინტერესების უგულვებელყოფა. აღარ ვართ ცივი ომისდროინდელ დანაწევრებულ სამყაროში. აშშ და ევროკავშირი (კიდევ უფრო მეტწილად), უფრო დაინტერესებულნი არიან მოსკოვთან ურთიერთობებით (სრულიად პრაგმატულად და მატერიალურად), ვიდრე თბილისთან. შესაძლოა ეს ჩვენ სურვილებს არ ემთხვეოდეს, მაგრამ რეალობაა. ერთმანეთში არ უნდა გვეშლებოდეს დასავლეთის მხრიდან ჩვენდამი სიმპათია და იმავე დასავლეთის მუდმივი და სტრატეგიული ინტერესები, რომლის ნაწილია სტაბილური და უსაფრთხო დემოკრატიული სივრცის შექმნა სამხრეთ კავკასიაში და კონკრეტულად, საქართველოში, რომელიც დაფუძნებული იქნება კანონიერებასა და დემოკრატიულ ინსტიტუტებზე და არა ერთი ადამიანის ან მასთან დაახლოებული ჯგუფის ახირებებზე. ასეთია ეს პარადიგმა. კიდევ

ერთხელ ვიმეორებ: მისი ჩამოყალიბება უშუალოდ ჩვენი საქმეა – დასავლეთს მხოლოდ დახმარების აღმოჩენა შეუძლია ამ უაღესად ტურბულენტურ პროცესში.

გორდიას კვანძი...

ბუნებრივია, ეს ყველაფერი ურთულესი სახელმწიფოებრივი ამოცანებია და მათ მოგვარებას ქვეყნის შიგნით დემოკრატიული კონსოლიდაცია სჭირდება. გაბაიბურება ყველაფრის შეიძლება – ცხრა წლის მანძილზე ყოფილი რეჟიმი სწორედ დემოკრატიული იდეის გაუფასურებას, გაუბრალოებას, დისკრედიტაციას და რაღაც გაურკვეველ (შეიძლება მარტივ გასტრონომიულ) ინტერესზე მისადაგებას ცდილობდნენ ქვეყნის შიგნითაც (იმედია ნაკლები წარმატებით) და გარეთაც (ვშიშობ, უფრო წარმატებულად). რამდენად მოახერხეს, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ერთი ფილოსოფოსისა არ იყოს, „თუკი მთავრდება ისტორია, იწყება ზოოლოგია“ და პოლიტიკური „ბალაგანი“, რასაც, თავის მხრივ, ბოლოში იმგვარი ტრაგედია უზის, სადაც უკვე ვეღარავინ გადარჩება... მახინჯი „დემოკრატურა“, რის შექმნასაც პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი გუნდი ცდილობდა, დღეს იმ უშნოდ და ულაზათოდ დაგებულ პოლიტიკურ ხაფანგს მაგონებს, რაში გაბმასაც ნაციონალური მოძრაობა საკუთარ მოქალაქეებსაც უპირებდა და დასავლელ პარტნიორებსაც...

პოსტსკრიპტუმის მაგივრად ან რამდენიმე პრაქტიკული მოსაზრება ქართველი დიპლომატებისათვის

ამერიკულ პოლიტიკურ ჟარგონს თუ მივმართავთ, დღეს ყურადღება

„დიდი გლობალური სურათისკენ“ არის მიმართული. რუსეთის სამეზობლო პოლიტიკა (არარსებულის!), „გეოპოლიტიკა“, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხისტი, უაღრესად მწვავე შეჯახება – მნიშვნელოვანი საკითხებია, თუმცა, საბოლოოდ, ნებისმიერი „დიდი სურათი“ კროსვორდით პატარ-პატარა ნაწილებისგან შედგება, რომელთა სრულყოფილად აწყობის გარეშე სტრატეგიული ერთობლიობა წარმოუდგენელია. შესაძლოა, სწორედ ეს იგულისხმა დასავლეთ გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ შმიდტმა, როდესაც 1979 წელს განაცხადა: „ვისაც აქვს ხილები, მას ექიმიც სჭიდება“. კონცენტრირება ყოველდღიურ გეგმებზე უნდა მოვახდინოთ და პარალელურად წლის განრიგც გავწეროთ, მაგრამ გავწეროთ ისე, რომ ეს ყველაფერი შესრულებადი იყოს, კარგად გათვლილი, აწონილ-დაწონილი და ე.წ. სტრატეგიულ კონტექსტში განხილული.

როდესაც საქმე ევროკავშირთან ურთიერთობებს ეხება გასაგებია, რომ ნორმები/კანონმდებლობა, თვით პოლიტიკური პროცესი უმთავრესია. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ევროკავშირი საკმაოდ ეკლექტური გაერთიანება, რომელიც თავისი შინაარსით და კონფიგურაციით საერთო ბაზარზე მეტი და ფედერაციაზე ნაკლებია, ემყარება საკუთარ უპირატესობას, რომელიც „ნორმატიულ/საკანონმდებლო ძალაუფლებაში“ მდგომარეობს. ნორმები, რა თქმა უნდა, ჩართულობის წესებია და მათ ყოველდღიური მნიშვნელობა აქვთ, განსაკუთრებით საქართველოსნაირი ქვეყნებისათვის, რომლებიც, ექსპერტების აზრით, ე.წ. „რუხ ზონაში“ აღმოჩნდნენ, სადაც უსაფრთხოების თავისებური ვაკუუმი შექმნილი და იქ მყოფ ქვეყნებს

(საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, პირველ რიგში) სურთ ევროპასთან და, კონკრეტულად ევროკავშირთან დაახლოება, მაგრამ ეს საკმაოდ გრძელვადიანი პერსპექტივა აღმოჩნდა, თუმცა ამის მიუხედავად არც უკან, რუსეთისაკენ და მისი ევრაზიული სიხელისაკენ უნდათ შემობრუნება.

სამწუხაროდ, მოვლენების უკანასკნელმა განვითარებამ აჩვენა (სომხეთის გადაწყვეტილება, უკრაინაში განვითარებული ტურბულენტური მოვლენები), რომ რეგიონის მშენებლობა მხოლოდ ნორმატიული/საკანონმდებლო დაახლოებით ვერ მიიღწევა. „დიდი სურათი“ ჩვენი ევროპული ადაპტაციის (რასაც ჩვენი ევროპელი კოლეგებიც ადასტურებენ) ასეთია: ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში, სავაჭრო პოლიტიკაში უთვალავი რეფორმის იმპლემენტაციის შემდეგ, საქართველო მოიპოვებს გამარტივებულ დაშვებას ევროკავშირის ბაზარზე და, გარდა ამისა, ევროპული ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში საგრძნობლად მოიმატებს. თუმცა, ეს, ზემოთ აღნიშნული, ცნობილი მოვლენების გამო, სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ საქართველოს ეხება და რეგიონის გაძლიერებას არ უკავშირდება. საკითხი კი ასეთია: თუკი რეგიონი თამაშგარე მდგომარეობაში რჩება, მაშინ ევროპისთვის ამ თანამშრომლობით მიღებული საქართველოს სარგებელიც შემცირდება. მომავალი (დღეისათვის მხოლოდ ვირტუალური) ინვესტორები ხომ „დიდ სურათს“ ერთობლიობაში აღიქვამენ და მათთვის კროსვორდის მთავარი ნიუანსიც სწორედ რეგიონალური თანამშრომლობაა. „დიდი სურათი“ მათთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ბაზარზე

გასასვლელად და ინფრასტრუქტურული განვითარებისა და საკანონმდებლო დაახლოებისთვის. თუმცა, ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივას მნიშვნელობა საგრძნობლად შეუმცირდა, როდესაც სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან სომხეთმა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებაზე ბოლო მომენტში უარი განაცხადა, აზერბაიჯანს კი ეკონომიკური დაახლოების დიდი ინტერესი არც მანამდე ჰქონია. ეს ფაქტორები რეგიონის ევროპეიზაციის ფარგლებს საგრძნობლად ამცირებს.

საკითხავია, რა ელის რეგიონალიზაციას არსებული რეალობის გათვალისწინებით?

რას უნდა ელოდეს ვილნიუსის სამიტის შემდეგ საქართველო და სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ორი ქვეყანა? პირველი პასუხია „პოლიტიკური კონცენტრირება“ და სამოქმედო გეგმის ზუტად განსაზღვრა. თითქოს ამის ნიშნები უკვე სახეზეა, მაგრამ ეს გზავნილები და პრაქტიკული ნაბიჯები უფრო მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს. ვილნიუსის სამიტის შემდეგ, საქართველოსთვის შესაძლოა რეგიონალიზაციის მხარდამჭერი ბევრი შესაძლებლობა გაჩნდეს. ევროკავშირთან ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობაც ნათელია. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა აქტიურდება, საქართველო აზერბაიჯანთან და თურქეთთან ერთად ჩართულია რეგიონალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, შესაძლებელია კიდევ უფრო გააქტიურდეს აქამდე არსებული მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა სომხეთთან, გარდა ამისა, საქართველოს, მდებარეობიდან გამომდინარე, შეუძლია განავითაროს რეგიონ-

ნალური ლოჯისტიკა და რეგიონული ენერგოქსელი.

საკითხი არ უნდა დაისვას „მათთან თუ ჩვენთან“ თანამშრომლობის პარამეტრებზე, არამედ, უნდა ვცადოთ (ან შევთავაზოთ კიდევაც), რომ განვითარდეს რუსეთსა და ევროკავშირს შორის ბიზნესის წარმოების ერთ-ერთი არხი საქართველოს გავლით. ეგებ, ამან მაინც შეუწყოს ხელი თანამშრომლობის აწყობას რუსეთთან, მხოლოდ ბიზნესის იმავე პრინციპების დაცვით, რაც რუსეთსა და ევროკავშირს შორის მოქმედებს. „შესაძლოა თუ არა“ – ეს არსებული კროსვორდის მთავარი ნიუანსია. ეგებ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტერესებშიც შედიოდეს საქართველოს ჩართვა მათი წარმოების ქსელებში. იარლიყით „დამზადებულია საქართველოში“ ხომ მათი პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანა იქნება შესაძლებელი? აქ კი ისევ საკანონმდებლო სინქრონიზაციის საკითხამდე მივდივართ. მაგალითისთვის, ვეტერინალური და ფიტო-სანიტარული ნორმების გავრცელება, რომლებიც საქართველოში მოქმედებს, აუცილებელი იქნება მთელი რეგიონისთვის.

ზემოთხსენებული პოლიტიკური კროსვორდის წარმატებით ამოსახსნელად, საჭირო იქნება ავამუშავოთ თანამშრომლობის უფრო დახვეწილი მექანიზმები, ორმხრივი ურთიერთობები რეგიონის ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან და მათ ფარგლებს გარეთ. კონფონტაციული რიტორიკა სარგებელს აღარ მოგვიტანს, ვიცით, რომ ჩვენს მიერ გაკეთებული პოლიტიკური არჩევანი სწორია, ამიტომ მოდით, ჩვენი არჩევანის მართებულობა დავადასტუროთ და აღარ ვისაუბროთ სხვა ალტერნატივების

ნაკლოვანებებზე. კროსვორდის თითოეულ ნაწილზე საგულდაგულოდ უნდა ვიმუშავოთ. იმისათვის, რომ რეგიონის ცენტრად ვიქცეთ, ჩვენ უნდა მივმართოთ მმართველობის უფრო ეფექტურ მეთოდებს და არა უბრალოდ დერეგულაციას. პოლიტიკის შემუშავების კუთხით, გვჭირდება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა, რეგიონალური მმართველობა, გენდერული პრობლემატიკა და სოციალური პარტნიორობის მართვა. უნდა ვიფიქროთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, სადაზღვევო მექანიზმების გაუმჯობესებასა და უფრო მჭიდრო სოციალურ პარტნიორობაზე. ეს პროცესი ფეხდაფეხ უნდა მიყვებოდეს საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირის არსებულ ინსტრუმენტებთან და სტანდარტებთან დაახლოებას. თუ ამ შესაძლებლობების ათვისებას შევძლებთ, ერთი ქულა ჩვენს სასარგებლოდ ჩაიწერება – ეს არის „ადმოსავლეთის პარტნიორობის“ მთავარი არსი.

ევროპეიზაცია უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საქართველო გახდება უფრო მიმზიდველი ქვეყანა, რომელიც არის სანდო, პროგნოზირებადი პარტნიორი, კონტრაქტორი, რეგიონალური ლიდერი. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ევროკავშირის წევრობა არ არის ის ამბიცია, რომელსაც ქართველები დღეს ბოლომდე აკმაყოფილებენ, რეგიონის განვითარებაზე ზრუნვა, საკმარისად თამამი და მიმზიდველი ხერხია იმისთვის, რათა შენარჩუნდეს ის ლეგიტიმურობა

და მოტივაცია, რომელიც სურათის პატარა ფრაგმენტიდან „დიდ სურათამდე“ მიგვიყვანს. ევროპეიზაცია არ უნდა ნიშნავდეს უბრალოდ ზრდას, არამედ ახალი ტიპის ზრდას, სადაც „დიდი სურათის“ ნაწილები თანმიმდევრობით ლაგდება და მიიღება სრულყოფილი სტრატეგიული განზომილება. ვფიქრობ, ასეთი საქართველო რუსეთისთვისაც მიმზიდველი უნდა გახდეს. რა თქმა უნდა, არის პრიორიტეტული სფეროები, სადაც საქართველო, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, უპირატესობას ფლობს, მაგალითად, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ენერჯო და ენერჯო ინტენსიური მრეწველობები, რომლებსაც ხშირად უცხოელი ინვესტორები მართავენ, მაგრამ სანამ ჩვენ ე.წ. „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომა გვაქვს, საქართველოს არ ექნება საკმარისი ადამიანური რესურსი იმისათვის, რომ მოახდინოს ევროპის საუკეთესო პრაქტიკის ეფექტური გამოყენება. თუკი საქართველოს მიეცემა შანსი, მას შეუძლია გახდეს კარიბჭე არა მხოლოდ ევროპისთვის და ევროპამდე, არამედ რუსეთისთვისაც, მაგრამ თუკი მას ჩრდილში მოაქცევენ, მაშინ მხოლოდ იზოლირებას უნდა ველოდეთ და ყოველგვარი საუბარი ევროპეიზაციაზე ზედმეტი იქნება. საქართველო არ უნდა იდგეს არჩევანის წინაშე ბრიუსელსა და მოსკოვს შორის, არამედ მას უნდა ამოდრავდეს ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბების სურვილი, რომელიც ჩვენ იდეალურად მიგვაჩნია და დასავლურ ღირებულებებსაც შეეფერება, მაგრამ შეგვინარჩუნებს ჩვენს თვითმყოფადობას, ისტორიულ, სულიერ და კულტურულ მემკვიდრეობას.



ბახიამაძის წელი ეკონომიკისა და საქართველოს უმრავლესობაში ვიცნობიან ჩიბაძე

ვიქტორ ღოლიძე

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის
კომიტეტის თავმჯდომარე

გზა ვილნიუსამდე

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი მთავარი ფოკუსი ხდება აკადემიური თუ პოლიტიკური წრეების საქმიანობაში, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის საზღვრებს გარეთ. სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ პროცესი არც ისე ღრმაა, რომ მან მოკლე დროში საზოგადოებას ყოფითი სიკეთეები მოუტანოს ან ქვეყანას სუვერენიტეტის განმტკიცებაში დაეხმაროს, მაგრამ ქვეყნის ისტორიული მისწრაფება, ქართული კულტურის ღირებულებითი ევროპულობა და ხელისუფლების ძალისხმევა, ევროპული სახელმწიფოების ოჯახში საქართველოსთვის ღირსეული ადგილის დამკვიდრებისკენ საბოლოო წარმატების მყარ საფუძველს ქმნის.

გასული წელი საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობაში უპრეცედენტო დინამიურობით გამოირჩეოდა. ბუნებრივია ეს პროცესი ევროკავშირისა და საქართველოს შორის ურთიერთობების განვლილმა წარმატებულმა საფეხურებმა განაპირობა,

რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს დაიწყო, როგორც კი საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა აღადგინა. 1995 წელს თბილისში ევროკომისიამ წარმომადგენლობა (დელეგაცია) გახსნა. პირველი ხელშეკრულება კი ევროკავშირისა და საქართველოს შორის – პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA), ლუქსემბურგში 1996 წლის 22 აპრილს იქნა ხელმოწერილი, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს და ევროკავშირის შორის მომავალი ურთიერთობების განვითარების ძირითადი ჩარჩო.

2003-2004 წლებში ევროკომისიამ შეიმუშავა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ახალი მიმართულება – ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP), რომლის მიზანი იყო გაფართოებულ ევროკავშირისა და მის მეზობლებს შორის ურთიერთობების გაღრმავება, კეთილდღეობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების ხელშესაწყობად. თანამშრომლობის სტრატეგიული ამოცანები გაწერილ

იქნა 2006 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში. ამავე პერიოდში, 2005 წელს ევროკავშირმა საქართველოს მიანიჭა შეღავათების ზოგადი სისტემით (GSP+) სარგებლობის უფლება, რომელიც დღესაც გრძელდება და ითვალისწინებს საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებას და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას.

მას შემდეგ, რაც საქართველომ წარმატებით განახორციელა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დებულებები და განამტკიცა კავშირები თანამშრომლობის ახალ სფეროებში, დროში მომწიფდა ახალი ინიციატივა, რომელიც 2009 წელს ევროკავშირმა პოლონეთისა და შვედეთის ხელშეწყობით შეიმუშავა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მთავარი მიზანი იყო 6 აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოსთან – აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა – ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლა. დღესდღეობით პარტნიორები მტკიცე პოლიტიკურ თანამშრომლობას ახალი თაობის ასოცირების ხელშეკრულების პერსპექტივის საფუძველზე მოვიაზრებთ და ევროკავშირის ეკონომიკაში ინტეგრირებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის საშუალებით ვგეგმავთ.

ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება, რომელშიც ინტეგრირებულია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, 2013 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე შედგა. მხარეები ვიმედოვნებთ, რომ დოკუმენტის ხელმოწერა 2014 წლის აგვისტომდე მოხდება, ევროკომისიის ამჟამინდელი შემაჯგენლობის მანდატის ამოწურვამდე. ამ დროიდან რეალურად დაიწყება მუშაობა

საქართველოში ევროპული სტანდარტების და რეგულაციების საფუძვლიანი დამკვიდრებისათვის.

ხალხის მანდატი

ყოველივე ზემოთაღნიშნული პროცესების წარმართვაში პარლამენტის როლი მნიშვნელოვანი იყო, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ კი განმსაზღვრელი გახდა. ეს არჩევნები რომელიც მნიშვნელოვან გზაგასაყარს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, შეფასდა როგორც რეგიონში დემოკრატიული გზით ხელისუფლების სამაგალითო ცვლილება, პროგრესული ნაბიჯი ქვეყნის დემოკრატიული კონსოლიდაციისა და ევროპული სტანდარტის ინსტიტუტების მშენებლობისთვის. გაჩნდა ახალი იმედები და მოლოდინები, მომავლის ოპტიმიზმი იმისა, რომ ხელისუფლება იმოქმედებს და შექმნის თანასწორ, სამართლიან, ნაყოფიერ რეგულაციებსა და ორგანოებს საზოგადოებრივ მონაწილეებთან ერთად და მოქალაქეთა ჩართულობის გზით.

დღეს საკანონმდებლო მუშაობა გაშლილია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისათვის საჭირო ევროპის სახელმწიფოებში აპრობირებული სამართლებრივი საფუძვლების შექმნისათვის. სამთავრობო უწყებები მუშაობენ, რომ უზრუნველყონ კვების უსაფრთხოება, კონკურენცია, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, ინტელექტუალური უფლებები, გარემოს დაცვა, ფიტო-სანიტარია და ა. შ. ყოველი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოსახლეობის ღირსეული პირობების განვითარებისათვის ასახვას ჰპოვებს საკანონმდებლო ცვლილებების ახალ ტალღაში. ადგილობრივი თვითმმართველობის უახლესი რეგულაციები ხელისუფლების

დეცენტრალიზაციას უწყობს ხელს და ამკვიდრებს იმ პროცედურებს, რომელთა საფუძველზეც ევროკავშირის მოქალაქეები მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში ან ქმნის ახალ მექანიზმებს მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელებისათვის. დღეს ყოველი საკანონმდებლო ცვლილება ევროკავშირის სამართალთან ჰარმონიზაციას და დაახლოებას ემსახურება და ეროვნულ ინტერესებს ასახავს.

აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფისთვის პარლამენტი ჩართულია მჭიდრო კონსულტაციაში უწყებათაშორის ჯგუფებთან, მთავრობასთან კორდინაციისთვის ათვისებულია ყველა სამუალება, რათა დაიგეგმოს საერთო ღონისძიებები და მიღწეულ იქნას საერთო მიზნები. თუმცა სტრუქტურირებული კომუნიკაციის მექანიზმები ჯერ კიდევ გაძლიერებას მოითხოვს. მთავრობასა და პარლამენტს შორის მჭიდრო კოორდინაციის გზით ევროპასთან დაახლოების საერთო ამოცანა ეტაპობრივად პროგრესირებს.

აღსანიშნავია საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში პარლამენტის მიერ მიღწეული წარმატებები. ბოლო წლებში საპარლამენტო დიპლომატიამ ისეთი ურთიერთკავშირები და პლატფორმები შექმნა, რომელიც ქვეყნის ინტერესების, ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას, ეროვნული უსაფრთხოებისა და რეგიონალური პოზიციების გამყარებას ემსახურება. აღსანიშნავია საპარლამენტო კომიტეტების, მუდმივმოქმედი დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფების ურთიერთობა ევროკავშირის ინსტიტუტებთან, ევროპის ეროვნულ პარლამენტებთან, საპარლამენტო ასამბლეებთან, საერთაშორისო ანალიტიკურ ცენტრებთან

და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი აქტიურად არის ჩართული ევროპარლამენტთან შექმნილ საპარლამენტო თანამშრომლობის ფორმატებში.

საქართველოს წლების განმავლობაში ჰქონდა საპარლამენტო დონეზე თანამშრომლობის მექანიზმები, მაგალითად ევროკავშირი-სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო დელეგაცია, რომელიც ქართველ კანონმდებლებთან ერთად, საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის (Parliamentary Cooperation Committee (PCC) ფარგლებში მუშაობდა. ეს უკანასკნელი 1999 წლიდან წელიწადში ერთხელ იკრიბება და საინტერესო რეკომენდაციებს გამოსცემს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის საპარლამენტო ასამბლეა – ევრონესტი (EURONEST – European Neighbourhood East Parliamentary Assambly) ყველაზე უახლესი საპარლამენტო ფორუმია, რომელიც სტრუქტურირებული თანამშრომლობის თვალსაზრისით ახალი ეტაპია და ევროპარლამენტარებთან თანასწორ დონეზე ურთიერთობის მუდმივმოქმედი მექანიზმია.

ასამბლეა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის 6 ქვეყნის (საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელარუსის და მოლდოვეთის) 10-10 პარლამენტარსა და ევროპარლამენტის 60 დეპუტატს აერთიანებს, თუმცა ბელარუსის საკითხი ჯერჯერობით ღიაა 2010 წლის არჩევნების შემდგომმა მოვლენებმა და ევროკავშირის მხრიდან გაკეთებულმა შეფასებებმა ასამბლეის დაფუძნებაში ბელარუსის მონაწილეობა შეაფერხეს.

ევრონესტი 4 კომიტეტისგან შედგება და ყოველწლიურად პლენარულ სხდომას ატარებს, რომელსაც რეზოლუციის მიღების უფლებამოსილება გააჩნია. აღნიშნული პოლიტიკური დოკუმენტი ევროპული საბჭოს და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტების ყურადღების ცენტრში ექცევა.

ევროპოლიტიკის სცენაზე ახალი საპარლამენტო ასამბლეა, არის არამხოლოდ მაღალ პრინციპებზე სამსჯელო ფორუმი, არამედ აღმოსავლეთ პარტნიორებს სურთ მას მეტი სტრატეგიული აზროვნება და ქმედებები დაუმატონ, რათა უფრო მეტი ფოკუსირება მოახდინონ ურთიერთქმედებაზე და ორმხრივ სარგებლიანობაზე. ევრონესტმა უნდა გააგრძელოს ევროპული ფასეულობების დაცვა, მაგრამ არა მენტორული სტილით, არამედ საერთო პრინციპების დაცვის გზით. აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოები ამისათვის მზად არიან. ახლა ჯერი სხვა აქტორებზეა, რომლებმაც პასუხისმგებლობა უნდა გაიზიარონ ადამიანის უფლებების რეალიზებისთვის და დემოკრატიული განვითარებისათვის, რომელსაც ეკონომიკური განვითარება სდევს თან. ახალმა სტრუქტურამ უნდა გააძლიეროს სასიცოცხლო პოლიტიკური თვისება – ერთობის უნარი (ამ შემთხვევაში ევროპული რეგიონის) თავი გაართვას მოულოდნელობებს.

ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობას ერთი მახასიათებელი აქვს. ევროკავშირის პოზიციას ხშირად ახალი წევრი ქვეყნები, ცენტრალური ევროპიდან და ბალტიისპირეთიდან მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ. პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი ის სახელმწიფოებია, რომლებსაც ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების სპეციფიკა კარგად ესმით, გარე და შიდა

ფაქტორებს უკეთესად აფასებენ და ინტეგრაციის დონის გაღმავებისთვის ძალისხმევას არ იშურებენ.

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური კურსის შეუქცევადობა დიდწილად დამოკიდებულია სწორედ ამ ქვეყნებთან ახლო თანამშრომლობაზე. ორმხივი ურთიერთობების და გამოცდილების გაზიარების პარალელურად, გასულ წელს საქართველოს პარლამენტმა მოახერხა პარტნიორული ურთიერთობების განვითარება ვიშეგრადის (პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვენია) ჯგუფის ქვეყნების პარლამენტებთან. 2013 წლის სექტემბერს პოლონეთის ქ. გდანსკში საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მონაწილეობით ჩატარდა ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების ევროპულ საქმეთა კომიტეტების ერთობლივი სხდომა, რომელმაც დასკვნითი დებულებები მიიღო საერთო ინტერესებისა და ამოცანების ხაზგასასმელად. ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს პარლამენტის ვიშეგრადის ფორმატში ინტეგრირებას.

ხაზგასასმელია ის ურთიერთობები, რომელიც საქართველოს ჩამოუყალიბდა სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან. ამ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მათ მიერ პოსტ საბჭოთა სივრცეში დემოკრატიის განვითარებაში წვლილის შეტანა ძალზედ მნიშვნელოვანია. ყოფილმა საბჭოთა კავშირის ქვეყნებმა ბალტიისპირეთიდან განსაკუთრებით მოკლე დროში მოახერხეს ფუნქციონირებადი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა და ევროკავშირში გაწევრიანება. სწორედ ამან განაპირობა საქართველოსა და აღნიშნული

ქვეყნების ინტერესების თანხვედრა და მჭიდრო პარტნიორობა. საპარლამენტო თანამშრომლობის ფორმატები ამ პერიოდისთვის გაფართოებას განიცდის. მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოში იგეგმება ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, შვედეთის, დანიისა და ფინეთის პარლამენტების ერთობლივი საკომიტეტო სხდომის ჩატარება და ქართველ კოლეგებთან საერთო საკითხების და ამოცანების განხილვა.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ორმხრივი ურთიერთობის ჩარჩოსთვის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა დაამკვირდა ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება თავისი პროფილის საპარლამენტო კომიტეტებთან. გასულ წელს შედგა ხორვატიის პარლამენტის ევროპულ საქმეთა კომიტეტისა და საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინსტიტუციური სამუშაო პარტნიორობის გაფორმება თანამშრომლობის მემორანდუმში. ხორვატია ევროკავშირთან დაახლოებისა და გაწევრიანების პერიოდის გამოცდილებას გაუზიარებს ქართველ პარტნიორებს ასოცირების პროცედურების ხელშესაწყობად.

ახალი სახელმწიფოებო პირობები, ახალი რეალობა უნიკალურ შანსს სთავაზობს ხელისუფლებას და საზოგადოებას განვითარების ახალ ეტაპზე

გადასვლისთვის. ამოსავალი წერტილი ამ მოცემულობაში არსებული რესურსების (მატერიალური, ადამიანური) მობილიზება და სწორი მიმართულების მიცემაა. თითოეული სფეროს მოდერნიზებისთვის კი სახელისუფლებო სტრუქტურების კოორდინირებული მუშაობა უმნიშვნელოვანესი ხდება. განვლილმა წლებმა გვაჩვენა რა შედეგები მოაქვს, როდესაც ხელისუფლება ვერ იყენებს უნიკალურ შანსებს და ვერ ახერხებს არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენებას. მაშინ როდესაც საგარეო პოლიტიკური ფაქტორები ხელსაყრელია და პარტნიორების მხარდაჭერა დიდია, სახელმწიფოს მთავარი გამოწვევა მხოლოდ ეროვნული ინტერესების საფუძველზე რეფორმების კონსოლიდაცია რჩება.

უმადლესი საკანონმდებლო ორგანო მოწოდებულია გააგრძელოს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და კვლავ ეფექტურად გამოიყენოს სხვადასხვა საერთაშორისო პოლიტიკური დიალოგის ფორმას, რათა ჩვენმა ქვეყანამ მაქსიმალურად სწრაფად მოაგვაროს მის წინ მდგარი ყველა პრობლემა და გადალახოს ევროპულ ოჯახში გაწევრიანების გზაზე მყოფი ყოველი ბარიერი.

საბოლოოდ, ქართველი ხალხის არჩევანი გახდეს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, დარწმუნებული ვარ აუცილებლად განხორციელდება, მაგრამ ამას სჭირდება მთელი საზოგადოების კონსოლიდაცია.



საქართველო-ჩინეთის ურთიერთობის პოლიტიკური პრობლემები

ზურაბ აბაშიძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქართულ-რუსული ურთიერთობები, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მწვავე განსჯის საგანია. ამ თემაზე დისკუსია არ წყდება როგორც სამეცნიერო, ისე ექსპერტთა და საზოგადოების ფართო წრეებში. 2012 წელს, საქართველოს ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, საერთაშორისო სარბიელზე ერთ-ერთი პირველი წამოწყება, რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყება გახლდათ. ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, შემოდგომულ იქნა ახალი თანამდებობა – პრემიერის სპეციალური წარმომადგენლისა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში. საგულისხმოა, რომ ამ წამოწყებას ჩვენი ქვეყნის დასავლელი პარტნიორების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

ორ ქვეყანას შორის დამაბუღელი ურთიერთობების დროს, გარკვეულწილად წარსულის გადახედვაც ხდება. როდესაც ამ

ურთიერთობის „ნერვები“ გამიშვლებულია, ხშირად ობიექტური მოთხოვნაცაა იმისა, რომ ყველაფერი კრიტიკულად გავიაზროთ და გადავაფასოთ. როდესაც ვცდილობთ ჩიხური ვითარებიდან გამოსვლას, პოლიტიკოსები უფრო მეტად მომავალზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულნი, თუმცა, რა თქმა უნდა, წარსულს ვერანაირად ვერ გავქეცევით.

უახლოესი წარსულის ყველაზე დრამატულ მომენტს – 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს – შეფასებები უკვე მიეცა და ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ კუთხით გაკეთდა, ეს არის ევროკავშირის, ე.წ. ტალიავინის კომისიის მიერ შექმნილი დოკუმენტი, სადაც გაანალიზებულია ომის წინაპირობები, მხარეთა პასუხისმგებლობა, შედეგები და ა.შ.

და, მაინც, ფაქტი ფაქტად რჩება. დღეს, ჩვენი ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია, ძალაშია კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ; რუსეთი ჯერჯერობით არ ასრულებს მის მიერ 2008 წელს აღებულ ვალდებულებებს

ამ ტერიტორიებიდან თავისი შეიარაღებული ძალების გაყვანის თაობაზე; ჟენევაში მიმდინარე საერთაშორისო კონსულტაციებზე მნიშვნელოვანი წინსვლა არ შეიმჩნევა და, ჩვენ, ჯერჯერობით, სამართლებრივად მოჯადოებულ წრეში ვიმყოფებით. ერთის მხრივ, რუსეთი არ აპირებს თავისი გადაწყვეტილების უკან წაღებას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ, რასაც საქართველო არასოდეს არ შეეგუება.

უდავოა, ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული საქართველოს მხრიდანაც, მაგრამ, მთავარი პრობლემა ის არის, რომ რუსეთი ეწინააღმდეგება საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ცდილობს საქართველო და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავისი გავლენის სფეროში მოაქციოს.

ჩვენი აზრით, რუსეთმა ძალიან მძიმე შეცდომები დაუშვა, როდესაც მან სეპარატისტულ რეჟიმებს დაუჭირა მხარი და მათ, ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან უწევდა, როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო, მორალურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა სახის დახმარებას, რამაც, საბოლოოდ, დღევანდელ შედეგებამდე მიგვიყვანა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო საკუთრივ რუსეთის ტერიტორიაზე მეტად რთული ცენტრიდანული პროცესების გავითარებას და ის დრამატული ვითარება, რაც ჩრდილო კავკასიაშია, გარკვეულწილად რუსეთის მიერ დაშვებული უხეში შეცდომების შედეგია აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში.

საქართველოს ახალი მთავრობის მიდგომა რუსეთის ფედერაციის მიმართ ასეთი გახლდათ: რომ წინაპირობას ორმხრივი დიალოგის დასაწყებად არ ვაყენებთ. უნდა

ითქვას, რომ წინა ხელისუფლება – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 2009 წლიდან მზად იყო ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაეწყოთ დიალოგი რუსეთთან, თუმცა მათ მოწოდებებს, რუსეთის მხრიდან, არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. ამჯერად, რუსეთი გამოეხმაურა საქართველოს ახალ ხელისუფლებას და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის დავალებით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს და სტატს-მდივანს – გრიგორი კარასინს დაევალა ამ დიალოგის წარმართვა.

დიალოგის ფარგლებში თავიდანვე მოხდა შეთანხმება მთავარ პრინციპებზე – რომ ჟენევაში საერთაშორისო კონსულტაციებზე განსახილველ თემებს კონფლიქტური რეგიონის საკითხებს არ შევხებოდით. დიალოგის დასაწყებად, უპირატესად, პრაქტიკული ხასიათის საკითხები შეირჩა – ვაჭრობა, ეკონომიკური ურთიერთობები, სატრანსპორტო საკითხები, ჰუმანიტარულ-კულტურული ურთიერთობები.

დიალოგის დაწყების შედეგად, ამ მიმართულებით გარკვეული ხელშესახები შედეგები გვაქვს. რუსეთის ბაზარი გაიხსნა, რასაც ძალიან ბევრი სირთულის დამლევა და ტექნიკური საკითხების მოგვარება სჭირდებოდა. ამ ბაზრის გახსნის შედეგად, მხოლოდ 2013 წლის მანძილზე, რუსეთში დაახლოებით 100 მილიონი დოლარის პროდუქცია შევიდა – ღვინო, მინერალური წყლები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ა. შ.. გარდა ამისა, გაუქმდა შეზღუდვები სატრანსპორტო მიმოსვლაზე. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება სავიზო რეჟიმის შემსუბუქების თაობაზე.

ამას წინათ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გააკეთა განცხადება, რომ სოჭის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ,

შესაძლებელია საერთოდ დადგეს საკითხი ვიზების გაუქმების შესახებ. ქართული მხარე ამ პოზიციას მიესალმება და თვლის, რომ ეს ხელს შეუწყობს ჰუმანიტარული ურთიერთობების განვითარებას.

საყურადღებოა ისიც, რომ გასულ წელს 40 პროცენტით გაიზარდა საქართველოში ჩამოსული რუსი ტურისტების რაოდენობა. უდავოა, რომ ტურიზმის სექტორისთვის ეს დიდი შემოსავალია.

ვინაიდან, ზოგადად იკლო სამხედრო კონფლიქტის ესკალაციის ალბათობამ, რუსეთთან დაწყებულმა დიალოგმა უნდა მოგვეცეს იმის საშუალება, რომ ჩვენი ევროპული პროექტის – ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების ხელმოწერა – ნორმალურ ფონზე დავასრულოთ და ეს ისე უნდა მოხდეს, რომ რუსეთიდან არანაირი სერიოზული ზეწოლა არ განხორციელდეს.

სოჭის XXII ზამთრის ოლიმპიური თამაშებში ქართველი სპორტსმენების წარგზავნა, საკმაოდ რთული გადაწყვეტილება გახლდათ, რადგან თამაშები საქართველო-რუსეთის საზღვართან – რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან მიმდინარეობდა. ამ რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა დღემდე ლტოლვილია და ტრაგიკული კონფლიქტიდან 20 წლის შემდეგაც არ შეუძლია საკუთარ სახლში დაბრუნება. ჩვენ არ გვსურდა სპორტის თემის პოლიტიზირება. ეს, ასევე გახლდათ კეთილი ნების გამოხატულება ოლიმპიური მოძრაობისა და მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ. გარდა ამისა, რუსულ მხარეს უსაფრთხოების დამატებითი ზომებიც შევთავაზეთ, რითაც ხაზი გავუსვით მშვიდობისა და სტაბილურობის პრინციპების ერთგულებას კავკასიის რეგიონში.

რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს. ჩვენ არ ვიქმნით ილუზიებს განსაკუთრებით რთული პოლიტიკური საკითხების – აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის პრობლემების სწრაფად მოგვარების თვალსაზრისით. ორმხრივი დიალოგის ფარგლებში, მომდევნო შეხვედრებზე, ჩვენ იმავე თემებზე გავაგრძელებთ საუბარს, რაზეც აქამდე ვსაუბრობდით და ამავდროულად, დავიწყებთ მასშტაბური საინვესტიციო-კომერციული პრობლემების განხილვას, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესთა სფეროს წარმოადგენს; მაგალითად – ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა და ა. შ..

ჩვენ, ასევე შესაძლოა განვიხილოთ საკითხი უმაღლეს დონეზე ქართულ-რუსული შეხვედრის შესახებ. ამის თაობაზე, ორივე მხრიდან იქნა დადასტურებული მზაობა.

ჩვენი დასავლელი პარტნიორები ხაზს უსვამენ, რომ ეს რთული დიალოგია და მოგვიწოდებენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავყაროთ ფარ-ხმალი და რაოდენ პრობლემატურიც არ უნდა იყოს, გავაგრძელოთ ეს პროცესი.

საქართველოში ჩატარებული კვლევების თანახმად, ჩვენი მოსახლეობის 70 პროცენტი მხარს უჭერს ამ დიალოგს. თუმცა, ეს გამოკითხვები აჩვენებს იმასაც, რომ რესპოდენტთა დიდი ნაწილი, რუსეთს, ჯერ კიდევ მიიჩნევს ჩვენი ქვეყნისთვის მთავარ საგარეო საფრთხედ.

პრობლემებს ვაწყდებით ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების მხრიდანაც. თუმცა, კრიტიკას ყოველთვის აქვს ის პოზიტიური მომენტი, რომ შეიძლება რაღაც საინტერესო დასკვნა გამოიტანოთ. სამწუხაროა, რომ უპირატესად,

ოპონენტებისგან კრიტიკა ისმის, ყოველგვარი კონსტრუქციული და სასარგებლო ელემენტის გარეშე. უფრო ხშირად კი, ეს ლექციას წააგავს თემაზე – რას წარმოადგენს რუსეთი?

ჩვენი ნტერესია, რომ საზოგადოებამ რაც შეიძლება მეტი იცოდეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე და ჩვენი მოლაპარაკებების შესახებაც – მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ეს რთული პროცესი მხოლოდ ნელ-ნელა, მცირე ნაბიჯებით თუ წავა წინ; არ არსებობს არანაირი პანაცეა ან გასაღები, რომელიც სწრაფად მოაგვარებდა ღრმა ჩიხში შესულ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. ამ მხრივ, სახალხო დიპლომატიას გარკვეული როლი ენიჭება. საგულისხმოა, რომ ასეთი ურთიერთობები – მეცნიერებს, კულტურის მოღვაწეებს, სპორტსმენებს, ბიზნესმენებს და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს შორის უკვე მიმდინარეობს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პირდაპირი დიალოგის დაწყებას აფხაზებთან და ოსებთან. როგორც საქართველოს პრემიერ მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიმდინარე წლის 27 იანვარს რუსული ჟურნალისტების („Россия в глобальной политике») მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, – საქართველო მზად არის დაიწყოს პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან, გვერდზე გაწიოს სტატუსის საკითხი და შეუდგეს პრაქტიკული, ადამიანური ურთიერთობების პრობლემების განხილვას.

ჩვენს ირგვლივ სწრაფად ცვალებადი სამყარო და საერთო გამოწვევები არასტანდარტულ მიდგომებს საჭიროებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩვენს მეგობარ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები და ის დესტრუქციული ნაბიჯები, რომლებიც იდგმება ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის წინააღმდეგ. ამ ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია ქართულ-რუსული ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივების ხედვისთვის.



ეკონომიკური პოლიტიკის ბიზნესოპიკონა "პოსტპანდემური" საქართველოში

ვლადიმერ პაკავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი

რეზიუმე

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა იყო წინააღმდეგობრივი და ერთდროულად ნეოლიბერალიზმისა და ნეობოლშევიზმის სიმბიოზს წარმოადგენდა. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ოპოზიციური ძალების მოგების შემდეგ ეკონომიკის კონკურენტუნარიანი რეალური სექტორის შესაქმნელად და გასავითარებლად ქვეყანას რეალური შანსი მიეცა. ამისათვის აუცილებელია თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა ევროკავშირთან (და შედარებით შორეულ პერსპექტივაში აშშ-თან), და რუსეთთან ვაჭრობის განახლება. ამ ამოცანების რეალიზაცია ახალი მთავრობის მხრიდან მიზანმიმართულ ქმედებებს მოითხოვს.

ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებები „ვარდისფერი“ მმართველობის პირობებში

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა დაიწყო [1], რის შედეგად საბიუჯეტო და ენერგეტიკული

კრიზისები დაიძლია. 2005 წლიდან, ახალი საგადასახადო კოდექსის წყალობით, საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად შემცირდა, ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო პროცედურები არსებითად გამარტივდა, ძალაში ახალი შრომითი კანონმდებლობა შევიდა, რომელმაც დაქირავებულებთან ურთიერთობებში დამქირავებლებს სრული თავისუფლება მიანიჭა [2]. ამან საქართველოს ნეოლიბერალური რეფორმების გამტარებელი ქვეყნის იმიჯი შეუქმნა [3,4]. ამავდროულად, საკუთრების უფლების შელახვის უამრავი ფაქტი დაფიქსირდა [5], მსხვილი ბიზნესი მთლიანად მთავრობის მიერ კონტროლირებადი გახდა [6]; ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და შესაბამისი სამსახურის გაუქმებამ ეკონომიკის მძლავრი მონოპოლიზაცია გამოიწვია [7], ხოლო მასობრივი კორუფციის გაქრობას, რაც ძირითადად მექრთამეობაში გამოიხატებოდა, ელიტარული კორუფციის შემამფოთებელი მასშტაბები მოჰყვა [8-10]. თავისი ხასიათით ეს დარღვევები ნეობოლშევიზმის სადარია, და საქართველოს ეკონომიკა სააკაშვილის

მთავრობის ხელში „ნეოლიბერალური ფანტაზია“ [11, გვ. 4], „ავტორიტარული ლიბერალიზმი“ [12], „ნეოლიბერალიზმისა და ნეობოლშევიზმის სიმბიოზი“ [13, 14, გვ. 13] უფრო იყო.

მმართველობის ავტორიტარულმა სტილმა, რომელიც დესპოტიზმის ელემენტებით იყო გაძლიერებული, სააკაშვილის რეჟიმი აქცია ნეობოლშევიკურად, ხოლო მისი მთავრობა – „ვარდისფრად“ ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი ვარდების რევოლუციით მივიდა ის ხელისუფლებაში, მეორე – კი გახუნებულ ბოლშევიკურ „წითელს“ გვახსენებდა [15].

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის [16] შემდეგ ევროკავშირმა საქართველოსათვის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შეთავაზების მზადყოფნა გამოავლინა [17], თუმცა წინასწარ რიგი პირობების შესრულებაც მოითხოვა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზრის რეგულირების ევროპული ტიპის ანტიმონოპოლიური ინსტიტუტის იმპლემენტაცია და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, კერძოდ კი – სასურსათო უსაფრთხოების ნაწილში. სამწუხაროდ, სააკაშვილის მთავრობამ, ამ პირობების დაკმაყოფილების შეფერხების გზით [18, გვ. 10], ევროკავშირთან მოლაპარაკებების პროცესის დაწყების გასაჭიანურებლად ძალა არ დაიშურა.

2009 წლის დასაწყისში შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას მოეწერა ხელი, რომელიც შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოსთვის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის შესაძლებლობას ითვალისწინებს [19]. ამ დრომდე ამ მიმართულებით, თუნდაც თემაზე მოლაპარაკებების დაწყების დონეზე, რეალური ნაბიჯები ჯერაც არ გადადგმულა.

„პოსტვარდისფერი“ პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციურმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. საარჩევნო კამპანიისას კოალიცია „ქართული ოცნება“, აკრიტიკებდა რა სააკაშვილის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას, აქცენტს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების სტიმულირებაზე აკეთებდა მოსახლეობის ღარიბი ფენის სოციალური მხარდაჭერის პარალელურად [11, გვ. 8-10]. ბიძინა ივანიშვილი, ჩაუდგა რა სათავეში მის მიერვე ფორმირებულ მთავრობას, წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას შეუდგა.

ახალი რეალიებიდან გამომდინარე უფრო რეალისტურად ბრიუსელთან მოლაპარაკებათა პროცესის დაჩქარების სცენარი გამოიყურება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის მიზნით [20]. ამის იმედს ახალი ხელისუფლების მიერ ანტიმონოპოლიური რეგულირებისა [21, გვ. 9-10] და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული ტიპის სისტემის იმპლემენტაციის თაობაზე გაკეთებული განცხადებები იძლევა.

ანტიმონოპოლიური რეგულირება კონკურენციის განვითარებას შეუწყობს ხელს. ბიზნესში არაფორმალურ ჩარევაზე უართან ერთად, რაც „ქართული ოცნების“ ლიდერების მიერ არაერთხელ გაცხადებულა მკაფიოდ [22], საქართველოს ეკონომიკის დემონოპოლიზაცია ბიზნესის განვითარებისთვის დიდი ბიძგის მიმცემი გახდება.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა არაუგვიანეს 2014 წლისა სავსებით რეალისტურია. ეს კი, თავის მხრივ, საქართველოს ეკონომიკის

რეალურ სექტორში კერძო ინვესტიციების მოზიდვის პირობებს შექმნის, ვინაიდან სამუშაო ძალის შედარებითი სიიაფე (ევროკავშირთან შედარებით), ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებული სისტემა და არც თუ მაღალი გადასახადები (კვლავ ევროკავშირთან შედარებით), შესაძლოა საქართველოს ეკონომიკაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მასტიმულირებელი ფაქტორი აღმოჩნდეს. რადგან ამჟამად ევროკავშირის ეკონომიკა საქართველოს ეკონომიკას 2 000-ჯერ აღემატება [23, გვ. 83], ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი საქართველოს ეკონომიკას ბაზრის მასშტაბის გასაფართოებლად ხარისხობრივად უკეთეს პირობებს შეუქმნის.

თუკი საქართველოში ევროკავშირის ბაზრისთვის განკუთვნილი მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება დაიწყება, მაშინ, 2008 წელს თურქეთთან მიღწეული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის გათვალისწინებით [24], წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა თურქულ ბაზარსაც გაუჩნდება.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მოცემული სცენარი, რომელიც ეფუძნება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმსა და ევროკავშირსა და თურქეთში ექსპორტის ზრდას, საკმაოდ რეალისტურად გამოიყურება.

გამომდინარე იქიდან, რომ შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ზემოხსენებული ქარტიის ხელმოწერიდან ოთხი წლის თავზე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის თაობაზე მოლაპარაკებათა პროცესი ჯერაც არ დაწყებულა, ასე ჩანს, რომ შესაბამისი შეთანხმება საუკეთესო შემთხვევაში 2020 წლისთვის თუ იქნება მიღწეული, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკაზე ამ ჰიპოთეტური შეთანხმების ზეგავლენა 2020 წლისთვის პრაქტიკულად უმნიშვნელო იქნება.

ნაკლებად ექვემდებარება პროგნოზებს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების სრული მასშტაბით აღდგენის შესაძლებლობა [25, გვ. 41], ვინაიდან ეს საკითხი უფრო პოლიტიკური, ვიდრე ეკონომიკური ხასიათისაა [26, გვ. 65-66]. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოსა და რუსეთის წევრობა სულაც არ წარმოადგენს საკმარის პირობას ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობის საკითხების მოსაგვარებლად [27, გვ. 74]. ამ ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების მოგვარების გათვალისწინება 2020 წლისთვის საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროგნოზში პრაქტიკულად შეუძლებელია.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევისა და მის ბაზაზე თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების რეალისტურ სცენარზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2013-2020 წლებში საქართველოში ეკონომიკის საშუალო ზრდა 5-10%-ს შეადგენს. ამასთან, უფრო პესიმისტური – საშუალოდ 5%-იანი ეკონომიკური ზრდა – შესაძლოა გლობალური კრიზისული მოვლენებით, ხოლო უფრო ოპტიმისტური – საშუალოდ 10%-იანი ზრდა – მსოფლიო ეკონომიკის სტაბილური განვითარებით იყოს განპირობებული. ეს კი ნიშნავს, რომ მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 2020 წლისთვის 2011 წელთან შედარებით საუკეთესო შემთხვევაში 2,3-ზე მეტად გაიზრდება და მოსახლეობის ერთ სულზე 7 395,4 აშშ დოლარს შეადგენს (2011 წელს ეს მაჩვენებელი 3 215,4 აშშ დოლარს გაუტოლდა [28]).

მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონის შესახებ მსოფლიო ბანკის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2020 წლისთვის ეკონომიკური ვითარება საქართველოში თითქმის ისეთივე იქნება, როგორც იგი 2011 წელს იყო ევროკავშირის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბულგარეთი

(მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 7 158 აშშ დოლარს შეადგენს) და რუმინეთი (მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 8 405 აშშ დოლარს შეადგენს), მაგრამ უარესი, ვიდრე ლატვიასა (მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 12 726 აშშ დოლარს შეადგენს) და ლიტვაში (მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 13 339 აშშ დოლარს შეადგენს) [28].

საქართველოს ეკონომიკის შედარებითი უპირატესობების გამოსავლენად ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მისი ძირითადი სექტორებია: ტრანსპორტირება, უწინარეს ყოვლისა – ენერგეტიკული რესურსებისა, აგრეთვე – სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა, ჰიდროენერგეტიკა, ტურიზმი [23, გვ. 83; 29, გვ. 55].

ბუნებრივია, რომ ზემოხსენებული ეკონომიკური ზრდა სწორედ ამ სექტორების ხარჯზე მიიღწევა, სადაც საქართველო შედარებით უპირატესობას ფლობს.

დასკვნა

საქართველოს მთავრობისთვის პირველი რიგის ამოცანა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა და ყველა იმ პოტენციური შესაძლებლობის ამოქმედებაა, რასაც ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია მოიტანს. ამისათვის საქართველოს მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ყურადღება ანტიმონოპოლიური რეგულირების ევროპული მოდელის პირობებში წარმოების განვითარებაზე, მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და შრომით ურთიერთობებზე უნდა გაამახვილოს.

აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში, აუცილებელია აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევაზე მოლაპარაკებათა პროცესის დაწყება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობები ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობებთან არ შევიდეს წინააღმდეგობაში. ამისთვის ბრიუსელსა და ვაშინგტონს შორის შესაბამისი კოორდინაცია გახდება საჭირო ამ პროცესში თბილისის აქტიური ჩართვით.


საქართველოს ახალმა მთავრობამ რუსეთის ბაზარზე ქართული ფირმების დაბრუნებას ხელი არ უნდა შეუშალოს. თვით ფირმებმა კი რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის სამსახურს უნდა წარუდგინონ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელსაც უნდა დაურთონ ამ საქონლის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, ჩინეთი, იაპონია და სხვ.) დაშვების მოწმობები. რუსეთის ბაზარზე მათი პროდუქციის დაშვებაზე მორიგი უარის შემთხვევაში კი საქართველოს მთავრობას ამ ფირმების ინტერესების დაცვა უკვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოუწევს.

ამ რეკომენდაციების რეალიზება საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაფართოების სტიმულირებას შეუწყობს ხელს, რაც საციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Fighting Corruption in Public Services. Chroni-
cling Georgia's Reforms. Washington DC: The
World Bank, 2012.
2. Papava, V. "Georgia's Macroeconomic Situation
Before and After the Rose Revolution." Problems
of Economic Transition, 2005, Vol. 48, No. 4.
3. Gurgenzidze, L. "Georgia's Search for Economic
Liberty: A Blueprint for Reform in Developing
Economies." American Enterprise Institute for
Public Policy Research, Development Policy
Outlook, No. 2, June, 2009, <[http://www.aei.org/
outlook/foreign-and-defense-policy/regional/
europe/georgias-search-for-economic-liberty](http://www.aei.org/outlook/foreign-and-defense-policy/regional/europe/georgias-search-for-economic-liberty)>.
4. Udensiva-Brenner, M. "Kakha Bendukidze Ana-
lyzes Georgia's Economic Strategy: How Georgia
Handled Its Economy After the War and the
Economic Crisis." At The Harriman Institute,
April 7, 2010, <[http://www.harrimaninstitute.
org/MEDIA/01716.pdf](http://www.harrimaninstitute.org/MEDIA/01716.pdf)>.
5. The Big Eviction. Violations of Property Rights
in Georgia. Tbilisi: Human Rights Information
and Documentation Center, 2008, <[http://www.
humanrights.ge/admin/editor/uploads/files/
Big%20Eviction.pdf](http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/files/Big%20Eviction.pdf)>.
6. რიმპლი, პ. ვის ეკუთვნოდა საქართველო
2003-2012 წლებში. თბილისი: საერთაშორისო
გამჭვირვალობა – საქართველო, 2012,
<[http://transparency.ge/post/report/tsignis-
%E2%80%9Evis-ekutvnode-sakartvelo-
2003-2012%E2%80%9C-prezentatsia](http://transparency.ge/post/report/tsignis-%E2%80%9Evis-ekutvnode-sakartvelo-2003-2012%E2%80%9C-prezentatsia)>.
7. კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში.
თბილისი: საერთაშორისო გამჭვირვალობა
– საქართველო, 2012, <[http://transparency.ge/
post/report/tig-aqveynebs-kvlevas-konkuren-
ciaze-sakartveloshi](http://transparency.ge/post/report/tig-aqveynebs-kvlevas-konkuren-
ciaze-sakartveloshi)>.
8. Anjaparidze, Z. "Georgian Government Ques-
tioned about Secret Funds." Eurasia Daily
Monitor, The Jamestown Foundation, 2006,
Vol. 3, Issue 71, April 12, <http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Bwords%5D=8fd5893941d69d0be3f378576261ae3e&tx_ttnews%5Bany_of_the_words%5D=Anjaparidze%2C%20Zaal&tx_ttnews%5Bpointer%5D=1&tx_ttnews%5Bttnews%5D=31572&tx_ttnews%5BbackPid%5D=7&cHash=864959a53b>.
9. გუჯარაიძე, ნ., კ. ბარბაქაძე, კ. გუჯარაიძე, რ.
მჭედლიშვილი, რ. კახაბერი. სახელმწიფო
ქონების პრივატიზების აგრესიული
პოლიტიკა ანუ "პრივატიზება ქართულად".
თბილისი: მწვანე ალტერნატივა, ღია
საზოგადოება – საქართველო, 2007, <[http://
www.greenalt.org/webmill/data/file/publica-
tions/Privatizeba-Geo7.pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Privatizeba-Geo7.pdf)>.
10. გუჯარაიძე, ნ. სახელმწიფო ქონების
პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა, ანუ
"პრივატიზაცია ქართულად" – 2. თბილისი:
მწვანე ალტერნატივა, ღია საზოგადოება –
საქართველო, 2010, <[http://www.greenalt.org/
webmill/data/file/publications/PRIVATIZA-
TION_REPORT_2010.pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/PRIVATIZA-
TION_REPORT_2010.pdf)>.
11. Jones, S. F. Democracy in Georgia: Da Capo? Cic-
ero Foundation Great Debate Paper, 2013, No.
13/02, April, <[http://www.cicerofoundation.org/
lectures/Stephen_Jones_Georgia.pdf](http://www.cicerofoundation.org/lectures/Stephen_Jones_Georgia.pdf)>.
12. Jobelius, M. "Georgia's Authoritarian Liberal-
ism." South Caucasus—20 Years of Independ-
ence. Tbilisi: Friedrich-Ebert-Stiftung, 2011,
<[http://library.fes.de/pdf-files/bueros/geor-
gien/08706.pdf](http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/08706.pdf)>.
13. Papava, V. "Anatomical Pathology of Georgia's
Rose Revolution." Current Politics and Econom-
ics of the Caucasus Region, 2009, Vol. 2, Issue 1.
14. დევალი, თ. საქართველოს არჩევანი. მომავ-
ლის დაგეგმვა გაურკვევლობის პერიოდში.
ვაშინგტონი: Carnegie Endowment for Interna-
tional Peace, 2011, <[http://carnegieendowment.
org/files/georgias_choices_georgian.pdf](http://carnegieendowment.org/files/georgias_choices_georgian.pdf)>.
15. Papava, V. "US Elections: Hopes and Expecta-
tions from a 'Post-Rosy' Georgia." Open De-
mocracy, October 23, 2012, <[http://www.
opendemocracy.net/od-russia/vladimer-papava/
us-elections-hopes-and-expectations-from-
%E2%80%98post-rosy%E2%80%99-georgia](http://www.opendemocracy.net/od-russia/vladimer-papava/us-elections-hopes-and-expectations-from-%E2%80%98post-rosy%E2%80%99-georgia)>.

16. Cornell, S. E., and S. F. Starr, eds. *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia*. Armonk: M. E. Sharpe, 2009.
17. Extraordinary European Council, Brussels. 1 September, 2008, 12594/08. Presidency Conclusions. Brussels: Council of the European Union, 2008, <http://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/102545.pdf>.
18. Georgia: Letter of Intent, Memorandum of Economic and Financial Policies, and Technical Memorandum of Understanding. September 9. Washington, DC: The International Monetary Fund, 2008, <<http://www.imf.org/External/NP/LOI/2008/geo/090908.pdf>>.
19. “აშშ-საქართველოს ქართია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ”. *Civil.Ge*, 9 იანვარი, 2009, <<http://civil.ge/geo/article.php?id=20340>>.
20. Kobzova, J. Georgia's Bumpy Transition: How the EU Can Help. The European Council on Foreign Relations Policy Memo, 2013, April 4, <http://ecfr.eu/page/-/ECFR75_georgia_MEMO_AW.pdf>.
21. 100 Days in Power: Rule of Law and Human Rights Conference. Tbilisi: Transparency International Georgia, February 18, 2013, <<http://transparency.ge/en/node/2791>>.
22. “ივანიშვილი ბიზნესმენებს შეხვდა”. *Civil.Ge*, 6 ოქტომბერი, 2012, <<http://civil.ge/geo/article.php?id=26073>>.
23. სამსონი, ი. “საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები საშუალოვადიან პერიოდში”. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, 2008, თებერვალი.
24. Tsikhelashvili, K., I. Chkhutishvili, T. Shergelashvili, and A. Geybullayeva. *Georgian—Turkish Free Trade Agreement 2008: Implications Two Years After*. Tbilisi: The European Initiative Liberal Academy Tbilisi, 2011, <<http://iliblog2011.files.wordpress.com/2011/03/attachment.pdf>>.
25. სილაევი, ნ., ა. სუშენცოვი. საქართველო არჩევნების შემდეგ და რუსულ-ქართული ურთიერთობების პერსპექტივები. მოსკოვი: რუ-სეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი (უნივერსიტეტი), 2012, <http://www.mgimo.ru/georgiareport/i/Silaev-Sushentsov_MGIMO-Georgia-Report_Geo.pdf>.
26. Papava, V. “Economic Component of the Russian-Georgian Conflict.” *The Caucasus & Globalization*, 2012, Vol. 6, No. 1.
27. პაპავა, ვ. “საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა ევოლუცია პოსტ-საბჭოთა პერიოდში: განვლილი გზა და პერსპექტივები”. კრებულში: რუსეთი და საქართველო: გამოსავლის ძიებაში. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2011, <http://www.gfsis.org/media/download/library/articles/RUSSIA_AND_GEORGIA_SEARCHING_THE_WAY_OUT_Georgian_Publication.pdf>.
28. GDP Per Capita (Current US\$). The World Bank, 2013, <<http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD>>.
29. პაპავილიძე, ა. “მდგრადი ეკონომიკური ზრდის რისკები საქართველოში”. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, 2008, თებერვალი.



ქართული ენციკლოპედიის აქიჯის ქსი

სოსო ცინცაძე

დიპლომატიური აკადემიის რექტორი, პროფესორი

მესამე საუკუნეა რაც საქართველო ჩრდილოელ დიდ მეზობელთან ურთიერთობის ოპტიმალური მოდელის ძიებაშია. საკმარისზე მეტი დრო გვქონდა რათა ზუსტად გათვლილი დასკვნები გამოგვეტანა გრძელვადიანი დიპლომატიური კურსის შესამუშავებლად და ერთხელ და სამუდამოდ გვეთქვა უარი რომანტიულ-გულუბრყვილო „სუფთა ფურცლის“ საშიშ-დილეტანტურ ილუზიებზე. ვერაფრით ვერ დავრწმუნდით იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებაში რომ მეორე მხარეს არანაირი „სუფთა ფურცელი“ არ გააჩნია გარდა ალექსანდრე პირველისა და ბოლშევიკთა ხელმოწერებით აჭრელებული მანიფესტ-გადაწყვეტილებებისა. არც მეფისა და არც ბოლშევიკების რეჟიმთა კრახის შემდეგ არ „გასუფთავებულა“ ისტორიის ეს ფურცელი. დიდი ალბათობით არც განვჭვრეტ, რომ მომავალში მოხდება საოცრება. უბრალოდ, დრო იცვლება და თავისი კორექტივები შეაქვს (მხოლოდ სტილისტური) რომანოვ-ულიანოვურ სტრატეგიაში.

ისტორიული ფაქტია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს სახელმწიფოს, საქართველოს არასოდეს არ ჰყოლია სტრატეგიული მოკავშირე ამ მცნების კლასიკური გაგებით. ამავდროულად კი, თუ ვისმეს ესაჭიროება დღევანდელ მსოფლიოში ასეთი მოკავშირე (რომელიც მზად იქნება მოკავშირისათვის იომოს და არა მხოლოდ პოლიტიკური მხარდაჭერით შემოიფარგლოს), მათ შორისაა საქართველოც.

რასაკვირველია ჯობია იყო მდიდარი და ჯანმრთელი, ვიდრე ღარიბი და ინვალიდი, მაგრამ რეალობა სულ სხვაგვარია და ჩვენც აქედან უნდა ამოვიდეთ. კრემლის კედლებზე იმსხვრევა საქართველოს ახალი ხელისუფლების შეგონება-შეპირებები, რომ თბილისი არასოდეს არ გამოიყენებს რუსეთის საწინააღმდეგოდ ნატოს წევრობას და რაც უფრო მეტი მონდომებით მივიღტვით ალიანსში გაწევრიანებისაკენ, მით უფრო უკომპრომისო ხდება მოსკოვი. ეს უკვე მყარად დაფიქსირებული რეალობაა, რომელსაც ასე თუ აიტანს ოფიციალური თბილისი, თუნდაც

ჰორიზონტზე რომ მოსჩანდეს მკაფიოდ, ალიანსის ფუტურისტული ემბლემა.

ერთი პატარა ბიბლიოთეკა შეივსება საქართველო-ნატოს თანამშრომლობაზე დაწერილი სტატიებითა და გულუხვი გრანტებით დაფინანსებული სქელტანიანი წიგნებით, რომელსაც მკითხველი არასოდეს არ ჰყოლია და თავიდანვე მაკულატურად იყო განწირული. მეორეს მხრივ კი არც ხელი და არც ენა არ „მობრუნებია“ ვისმეს მწარე სიმართლის სათქმელად: თუ ბრიუსელში მართლაც მიაჩნდათ პრიორიტეტად საქართველოს მიერთება, საამისოდ ოთხმოცდაათიანი წლები უნდა გამოეყენებინად, როდესაც არანაირ სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენდა დასავლეთის ხელში შემყურე და სახელმწიფოებრივი კოლაფსის ზღვრამდე მისული ელცინის რუსეთის იმპერული კაპრიზების იგნორირება. ვაშინგტონმა და ბრიუსელმა კი (პირველ რიგში ვაშინგტონმა) იმ პერიოდში აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიისპირეთი მიიჩნიეს პრიორიტეტებად. მოვა დრო და ხსენებულ პრიორიტეტთა სისწორის საკითხი აუცილებლივ დადგება დასავლელ მკვლევართა და სამხედრო სტრატეგთა დღის წესრიგში; ერთი წუთით წარმოვიდგინოდ ხმელთაშუა ზღვიდან დაწყებული თურქეთ-საქართველოთი და შავი ზღვით (კიევთან მიმართებაში ჭკვიანური პოლიტიკის შემთხვევაში) შეკრული „სამხრეთი ფლანგი“. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთს, რუსეთის ჰიპოთეტური (სინამდვილეში მითიური) აგრესიისაგან მათი დაცვა ალიანსში ფორმალური წევრობის გარეშეც შეიძლებოდა გეოგრაფიული სიახლოვისა და ახლო ისტორიის გათვალისწინებით. სამწუხაროდ საქართველოსათვის (და შესაძლოა

მთლიანად სამხრეთ კავკასიისათვის) ეს მატარებელი კარგა ხნის წასულია. დღეს აღარც ალიანსია ტრადიციულ „სპორტულ ფორმაში“ და არც რუსეთია იმდროინდელი ელცინივით მიხრწნილ-დამყოლი. მოსკოვის სახელისუფლებო დერეფნებში კი „წითელ წიგნში“ შესატანადაც არ მოიძებნება პოლიტიკოსი „ადრეული“ ელცინის მინისტრ კოზირევივით, ემიგრაციაში წასვლას, რომ ამჯობინებდა ტოტალიტარულ სამშობლოში ცხოვრებას. დადგა დრო როდესაც აბაშიძე-კარასინის დუეტის პარალელურად საზოგადოებამაც დაიწყო ქვეყნის ახალი საგარეო პოლიტიკის (რუსეთთან ურთიერთობაში) პირველი შედეგების გაანალიზება და შეჯამება. პირველი შედეგები კი არც ნათელია და არც იმედის მომცემი; ძნელი სათქმელია თუ რას ელოდა მოსკოვი საქართველოს ახალი ხელისუფლებისაგან, ან რას გულისხმობდა ვ. პუტინი „ურთიერთობის დარეგულირებაში“, თუმცა როგორც ჩანს „ქართული ოცნებისაგან“ რაღაც განსხვავებულს. ასევე შეიძლება კამათი იმაზე, იყო თუ არა ნაჩქარევი ქართული მხრიდან, სათანადო კომფიდენციალური დიპლომატიური კონსულტაციების გარეშე, პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა. მოსკოვის გაჭიანურებული პაუზა, შემდეგ კი არაადეკვატური გადაწყვეტილება, როდესაც ზ. აბაშიძის „ვიზავობა“ საგარეო საქმეთა მინისტრის რიგით მოადგილეს შეუთავსეს (და ეს მაშინ, როდესაც იგივე უწყებაში უცხო სახელმწიფოებთან ეკონომიკურ ურთიერთობათა მთელი დეპარტამენტი არსებობს) უკვე იძლეოდა გარკვეული ეჭვის საფუძველს. სამწუხაროდ დიპლომატიაში ერთი მხარის კეთილ ნებას და სწრაფი სასურველი შედეგის გულახდილად

შეუნიღბავ სურვილს იშვიათად თუ მოჰყოლია მეორე მხარის ანალოგია. „რეალპოლიტიკის“ ერთგულ მოსკოვში ჩათვალეს, რომ თბილისმა უალტერნატივო ჩიხში ამოჰყო თავი და აპრიორი მომგებიანი პოზიციიდან ხანგრძლივი სავაჭრო რაუნდებისათვის დაიწყო მზადება. საქართველოს ახალმა პრემიერმა კი ბევრისათვის მოულოდნელად დაიწყო აშკარად პროდასავლური კურსისადმი ერთგულების დემონსტრირება, რასაც რუსეთის ტრადიციულად ხისტი რეაგირება მოჰყვა – სწორედ მაშინ, როდესაც აბაშიძე-კარასინის ფლირტის პირველ რეალურ შედეგს ელოდა ჩვენი ნეტარმორწმუნე საზოგადოება თავისი „დამოკიდებულ“ თუ „დამოუკიდებელ“ „ექსპერტთა“ კლუბებ-ასოციაციებით, რუსეთმა მავთულხლართების დიპლომატია აამოქმედა მისივე არმიის მიერ დადგენილ საქართველოს საზღვრებზე. ისე კი, რთული გასათვლელი არ უნდა ყოფილიყო ეს ყველაფერი ოფიციალური თბილისისათვის; საამისოდ ხომ სახეზე გვაქვს უკრაინის მაგალითი? საკმარისია რეტროსპექტივში გადავავლოდ თვალი მოსკოვ-კიევის ურთიერთობათა თუნდაც უკანასკნელი რამდენიმე წლის ქრონიკებს, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას მოსკოვის ჯიუტად დაუღლელ მცდელობებზე საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს ეს უდიდესი პოსტსაბჭოური სახელმწიფო. ერთ პერიოდში ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეიქმნა, რომ ვ. იანუკოვიჩის რუსეთთან სამოკავშირეო ურთიერთობაზე მეტად ხიბლავდა ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, მაგრამ ვ. პუტინის გაუჭრელმა კოზირის „კარტმა“ – ბუნებრივმა აირმა, კიევის მოსკოვისკენ დააწყებინა დრეიფი. თავის მხრივ ბრიუსელმაც არ დააკლო

მცდელობა მოვლენათა ასეთ განვითარებას, როდესაც პრინციპებს შესწირა რეალური პოლიტიკა.

სავარაუდოა, რომ უკრაინის შემდეგ საქართველოა ვ. პუტინის პრიორიტეტთა სიაში. როგორც რუსეთის სახელისუფლებო წრეებთან ახლოს მდგომი ერთ-ერთი გამოცემა იუწყება, გაზეთის მიერ გამოკითხული მაღალი რანგის ჩინოვნიკები ერთხმად ადასტურებენ, რომ მიმდინარე წლის მთავარი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტია პოსტსაბჭოური სივრცის ახალი საინტეგრაციო სტრატეგია. სწორედ ამ პრობლემას მიუძღვნა ვ. პუტინმა 2011 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში გამოქვეყნებული პირველი ვრცელი საპროგრამო სტატია. იმავე პერიოდში გააცნო უცხოეთში მომუშავე რუსეთის ელჩებს საბაჟო კავშირის პერსპექტივები, რომელიც 2015 წლისთვის ევროკავშირის პოსტსაბჭოურ ანალოგად – ევრაზიის ეკონომიკურ კავშირად უნდა იქცეს. მოსკოვში არ მალავენ, რომ ევრაზიის კავშირი არ უნდა დარჩეს მხოლოდ სამთა კავშირად და ის უნდა იქცეს ვ. პუტინის მრავალწლიანი ეპოქის დამაგვირგვინებელ გიგანტად. რუსულ ავტორიტეტულ გამოცემებში პერიოდულად „გაჟონილ“ იმფორმაციებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ამჯერად კრემლი საფუძვლიანად ემზადება მორიგი „კავშირის“ დასაფუძნებლად და მტკიცედ აქვს განზრახული არ გაიმეოროს დსთ-ს შეცდომები. თავის მხრივ რუსი ექსპერტები იმ მოულოდნელ წინააღმდეგობებზეც ღიად წერენ, რუსეთსა და პოსტსაბჭოური სივრცის მთავარ ინტეგრატორს – ყაზახეთს შორის, რომ იჩინა თავი. უთანხმოების მიზეზად კი ენერგომატარებლებზე საბაჟო გადასახადის საკითხის დაურეგულირებლობა იქცა:

მოსკოვის კატეგორიული მოთხოვნით, ამ სფეროში ვაჭრობის საკითხი არ შედის ერთიანი საბაჟო კავშირის კომპეტენციაში, რაც არ აწყობს ასტანას. უკანასკნელი ასევე არ ხვდება „გაგებით“ მოსკოვის მინიმუმებს ერთიან ვალუტასა და საემისიო ცენტრზე მოსკოვში. სულ რაღაც ორიოდე წლის წინ კი, ნ. ნაზარბაევი და ა. ლუკაშენკო საჯაროდ ედავებოდნენ ერთმანეთს ევრაზიის კავშირის იდეის ავტორობაში. ასე, რომ ინტეგრაცია ინტეგრაციად, მითუმეტეს თუ იგი ნაზარბაევის პოლიტიკური კლანის ხელშეუხებლობის გარანტიად იქცევა, მაგრამ რეალური სუვერენიტეტის დათმობასაც რომ არ აპირებს, ეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში დაამტკიცა კლანის ლიდერმა, როცა მოსკოვისაკენ მიხედვის გარეშე დაუსვა წერტილი კაზაკთა „ვოლნიცებს“ ჩრდილოეთ ყაზახეთში. ყველაფერ აქედან გამომდინარე კი შეიძლება დავასკვნად, რომ ნაადრევია ჯერ არ არსებული ევრაზიის კავშირის დემონიზირება, მის საბოლოო ავ-კარგიანობაზე პოლიტიკურ ჭრილში როგორც მომხდარ ფაქტზე ისე მსჯელობა. რეალურად ჯერ მხოლოდ ის საფრთხეა გარანტირებული, რომელსაც ვ. პუტინი უმზადებს მისი იდეის მოწინააღმდეგეებს. არც ის უნდა იყოს სადაო, რომ სანამ კრემლის მაღალ ჭერიან კაბინეტებში თუნდაც ქალაქდზე, ან კომპიუტერებში არსებობს საბჭოური „მიწების შეგროვების“ ნებისმიერი იდეა-პროექტი, რუსეთის ასევე ნებისმიერი ხელმძღვანელობისათვის კატეგორიულად და ცალსახად მიუღებელი იქნება ნებისმიერი ყოფილი „მომხე რესპუბლიკის“ გაწევრიანება ნატოში. ამ საკითხში კომპრომისი მოსკოვისათვის გამორიცხებულია, ხოლო ილუზიები კი პოლიტიკურად წამგებიანი და

სარისკოცაა. ჯერ იყო და 2008 წლის ომთან დაკავშირებით რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა დაუფარავად აღიარა, რომ საქართველოში შემოჭრის მიზეზი ალიანსში ამ ქვეყნის გაწევრიანების პერსპექტივა იყო, ხოლო უკვე პრემიერის რანგში, მიმდინარე წლის ივნისში, კვლავ დაადასტურა, რომ „რუსეთი რეაგირების გარეშე არ დატოვებს“ მისი ნებისმიერი მეზობლის ანალოგიურ მცდელობებს. გარდა სამხედრო ძალის გამოყენებისა, რუსეთს სხვა ბერკეტებიც გააჩნია მეზობლებზე ეფექტური ზეწოლისათვის: უკრაინასთან მიმართებაში ესაა ბუნებრივ აირზე დრაკონული ფასები და შავი ზღვის ფსკერზე, უკრაინის გვერდის ავლით, ევროპისაკენ მიმავალი გაზსადენის მშენებლობა, რაც სოლიდური სატრანზიტო შემოსავლის გარეშე დატოვებს კიევს. საქართველოსთან ურთიერთობაში კი ანალოგიური ფაქტორია თავის დროზე მის მიერვე პროვოცირებული ტერიტორიული მთლიანობის დილემა. ამავდროულად ვ. პუტინს ერთხელაც არ უთქვამს, რომ შუძლებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაო. როგორც წესი, მისი, ისევე როგორც სხვა რუსი მაღალჩინოსნების განცხადებები სოხუმისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობის“ ცნობის დენონსაციის შეუძლებლობას ეხება. ამა წლის მაისსა და ივნისში წუხილიც კი გამოთქვა იმის გამო, რომ მან „არ იცის“ თუ როგორ შეიძლება ამ საკითხში თბილისისა და მოსკოვის პოზიციების შეჯერება – ვერც თბილისი დათმობს და ვერც ჩვენო. ანუ ვ. პუტინმა მხოლოდ ის აღიარა, რომ მისთვისაა უცნობი გამოსავალი და არა ის, რომ ასეთი არ არსებობს. დიპლომატიურად ცუდლუტობს რუსეთის პრეზიდენტი და დამიფრული ტექსტით გველაპარაკება. ასევე მან პირველად

მოიხსენია საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებები 2008 წლის აგვისტოში, მხოლოდ „შეცდომა“ და არა „სისხლის სამართლის დანაშაულად“ და გაკვირით ახსენა „საერთო სახელმწიფოს“ მოდელი, რომელზეც მ. სააკაშვილს უთქვამს უარი. საერთო საზღვრებით (აღდგენილი ტერიტორიული მთლიანობით?) სთავაზობს საქართველოს ევრაზიის მომავალ კავშირში შესვლას ცნობილი „ევრაზიისტი“ იდეოლოგი და მეცნიერი ა. დუგინი. რაღაც საეჭვოდ დაემთხვა ბოლო ხანებში იდეის ავტორის (ვ. პუტინის) და იდეის მთავარი იდეოლოგის (ა. დუგინის) ღია ტექსტით და დიპლომატიური ქარაგმებით დახუჭუჭებული მიპატიჟებები. ორ მომენტზე უნდა გამახვილდეს დამატებით ყურადღება: პირველი ისაა, რომ უკანასკნელ თვეებში ს. ლავროვის უწყება შესამჩნევად ინერტიული გახდა საერთაშორისო არენაზე ცხინვალისა და სოხუმის „მაღიარებელთა“ ძეგლის თვალსაზრისით. და მეორე – როდესაც ვ. პუტინი დაბეჯითებით აცხადებს და იმეორებს, რომ თავის მხრივ საქართველოც არასოდეს არ შეურიგდება ტერიტორიების დაკარგვას, ამით სოხუმსა და ცხინვალსაც

მიანიშნებს: თბილისისათვის და ცივილიზებული მსოფლიოსათვის თქვენ მუდამ სეპარატისტებად დარჩებით აქედან გამომდინარე შედეგთა მთელი თაიგულითო.

ბუნებრივია, რომ თავისუფლების მოყვარე ნებისმიერი ერისათვის (არსებობს კი თავისუფლების მოძულე ერი?) ძნელად მისაღები და სარისკოა პოლიტიკური ინტეგრაცია ისეთი რეპუტაციის მქონე პარტნიორთან, როგორც რუსეთია. მეორეს მხრივ კი, რეალურ მოცემულობათა პირობებში, მეცნიერულ მკრეხელობად არ უნდა შეფასდეს თუნდაც იგივე ევრაზიის კავშირის პოლიტიკური ანატომიის შესწავლა მით უმეტეს თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტს ჯერ არც ერთი საკუთარი იდეა არ მიუტოვებია შუა გზაზე. ჩვენ კარგა ხანია რაც არარაციონალურად იდეოლოგიზირებული საგარეო პოლიტიკის ეშხის ტყვეობაში ვიმყოფებით. დროა რეალური პოლიტიკით და არა მხოლოდ საჯარო განცხადებებით დავამტკიცოდ, რომ მართლაც რაღაც იცვლება ქართულ დიპლომატიურ პრაქტიკაში.



საქართველო: ჩახომ ინსახასია დასავლითთან?

ზურაბ დავითაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მისი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მკაფიო განსაზღვრა და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაა. ეს ერთ-ერთი ურთულესი ამოცანაა, რადგან მასზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი და მისი, როგორც ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ, საერთაშორისო სისტემამ ძირეული ცვლილება განიცადა. ბიპოლარული სისტემა, სადაც ძალის პოლუსებს წარმოადგენდნენ დასავლეთი და აღმოსავლეთი ანუ კაპიტალისტური სამყარო აშშ-ის მეთაურობით და სოციალისტური ბანაკი საბჭოთა კავშირის ლიდერობით, დაინგრა. მაგრამ განსხვავებით ადრე არსებული საერთაშორისო სისტემებისაგან (ვესტფალიის, ვენის, ვერსალის), რომელთა შექმნა და დანგრევა ხდებოდა დიდი ომების შედეგად (ოცდაათწლიანი ომი, ნაპოლეონის ომები, პირველი და მეორე მსოფლიო ომები), იალტა-პოტსდამის სისტემის ნგრევა ომის შედეგად არ მომხდარა. ამის გამო ახალი საერთაშორისო სისტემის ფორმირება დროში

გაიწელა და შესაბამისად, თანამედროვე გეოპოლიტიკური წესრიგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია.

აქედან გამომდინარე, საკამათოა ისიც კი, თუ რა ტიპისაა დღევანდელი საერთაშორისო სისტემა. ზოგიერთი თვლის, რომ დღევანდელი მსოფლიო უნიპოლარულია, რადგან ძალის ერთადერთი პოლუსი, ერთადერთი შესახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატებია. სხვები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა კვლავ ბიპოლარულია, ოღონდ დაპირისპირება „აღმოსავლეთი-დასავლეთი“ შეიცვალა დაპირისპირებით „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ და თანამედროვე მსოფლიოს მთავარი მახასიათებელი არის წინააღმდეგობა მდიდარ ჩრდილოეთს (განვითარებული სამყარო) და ღარიბ სამხრეთს შორის (განვითარებადი ქვეყნები). არიან ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გლობალიზაციის ეპოქაში მსოფლიოს დაყოფა „ძალის პოლუსებად“ აზრს კარგავს და რეალურად საქმე გვაქვს უსაზღვრებო, ერთიან მსოფლიოსთან ანუ ე.წ. უნივერსალურ საერთაშორისო სისტემასთან. თუმცა მკვლევართა უმრავლესობის აზრით,

თანამედროვე საერთაშორისო სისტემა მრავალპოლუსიანია (მულტიპოლარულია), სადაც ძალის რამდენიმე პოლუსი (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ისლამური სამყარო) გამოიყოფა.

მულტიპოლარულ სისტემაში ძალის თითოეულ პოლუსს სჭირდება თავისი გავლენის სფერო, სადაც სახელმწიფოთა ჯგუფები ერთიანდება. ის, თუ რომელ პოლუსთან აღმოჩნდება ასოცირებული ესა თუ ის სახელმწიფო ან სახელმწიფოები, განსაზღვრავს სისტემის ხასიათს და ძალთა წონასწორობას პოლუსებს შორის.

ამერიკელი მეცნიერის, სემუელ ჰანტინგტონის ჰიპოთეზის მიხედვით მომავალ მსოფლიოში ძალის პოლუსებად მოგვევლინება ცივილიზაციები (დასავლური, სლავურ-მართლმადიდებლური, ისლამური, ინდუისტური, კონფუციანური, იაპონური, ლათინურ ამერიკული, აფრიკული) და სწორედ მათ შორის დაპირისპირება და შეჯახება იქნება საერთაშორისო ურთიერთობების შინაარსი.

ჰანტინგტონი თვლის, რომ დესტაბილიზაციის კერები ის რეგიონებია სადაც ცივილიზაციათა შორის საზღვრები გადის. ევროპაში ამის მკაფიო მაგალითი ბალკანეთი და კავკასიაა, სადაც დასავლური, სლავურ-მართლმადიდებლური და ისლამური ცივილიზაციები ხვდება ერთმანეთს. აქედან გამომდინარე ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც ასეთ რეგიონებში მდებარეობენ, თავისთავად, ობიექტურად, წარსულშიც წარმოადგენდნენ და დღესაც წარმოადგენენ „რისკის ზონებს“. ასეთმა ქვეყანამ პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით არჩევანი უნდა გააკეთოს იმ დაპირისპირებულ ძალებს შორის, რომლებსაც პრეტენზია აქვთ მოცემულ ქვეყანაზე, როგორც თავიანთ გავლენის სფეროზე. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ ე.წ. „გახლეჩილი“ ერები. ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება ის ერები, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთ ცივილიზაციას,

მაგრამ პოლიტიკური ორიენტაცია სხვა ცივილიზაციაზე აქვთ აღებული.

თუ ჰანტინგტონის ჰიპოთეზას გავიზიარებთ, საკმათო არ იქნება, რომ საქართველო სწორედ ცივილიზაციების გამყოფ ხაზზე მდებარე ქვეყანაა და მიუხედავად მართლმადიდებლური ცივილიზაციისადმი კუთვნილებისა შეიძლება ეწოდოს „გახლეჩილი“ ერი, მისი პროდასავლური ორიენტაციის გამო. სწორედ აღნიშნული მდგომარეობაა ერთ-ერთი მთავარი სირთულე საქართველოს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისა და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის პოვნის გზაზე.

დღეს, როცა საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ არჩევანი გასაკეთებელია სამ ძირითად მიმართულებას შორის: დასავლეთი, ჩრდილოეთი და ნეიტრალიტეტი. მოკლედ შევჩერდებით თითოეულ მათგანზე.

ჩრდილოეთი: პოზიტივი და ნეგატივი

ჩრდილოეთის მიმართულებაში იგულისხმება ორიენტაციის აღება რუსეთზე. ამ ორიენტაციის მომხრეთა არგუმენტები შემდეგია:

- ა) საქართველო მდებარეობს იმ რეგიონში რომელიც უკვე რამდენიმე საუკუნეა რუსეთის გავლენის სფეროა და მის სასიცოცხლო გეოპოლიტიკურ ინტერესებში შედის. ამ რეგიონის დათმობა რუსეთის მხრიდან წარმოუდგენელია და ფიქრი სხვა (არარუსულ) ორიენტაციაზე საქართველოს მხრიდან უაზრო და საშიში თამაშია;
- ბ) საქართველო 200 წლის მანძილზე რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და ფაქტიურად მის ნაწილად იქცა. ამიტომ ძველი ტრადიციული კავშირების (პირველ

რიგში ეკონომიკური და კულტურული) დარღვევა თვით ქართველი ხალხისთვისაა უარყოფითი მოვლენა;

- გ) საქართველოში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის მთავარ ბაზარს რუსეთი წარმოადგენდა. ამ ბაზრის დაკარგვამ მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს. ქვეყანას ძალიან უჭირს დაიმკვიდროს ადგილი დასავლეთის ბაზარზე და ამიტომ ეკონომიკური კატასტროფა რომ თავიდან აიცილოს მხოლოდ ის გზა დარჩენია უარი თქვას დასავლეთზე და რუსულ ორიენტაციაზე დადგეს;
- დ) მხოლოდ რუსეთს შეუძლია ამა თუ იმ ფორმით გადაჭრას აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის პრობლემა და ხელი შეუწყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. სანაცვლოდ იგი საქართველოსგან მჭიდრო მოკავშირეობას და დასავლეთთან ინტეგრაციაზე უარის თქმას გულისხმობს;
- ე) საქართველო როგორც მართლმადიდებლური ქვეყანა ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად ერთი ცივილიზაციის ნაწილია. იგი ყოველთვის უცხო იქნება დასავლეთისთვის და ვერც დაიმკვიდრებს ადგილს მისთვის უცხო სამყაროში. ამიტომ ბუნებრივია იგი უნდა იყოს იმ სამყაროში, რომელიც მისთვის ახლობელი და მშობლიურია, ე.ი. რუსეთთან ერთად.

რუსული ორიენტაციის საწინააღმდეგო ძირითადი არგუმენტებია:

- ა) რუსეთზე ორიენტაციის შემთხვევაში საქართველო კარგავს სუვერენიტეტის მნიშვნელოვან ნაწილს და ფაქტიურად რუსეთის მარიონეტ სახელმწიფოდ უნდა იქცეს. მან უარი უნდა თქვას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე. იგი არა თუ ვერ განახორციელებს დამოუკიდებელ საგარეო

- პოლიტიკას, არამედ საშინაო პოლიტიკაშიც რუსეთს უნდა შეუთანხმდეს;
- ბ) რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის თითქმის 20% და ცნო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ორიენტაციის აღება ოკუპანტ სახელმწიფოზე იმ იმედით, რომ საქართველოს „კარგი ქვეყის“ პასუხად იგი უკან წაიღებს ამ ტერიტორიების აღიარებას და ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას სრული უტოპიაა, რომ აღარაფერი ვთქვათ ღირსებასა და ზნეობაზე;
- გ) რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება და ქართული პროდუქტის რუსულ ბაზარზე ორიენტირება წირავს საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და სიღარიბისკენ. მით უფრო, რომ რუსეთს ყოველთვის შეეძლება საქართველოს დაუხუროს ბაზარი და შეუწყვიტოს ენერგომომარაგება;
- დ) რუსეთზე ორიენტაციის აღება დასავლეთზე უარის თქმის სანაცვლოდ ისტორიის ლოგიკის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი იქნება, რადგან გლობალიზაციის ერაში უარის თქმა დასავლეთთან ინტეგრაციაზე უკან, წარსულში დაბრუნებაა. დიდი ალბათობით, თვით რუსეთიც ვერ აცდება დასავლეთთან ინტეგრაციას და გაუგებარია რატომ უნდა თქვას საქართველომ უარი თავის საუკუნებრივ მიზანზე.

დადებითი და უარყოფითი ფაქტორების შედარება ცხადს ხდის მთავარს: საქართველოსა და რუსეთის ეროვნული ინტერესები შეურიგებელ წინააღმდეგობაში ერთმანეთთან. რუსეთისათვის საქართველო მისი გავლენის სფეროა და აქ რუსული პოლიტიკის ხელშემწყობი და გამტარებელი ხელისუფლება უნდა იყოს. ეს კი

გამორიცხავს საქართველოს ეროვნულ ინტერესს; – საქართველოს ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. აქედან გამომდინარე ჩრდილოეთი, როგორც პოლიტიკური ორიენტაციის ვექტორი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელია.

ნეიტრალიტეტი: რეალობა თუ ილუზია?

ერთი შეხედვით ნეიტრალიტეტი საუკეთესო საშუალებაა ქვეყნის დამოუკიდებლობის, თვითმყოფადობის, ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, ეკონომიკური და კულტურული აყვავებისათვის. იგი ძალზე ლამაზი და მიმზიდველი ოცნებაა პატარა ქვეყნისთვის. მაგრამ რეალური ვითარება გაცილებით რთული და სერიოზულია და ნეიტრალიტეტის მიღწევა ბევრად უფრო მეტად პრობლემურია, ვიდრე დასავლეთთან თუ ჩრდილოეთთან ინტეგრირება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადება თავისთავად არაფერს ნიშნავს თუ იგი არ იქნება აღიარებული სხვა (პირველ რიგში დიდი და მეზობელი) სახელმწიფოების მიერ. მაგრამ არც ეს არის საკმარისი. ისტორიამ იცის მრავალი მაგალითი როცა ნეიტრალური სახელმწიფო აგრესორის მსხვერპლი გამხდარა. ამიტომ როცა ნეიტრალიტეტზე, როგორც სამართლებრივ სტატუსზეა ლაპარაკი, იგულისხმება მუდმივი, აღიარებული და რაც მთავარია გარანტირებული ნეიტრალიტეტი, ანუ როცა დიდი და ძლიერი სახელმწიფოები წარმოადგენენ მოცემული ქვეყნის ნეიტრალიტეტის გარანტებს. დღეს მსოფლიოში არსებული 190-ზე მეტი სუვერენული სახელმწიფოდან ასეთი სტატუსი მხოლოდ ერთადერთ ქვეყანას, შვეიცარიას გააჩნია და უკვე ეს ფაქტი მიუთითებს, რამდენად რთული და ძნელადმისაღწევი ფუფუნებაა საქართველოსათვის გარანტირებული ნეიტრალიტეტი. მაინც რა არის აუცილებელი პირობები

იმისათვის, რომ წამყვანი ქვეყნები გახდნენ პატარა ქვეყნის ნეიტრალიტეტის გარანტები? (თუმცა თავისთავად ცხადია, რომ ეს პირობები საკმარისი არ არის, რადგან ბევრი ქვეყანა აკმაყოფილებს პირობებს, მაგრამ მათ გარანტად არავინ დასდგომიათ).

- ა) ნეიტრალური ქვეყანა არ უნდა წარმოადგენდეს სხვა სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესების ობიექტს და გეოგრაფიულად „მარგინალურ ზონაში“ უნდა მდებარეობდეს;
- ბ) მას უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა;
- გ) მისთვის უცხო უნდა იყოს ყოველგვარი ექსპანსიონიზმი და ტერიტორიული პრეტენზიები;
- დ) უნდა ახასიათებდეს შიდა შეკავშირებულობის მაღალი დონე. თუ ქვეყანაში არსებობს შიდა გათიშულობა, სხვა ქვეყნები ადრე თუ გვიან ჩაერევიან მის საქმეებში;
- ე) მან უარი უნდა თქვას ყოველგვარ იდეოლოგიურ საგარეო პოლიტიკაზე.

როგორც ვხედავთ საქართველო ჯერ ძალიან შორს არის დააკმაყოფილოს ის პირობები, რაც აუცილებელია ნეიტრალიტეტისათვის. თეორიულად რომ დავუშვათ კიდევ, რომ მან ყველა საჭირო პირობა შეასრულა, მაინც საკითხავი იქნება, რატომ უნდა დაუდგნენ დიდი სახელმწიფოები გარანტად მის ნეიტრალიტეტს? ყოველივე აქედან გამომდინარე ნეიტრალიტეტის პერსპექტივა რბილად რომ ვთქვათ ერთობ საეჭვოა.

საქართველოს ნეიტრალიტეტის მომხრეები ამ სტატუსში ხედავენ ქვეყნის სუვერენიტეტის, სტაბილურობის და კეთილდღეობის გარანტიას და მაგალითად შვეიცარიას და ავსტრიას (რომელიც აღიარებული, მაგრამ არაგარანტირებული ნეიტრალიტეტის ქვეყანა იყო) ასახელებენ ხოლმე. იგივე შეიძლება ითქვას შვედეთისა და ფინეთის შესახებ, რომლებსაც ნეიტრალიტეტის სტატუსი

ოფიციალურად არ გააჩნდათ, მაგრამ ნეიტრალურ პოლიტიკას ატარებდნენ და ამიტომ ნეიტრალურ სახელმწიფოებად აღიქმებოდნენ.

თავი რომ დავანებოთ იმ უზარმაზარ განსხვავებას, რაც ერთის მხრივ საქართველოს, ხოლო მეორეს მხრივ ზემოთჩამოთვლილ ქვეყნებს შორის არის გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ისტორიული განვითარების თავისებურებების თვალსაზრისით, მართლ დღევანდელი საერთაშორისო სისტემის ხასიათი აყენებს ექვსეკემ ნეიტრალიტეტის შესაძლებლობას. მას შემდეგ რაც ავსტრია, შვედეთი და ფინეთი ევროკავშირში გაერთიანდნენ, მათი ნეიტრალიტეტი უკვე საეჭვო გახდა. მით უფრო, რომ ამ ქვეყნებში სულ უფრო მეტი და მეტი მომხრე უჩნდება ნატოში გაწევრიანების იდეას, რადგან ძლიერ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში მონაწილეობა დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების უფრო საიმედო გარანტიად მიიჩნევა, ვიდრე ნეიტრალიტეტი. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაცია, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება და გლობალიზაციის პროცესი საფუძველს აკლის ნეიტრალიტეტის იდეას და იგი ანაქრონიზმად იქცა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ნეიტრალიტეტი საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა და მხოლოდ ეკონომიკურად წელგამართულ ქვეყანას შეუძლია დამოუკიდებლად უზრუნველყოს საკუთარი თავდაცვა და უშიშროება. შვეიცარიის სამხედრო ხარჯები მაგალითად თითქმის იმდენია რაც თურქეთისა (რომელსაც ნატოს ქვეყნებს შორის სიდიდით მესამე ადგილი ჰყავს), ხოლო ავსტრიის სამხედრო ბიუჯეტი გაცილებით მეტია ვიდრე ნატოს წევრი ისეთი ქვეყნებისა, როგორც დანია და პორტუგალია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნეიტრალიტეტის იდეა საქართველოსთვის, მიუხედავად მისი მომხიბვლელობისა, ძალზე ძნელადმისაღწევი (თუ საერთოდ

შეუძლებელი არა) მიზანია და მასზე ორიენტაციამ შესაძლოა უარყოფითი როლი ითამაშოს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველო ვერ ამოვარდება იმ გლობალური პროცესებიდან რომელსაც თანამედროვე მსოფლიოში აქვს ადგილი და რომელიც დასავლეთთან ასოცირდება. ამიტომ ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია რჩება საქართველოს საგარეო ორიენტაციის ძირითად მიმართულებად და ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების მთავარ გარანტიად.

დასავლეთი: რა უშლის ხელს ინტეგრაციას?

დასავლური ორიენტაცია შემდეგ არგუმენტებს ემყარება:

- ა) დასავლეთი არ არის გეოგრაფიულ ჩარჩოებში მოქცეული ცნება. იგი პროგრესისა და მოდერნიზმის სინონიმია. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ცდილობს იაროს პროგრესისა და დემოკრატიის გზით, რომლის მიზანია მიაღწიოს ეკონომიკურ კეთილდღეობას, პიროვნების თავისუფლებას და პოლიტიკურ სტაბილურობას, უნდა გახდეს დასავლეთთან მჭიდროდ ინტეგრირებული. დასავლეთისგან განდგომა დინების საწინააღმდეგოდ სვლაა და წლობით დახევს უკან ქვეყნის განვითარებას;
- ბ) დასავლეთთან ინტეგრაცია არის საუკეთესო გარანტი ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვისათვის. დასავლეთის არც ერთ პატარა ქვეყანას არ ემუქრება საფრთხე გარედან, რადგან მის უშიშროებაზე ნატო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ზრუნავენ. თუ საქართველო დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანდება, მას საბოლოოდ მოეხსნება რუსეთის საფრთხე და ტერიტორიების დაკარგვის შიში;
- გ) ყველა სხვა ორიენტაციის ქვეყანა ადრე თუ გვიან პირს დასავლეთისკენ

იბრუნებს, რადგან დასავლური ცივილიზაცია და ცხოვრების წესი უნივერსალურია და სულ უფრო ფართოდ ვრცელდება მსოფლიოს სხვა, არადასავლურ რეგიონებში. ამიტომ ლაპარაკი სხვა ორიენტაციაზე აზრს ჰკარგავს და უბრალო დროის კარგავს.

მაგრამ დასავლური ორიენტაციის რეალობად ქცევა და დასავლეთთან ინტეგრაცია დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

პირველ რიგში ქვეყანა გეოგრაფიულად უნდა მიეკუთვნებოდეს დასავლურ სამყაროს. თუ მაგალითად ესა თუ ის ქვეყანა გეოგრაფიულად არ არის ევროპის ნაწილი, იგი ყველა პირობასაც რომ აკმაყოფილებდეს ვერ გახდება ევროკავშირისა და სხვა ევროპული თუ ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრი. მიეკუთვნება თუ არა საქართველო (და მთლიანად კავკასია) ევროპას, გეოგრაფებს შორის სადავო საკითხი იყო და ეს დავა დღესაც გრძელდება, თუმცა უმრავლესობის აზრით კავკასია მაინც ევროპას უნდა მიეკუთვნოთ. რაც შეეხება სხვა ფაქტორებს (პოლიტიკური ისტორია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები, ქრისტიანული ცივილიზაციისადმი კუთვნილება და ა.შ.), საქართველოს ევროპულობა ეჭვს არ იწვევს და ბევრი საერთო აქვს ისეთ ევროპულ ქვეყნებთან, როგორცაა საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, სერბეთი, ალბანეთი და სხვ. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ საქართველო ბევრი ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია და თითქმის ყველა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობს როგორც ევროპული ქვეყანა, ეჭვს აღარ ტოვებს საქართველოს ევროპულობასთან დაკავშირებით.

მაგრამ ევროპელობა ავტომატურად არ ნიშნავს დასავლეთისადმი კუთვნილებას. მართლმადიდებლური ცივილიზაცია ევროპულია, მაგრამ განსხვავდება დასავლური ცივილიზაციისაგან. ევროკავშირი და ნატო კი უმთავრესად

დასავლური ცივილიზაციის ქვეყნების გაერთიანებაა. შესაბამისად, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და პირველ რიგში ევროკავშირში ინტეგრაცია დასავლურ ცივილიზაციასთან დაახლოებასაც გულისხმობს. სწორედ აქ იჩენს თავს გარკვეული სირთულეები საქართველოს დასავლეთთან დაახლოების გზაზე.

გახლეჩილმა ქვეყანამ რომ სხვა ცივილიზაციასთან პოლიტიკური ინტეგრაცია განახორციელოს, სამი პირობა უნდა იყოს დაცული:

1. პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა ერთუზიანებით უნდა უჭერდეს მხარს ამ ნაბიჯს;
2. საზოგადოება მზად უნდა იყოს ასეთი რეიდენტიფიკაციისათვის;
3. მიმღები ცივილიზაციის ძირითადი ძალები თანახმა უნდა იყვნენ მის მისაღებად.

პირველ პირობას რაც შეეხება, უკანასკნელ ხანს ზოგიერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წრეებში აშკარად გაისმა ანტიდასავლური განცხადებები, რაც ადრე ძნელი წარმოსადგენი იყო. ამის მიზეზები რა თქმა უნდა არის რუსეთის ფაქტორი, კერძოდ იმის განცდა, რომ დასავლეთზე ორიენტაცია აღიზიანებს რუსეთს, რის გამოც საქართველოს პრობლემების მოგვარება ყოვნდება და რუსეთის გარეშე ის საერთოდ განუხორციელებელია. მაგრამ უფრო საინტერესოა სხვა ფაქტორი: საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაწბილება დასავლეთით, რომ იგი „ის არ აღმოჩნდა რასაც მოველოდით“, რომ „ის სხვაა და ჩვენ სხვა“. ასეთ პირობებში კი ამ პოლიტიკური ძალების აზრით უმჯობესია უარი თქვა შენთვის უცხო დასავლეთზე და პირი რუსეთისკენ იბრუნო.

არანაკლებ ძნელი განსახორციელებელია დანარჩენი ორი პირობა. ქართული საზოგადოების ნაწილში სულ უფრო მეტ მომხრეს იძენს აზრი, რომ დასავლური ცხოვრების წესი ძირეულად ეწინააღმდეგება

ქართულ ეროვნულ ტრადიციებს და სრულიად მიუღებელია ქართველი ერისათვის, ხოლო დასავლეთთან ინტეგრაცია ქართველი ერის გადაგვარებისა და გაქრობის ტოლფასია. ამ მიმართულებით (იგულისხმება ანტიდასავლური განწყობის დამკვიდრება) აქტიურ მოღვაწეობას ეწევიან ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი, ეკლესიის მსახურნი და სხვ. ფართოდ გამოიყენება რა პატრიოტული და ნაციონალისტური ფრაზეოლოგია.

რაც შეეხება მესამე პირობას, რომ დასავლეთს თვითონ უნდა ჰქონდეს სურვილი გაითავისოს და დაიხლოვოს საქართველო, როგორც ჩანს, ესეც არ არის ადვილად გადასაჭრელი პრობლემა. დასავლეთში ზოგიერთი მიიჩნევს, რომ საქართველო სხვა, არაევროპული სამყაროა და მისი ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანება დასავლეთს მხოლოდ ახალ თავსატეხს გაუჩენს. აქედან გამომდინარე იქ ბევრი არ არის დაინტერესებული საქართველო გაერთიანებული ევროპის ახალ, სრულუფლებიან წევრად იხილოს.

როგორც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, საქართველო მხოლოდ მაშინ იქნება მზად დასავლეთთან ინტეგრაციაზე, ხოლო ეს უკანასკნელი მაშინ დათანხმდება მის „თავის წრეში“ მიღებაზე, (თუნდაც დიდი სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ინტერესები ჰქონდეს ამ რეგიონში) როცა ქართული საზოგადოება მაქსიმალურად დაუახლოვდება დასავლეთს.

რა არის ის ძირითადი ისტორიული, სოციალური, კულტურული თუ ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელიც განასხვავებს საქართველოს დასავლეთისაგან და რამდენად რეალურია მოხდეს მათი დაახლოება?

ს. ჰანტინგტონი თავის სტატიაში „დასავლეთი უნიკალური, მაგრამ არა უნივერსალური“ გამოჰყოფს რამდენიმე

ძირითად ნიშანს, რომელიც დასავლეთს „აქცევს დასავლეთად“ და განასხვავებს სხვა ცივილიზაციებებისაგან. ეს ნიშნებია:

- კლასიკური მემკვიდრეობა (ბერძნული ფილოსოფია და რაციონალიზმი, რომაული სამართალი და ლათინური ენა);
 - დასავლური ქრისტიანობა (კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი, რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია, რომლებმაც რენესანსთან ერთად შექმნეს ევროპა სოციალურ-კულტურული და არა გეოგრაფიული გაგებით);
 - ენათა სიმრავლე (მას შემდეგ რაც ლათინურმა ენამ თავისი პოზიციები დათმო ევროპის თითოეული ერის კულტურული განვითარება ადგილობრივი ენების საფუძველზე მოხდა);
 - საერო და სასულიერო ხელისუფლების განცალკევება;
 - კანონის უზენაესობა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა;
 - სოციალური პლურალიზმი და სამოქალაქო საზოგადოება;
 - წარმომადგენლობითი ორგანოებისა და თვითმმართველობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება;
 - ინდივიდუალიზმი, რაც პიროვნულ უფლებებში და თავისუფლების დაცვაში პოულობს გამოხატულებას. ამ ნიშნით დასავლეთი მკვეთრად განსხვავდება ყველა სხვა ცივილიზაციისაგან, სადაც კოლექტივიზმი აშკარად დომინირებს ინდივიდუალიზმზე.
- ამ ნიშანთაგან უმრავლესობა იმდენად სპეციფიკურია დასავლეთისთვის, რომ სხვა ცივილიზაციებისათვის სრულიად უცხო და მიუღწეველია. მაგრამ ზოგიერთი მათგანი შესაძლებელია შეთვისებული იქნეს არადასავლური ქვეყნებისა და ხალხების მიერ. ასეთ შემთხვევაში მათ უჩნდებათ შანსი დაუახლოვდნენ დასავლეთს და გარკვეულწილად მოახდინონ მასთან ინტეგრაცია.

საქართველოს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის ცივილიზაციის ზოგიერთი ნიშანი და ისტორიული განვითარების თავისებურებები (კლასიკური მემკვიდრეობა, დასავლური ანუ კათოლიკურ-პროტესტანტური ქრისტიანობა, რენესანსი, რეფორმაცია, ლათინური დამწერლობა და სხვ.) დასავლეთს მიეკუთვნება და მისი გავლენა საქართველოზე და ევროპაზე სრულიად განსხვავებულია. ამდენად ამ მიმართულებით საქართველოს მიახლოება ევროპასთან შეუძლებელიცაა და მას არც არავინ ითხოვს. მაგრამ სრულიად შესაძლებელია განხორციელდეს და განმტკიცდეს ისეთი პრინციპები და ფასეულობები, როგორცაა საერო და სასულიერო ხელისუფლების მკვეთრი გამიჯვნა, კანონის უზენაესობა, სოციალური პლურალიზმი და სამოქალაქო საზოგადოება, წარმომადგენლობითი ორგანოების განმტკიცება და ბოლოს, ალბათ შეიძლება მენტალიტეტის საკმაოდ სერიოზული შეცვლა, რაც გულისხმობს მცირეკოლექტივისტური ცნობიერებიდან („სამეგობრო“, „სანათესაო“, „სამეზობლო“) ინდივიდუალისტურ ცნობიერებაზე გადასვლას და პიროვნული თავისუფლებისა და უფლებების დაცვის ტრადიციის ჩამოყალიბებას.

უკანასკნელ წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროპასთან დაახლოების გზაზე. დღეს დასავლეთს ცოტა მიზეზი აქვს უარი უთხრას საქართველოს ევროატლანტიკურ თუ ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე. ყოველ შემთხვევაში დასავლური ღირებულებების (პირველ რიგში დემოკრატიის დონე, კანონის უზენაესობა და სოციალური პლურალიზმი) გავრცელების მასშტაბებით საქართველო არაფრით ჩამოუვარდება ასევე მართლმადიდებლური ცივილიზაციის ქვეყნებს რუმინეთს და ბულგარეთს, რომლებიც უკვე გახდნენ ნატოს და ევროკავშირის წევრები. კიდევ უფრო

მკაფიო მაგალითია ალბანეთი, ძირითადად ისლამური ქვეყანა, რომელიც ნატოს წევრია და სავარაუდოთ, მომავალში გახდება ევროკავშირის წევრიც.

ზემოთქმულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ცივილური განსხვავება არ წარმოადგენს არსებით დაბრკოლებას საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის გზაზე. დასავლეთის ძირითადი არგუმენტი, რომ საქართველო ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტებს, ხშირ შემთხვევაში კითხვას ბადებს, რადგან ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც ამ თვალსაზრისით საქართველოზე უკეთეს მდგომარეობაში არ ყოფილა, უკვე გაწევრიანდა ევროატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებში. როგორც ჩანს დასავლეთის თავშეკავებისა და სიფრთხილის მიზეზი მაინც ისაა, რომ იგი ერიდება რუსეთის გაღიზიანებას, რომელსაც საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში თავის სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების შელახვად მიაჩნია, რადგან თვლის, რომ საქართველოს შესვლა ნატოში (და პერსპექტივაში ევროკავშირში) მას აკარგვინებს გავლენას კავკასიაზე და ეს მისი ეროვნული უსაფრთხოებისათვის სერიოზული საშიშროებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Samuel P. Huntington. The Clash of Civilizations and the Remaking of World Order. A Touchstone Book. New York 1996
2. რონდელი ა. – პატარა ქვეყნის ორი როლი: ბუფერი და ნეიტრალიტეტი. “ქართული დიპლომატია“ #5. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1998. გვ. 161-162
3. Huntington S. (1996 B) – The West: Unique, not universal. Foreign Affairs. Volume 75. Issue 6. Nov/Dec. 1996. New York. 1996



საქართველო-ჩინეთი: უხიოუხიობების დაცაბება?

ალექსანდრე რონდელი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის დირექტორი, სრული პროფესორი

შესავალი

სამხრეთ კავკასიის რეგიონი არის ორი ინტეგრაციული ხედვის დაპირისპირების ადგილი. ერთი ხედვა მდგომარეობს რეგიონის მიზმასა და საბოლოო ინტეგრაციაში ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ სისტემაში. მეორე მოდელი კი რუსეთთან „ინტეგრირება“.

რუსეთმა განიზრახა დაამყაროს ბატონობა სამხრეთ კავკასიაში სამხედრო ძალით, ეთნიკური კონფლიქტებით მანიპულირებით, ენერგო რესურსებზე ბატონობით, გაკოტრებული საწარმოების დაპატრონებით, მოსკოვზე ორიენტირებული ადგილობრივი პოლიტიკური ძალების მხარდაჭერით და რუსეთის მთავრობის მიერ კონტროლირებადი ჩრდილოვანი ბიზნესის ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობით. გამოიყენოს რა რეგიონში არსებული სახელმწიფოების სისუსტე და დაუცველობა, ეს მოდელი მიზნად ისახავს გადააქციოს ისინი

რუსეთის მიერ მართულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკად.¹

სამხრეთ კავკასია, თავისი შიდა და საგარეო გამოწვევების გამო, ისევე როგორც გადაუჭრელი კონფლიქტების გამო, არასტაბილურობითა და უსაფრთხოების დეფიციტით გამოირჩევა. რეგიონისათვის გეოპოლიტიკურ კონკურენციასაც თავისი წვლილი შეაქვს რეგიონის არასტაბილურობაში. აფხაზეთსა და სამაჩაბლოს (სამხრეთ ოსეთის), და მთიანი ყარაბაღის ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა, ისევე როგორც 2008 წლის აგვისტოს ომმა ნათლად გვიჩვენა, რამდენად სჭირდება რეგიონს უსაფრთხოება.

შიდა დამაბულობა და დინამიკა სამხრეთ კავკასიაში კიდევ უფრო მძაფრდება რეგიონში მოასპარევე გეოპოლიტიკური დაპირისპირებებით, ე.წ. „რეგიონული ზესახელმწიფოების“ (რუსეთი, თურქეთი, ირანი) და გარეშე მოთამაშეების, ევროკავშირისა და აშშ-ს აქტიური მონაწილეობით.

სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისადმი დასავლეთის მხარდაჭერა ეფუძნება პრინციპს, რომელიც ჰელსინკის საბოლოო აქტშია ასახული. ჯერჯერობით აღნიშნავს, რომ „თუმცა ინიციატივების ფართო არჩევანი ოფიციალურ ბრიუსელს გარკვეულ უპირატესობას აძლევს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე გავლენის თვალსაზრისით, ევროკავშირის მოქმედების ეფექტურობა შეზღუდულია ევროპის ქვეყნებს შორის არსებული შეუთანხმებლობით იმის თაობაზე თუ საბოლოოდ რა მიზანს ემსახურება პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან დაახლოება“.²

რუსეთი რჩება ყველაზე ძლიერ გარე მოთამაშედ, რომელიც აკონტროლებს კავკასიონის როგორც ჩრდილოეთ ასევე სამხრეთ ფერდობებს. 2008 წლის აგვისტოს ომმა რუსეთსა და საქართველოს შორის გაამძიერა რუსეთის სამხედრო ძალა რეგიონში, რადგან მან „განამტკიცა საქართველოსა და მის კონფლიქტურ რეგიონებს შორის დე ფაქტო დაშორება და განუსაზღვრელი დროით გადადო ქვეყნის ნატოში შესვლა“.³

თურქეთი არის ერთ-ერთი სამი რეგიონული ზესახელმწიფოდან, რომელსაც საკუთარი სტრატეგიული და უსაფრთხოების ინტერესები აქვს სამხრეთ კავკასიაში.* თურქეთის დამოკიდებულებას თითოეულ ქვეყანასთან თავისი საკუთარი,

განსხვავებული დინამიკა აქვს. თუმცა ერთ სახელმწიფოსთან დამოკიდებულება ფუნდამენტურ ზეგავლენას ახდენს მის დამოკიდებულებაზე დანარჩენ ქვეყნებთან.⁴ „მიუხედავად რაიმე კონკრეტული გამარჯვებების არ არსებობისა, თურქეთის გავლენა რეგიონში ნელ-ნელა, ეტაპობრივად იზრდება ზოგიერთ დონეზე... რადგან დასავლეთის მარცხებმა და დასავლეთის გავლენის შესუსტებამ უცაბედად განაპირობა თურქეთის გავლენის ზრდა“.⁵

ბოლო ათწლეულის განმავლობაში თურქეთსა და რუსეთს შორის უფრო მჭიდრო კონტაქტი დამყარდა განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში, მაგრამ, როგორც სტივენ ლარაბი აღნიშნავს „თურქეთისა და რუსეთის მიზნები და ამბიციები მთელ რიგ სფეროებში ერთმანეთს ეწინააღმდეგება, განსაკუთრებით კავკასიაში (რეგიონში, რომელშიც თურქეთის ღრმა და ტრადიციული სტრატეგიული ინტერესები აშკარაა) აღნიშნული წინააღმდეგობრივი ინტერესები და მიზნები სერიოზულ დაახლოებას სათუოს ხდის“.⁶

სამხრეთ კავკასიაში ირანის ინტერესები, ძირითადად კასპიის ენერჯო პოლიტიკით განისაზღვრება. მაგრამ რეგიონში მისი აქტიურობა ამ ეტაპზე ბევრად ჩამორჩება რუსეთსა თუ თურქეთს. „თეირანის ერთ-ერთი მთავარი მიზანი კავკასიაში იმის თავიდან აცილებაა, რომ რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა გავლენა იქონიონ საკუთრივ ირანში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე“.⁷

ჩვენ გვინტერესებს ამ ფეთქებადსაშიშ რეგიონში რა და ვინ არის საქართველოსთვის საფრთხის მთავარი წყარო და რანაირად წარიმართა რუსეთთან, საქართველოსთვის ამ ყველაზე საშიშ

* ამ საკითხთან მიმართებაში იხ.: Gareth Winrow. Turkey, Russia and the Caucasus: Common and Diverging Interests. Chatam House. Briefing Paper, November 2009; Adam Szymanski. South Caucasus – the Case for Joint Commitment of Turkey and the EU. PISM Strategic Files # 8, June 2009.

სახელმწიფოსთან ურთიერთობათა დინამიკა. როგორია ამ ურთიერთობათა მომავალი?

ომი – რუსეთის პოლიტიკის ინსტრუმენტი

მართალია, საქართველოს სუვერენიტეტს სხვადასხვა სახის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური უპირატესობები თუ შეზღუდვები აქვს, მაგრამ 2008 წლის ომმა რუსეთთან ცხადყო, რომ საქართველოს, როგორც სუვერენული, სტაბილური და დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებას ყველაზე სერიოზულ გარე პრობლემად, სწორედ რუსული ნეოიმპერიალიზმი უნდა მივიჩნიოთ. მოსკოვს სურს, რომ საქართველომ მიიღოს მისი სამხედრო ძალის ყოფნა ქვეყანაში და რუსეთის ბატონობა. ეს პრობლემა საქართველოსთვის ახალი არაა. 1918-1921 წლებში, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საკუთარი სუვერენიტეტის დაცვას ცდილობდა, ბოლშევიკურმა რუსეთმა განიზრახა საკუთარი გეო-სტრატეგიული მიზნების მიღწევა კავკასიის ქვეყნების ანექსიის მეშვეობით, რომელიც სამ საფეხურად განახორციელა. 1920 წლის მაისში პირველი მსხვერპლი აზერბაიჯანი იყო, შემდეგ დეკემბერში სომხეთი, ხოლო 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა. დღევანდელი რეალობა ისტორიული წინაპირობების თვალსაზრისით განსხვავებულია, მაგრამ პოსტსაბჭოთა რუსეთს იგივე გეოსტრატეგიული ამბიციები აქვს რაც ადრე ჰქონდა. რუსეთი მუდმივად ცდილობს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საქართველოს სახელმწიფოებრიობა, სეპარატიზმის წახალისების, ეკონომიკური ბლოკადის, სამხედრო მუქარის, ენერგეტიკული

შანტაჟისა თუ პირდაპირი აგრესიის გამოყენებით. ბევრს მიაჩნია, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთი ძალიან ახლოს იყო 1921 წლის ანექსიის სცენართან.

ქართულ-რუსული ურთიერთობები გართულდა და კონფლიქტური გახდა, მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, რუსეთი შეეცადა საქართველოში სამხედრო ძალით დარჩენილიყო და ქვეყანა თავის სამხედრო-პოლიტიკურ ორბიტაში შეენარჩუნებინა. მოსკოვს ყოველთვის მნიშვნელოვან ქვეყანად მიაჩნდა საქართველო. დამოუკიდებლობის დასაწყისი საქართველოსთვის, როგორც ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოსთვის, განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა, მოხვდა რა მოსკოვის წნეხის ქვეშ, რომელიც ცდილობდა „შეენარჩუნებინა“ ქვეყანა ნებისმიერი გზით, იქნებოდა ეს პოლიტიკური ზეწოლა, ეკონომიკური შანტაჟი თუ საქართველოს კუთხეებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში – სეპარატიზმის მხარდაჭერა.⁸

2008 წელს საქართველოში შეჭრით მოსკოვს უნდოდა ეჩვენებინა მეზობლებისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის, რომ ე.წ. „ახლო საზღვარგარეთში“ (პოსტ-საბჭოთა სამყარო) მხოლოდ რუსული წესები მუშაობს და სხვა არავისი. რუსეთისთვის საქართველო რეგიონის საკვანძო ქვეყანაა. საქართველოს გაკონტროლების გარეშე მისთვის შეუძლებელი იქნება დაიბრუნოს ძალაუფლება სამხრეთ კავკასიაში და დაიმკვიდროს თავისი, როგორც ამ რეგიონის მთავარი ძალის როლი. საქართველოზე კონტროლი რუსეთს საშუალებას მისცემდა უფრო თავდაჯერებით აკონტროლოს არასტაბილური ჩრდილოეთ კავკასია, შეანელოს თურქეთის მზარდი გავლენა ყოფილი საბჭოთა კავშირის თურქულენოვან

ირესპუბლიკებსა და ხალხებზე. საქართველოზე კონტროლით რუსეთი შეძლებდა, შავ ზღვაზე გასასვლელის ჩაკეტვით ენერგორესურსებით მდიდარი აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების დასავლეთისგან იზოლირებას. რუსეთს ექნებოდა დიდი სამხედრო „წარმომადგენლობა“ რეგიონში და გაუადვილებოდა წვდომა თავის მოკავშირესთან სამხრეთ კავკასიაში – აზერბაიჯანისა და თურქეთისადმი მტრულად განწყობილ სომხეთთან. საქართველოს გაკონტროლებით კრემლი მარტივად შეძლებდა ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების შემოსვლის შეზღუდვას კავკასიაში.

როგორც სტივენ ჯონსი აღნიშნავს, „რუსეთისთვის ომის დაწყების მიზეზთა მიზეზი არ ყოფილა საქართველო. ეს უფრო უკავშირდება დიდ საერთაშორისო საკითხებს, როგორცაა ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოება, კოსოვოს აღიარება, რუსეთის უსაფრთხოება ჩრდილოეთ კავკასიაში და დასავლეთისგან წამოსული გამოწვევა ევრაზიაში გაზისა და ნავთობის მარაგებზე რუსეთის კონტროლთან დაკავშირებით“.⁹ ეს ყოველივე წარმოადგენს მიზეზებს, რატომაც სჯერა კრემლს, რომ საქართველო უნდა დარჩეს რუსეთის სამხედრო პოლიტიკურ ორბიტაზე და იმ ძლიერ ფაქტორს, რაც ხსნის კიდეც მოსკოვის ძალისხმევას მოაქციოს საქართველო მუდმივი ზეწოლის ქვეშ. საქართველოზე კონტროლის შენარჩუნებით რუსეთი აღდგებოდა, როგორც მთელი რეგიონის უკონკურენტო ჰეგემონი და გაძლიერდებოდა მოსკოვის ამბიციები და ძალისხმევა პოსტსაბჭოთა სივრცეში ბატონობაზე.

უნდა აღინიშნოს რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი დარჩა ერთადერთ მეზობელ ქვეყნად,

რომელთანაც საქართველოს ჯერაც არ დაუდია ე.წ. ჩარჩოხელმეკრულება. არც საქართველომ და არც რუსეთმა ხელი არ მოაწერა ამას, რადგანაც რუსეთი ითხოვდა ხელშეკრულების ტექსტში შეეტანათ ორი მუხლი: ერთი-რუსეთის განსაკუთრებული უფლებების შესახებ სუვერენული საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში და მეორე – ხელმომწერი მხარეების ვალდებულების შესახებ, რომ არ დაეშვათ ნებისმიერი მესამე მხარის სამხედრო ძალისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსება ხელმომწერი მხარეების ტერიტორიებზე. ამრიგად, ამჟამად იყო, რომ მიუხედავად რუსეთის მრავალჯერ განცხადებისა, რომ პატივის სცემდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სინამდვილეში რუსეთს არასოდეს გამოუვლენია საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ პატივისცემა და არ ყოფილა დაინტერესებული, რომ ყოფილიყო მეგობრულად განწყობილი მეზობელი და სამართლიანი შუამავალი.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის შემოჭრამ საქართველოში გვიჩვენა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რეალპოლიტიკა რჩება პოლიტიკის ინსტრუმენტად. 2008 წლის აგვისტოს ომის ანალიზისას, ენტონი კორდესმანი აღნიშნავს, რომ „...შედარებით უფრო ძლიერი სახელმწიფოები ადგენენ ან არღვევენ წესებს, როდესაც გრძნობენ, რომ ამის გაკეთება მათ ინტერესშია და როდესაც არ არსებობს საპირისპირო, ანგარიშგასაწევი სარწმუნო ძალა“.¹⁰

კოლინ გრეი ამბობს, რომ პატარა საქართველოს ზესახელმწიფოსთან აქვს საქმე, რომელიც „კონკურენტული საერთაშორისო პოლიტიკისა და ძალადობრივი გეოეკონომიკის უხეშ თამაშს მიმართავს...“ და განგრძობს, რომ „რუსეთი არ არის ემფატიურად პოსტ-მოდერნისტული, პოსტ-სამხედრო

და პოსტ-გეოპოლიტიკური თავის დამოკიდებულებაში საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების მიმართ“.¹¹

საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, მოსკოვის ხელმძღვანელობის გადმოსახედიდან ლოგიკური ნაბიჯი იყო. აშშ-სა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობა დაეხმარა რუსეთს უკეთ აეხსნა თავისი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. მთავარი, რაც რუსეთს სურდა ეჩვენებინა დასავლეთისთვის იყო ის, რომ საქართველო რუსეთის სათამაშო მოედანია და სხვა არავისი. მოსკოვი ასევე გაღიზიანებული იყო აღმოსავლეთის მიმართულებით ნატო-ს შესაძლო გაფართოებით. როგორც სტივენ ჯონსი აღნიშნავს, „ომმა გამოაშკარავა საქართველოს უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა. ეს იყო 18 წლიანი კონფლიქტის კულმინაცია და არა დასაწყისი“.¹² 2007 წლის 6 თებერვალს, 2008 წლის ომამდე დიდი ხნით ადრე რუსეთის ელჩმა საქართველოში ვიარესლავ კოვალენკომ, საჯაროდ მოუწოდა საქართველოს მიეღო ნეიტრალიტეტი. მან გააფრთხილა, რომ საქართველომ შესაძლოა დაკარგოს ორივე კონფლიქტური რეგიონი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, თუ ის გააგრძელებს ნატოსკენ სწრაფვას.¹³ 2007 წლის 21 მარტს, რუსეთის დუმის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა, მოიხსენია აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი, როგორც რესპუბლიკები, ხოლო მისი სამინისტრო მოიხსენიებდა მათ ლიდერებს, როგორც „პრეზიდენტებს“ ოფიციალურ დოკუმენტებში.¹⁴ 2011 წლის 11 მარტს ნატო-ში რუსეთის წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა „როიტერის“ სააგენტოს განუცხადა, „როგორც კი საქართველო მიიღებს ვაშინგტონიდან ნატოს წევრობის რაიმე პერსპექტივას, მეორე დღიდანვე ამ ორი რეგიონის

სეცესიის რეალური პროცესები დაიწყება“.¹⁵ ბოლო ხანებში კრემლის ლიდერთა ზოგიერთმა აღიარებამ დაადასტურა, რომ საქართველოზე თავდასხმა წინასწარ იყო დაგეგმილი.¹⁶

მართალია, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში იყო გარკვეული პერიოდები, როდესაც ეს ურთიერთობები შედარებით უკეთესი იყო (ერთი ასეთი პერიოდი იყო პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე), ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთუნდობლობა არასოდეს გამქრალა და ურთიერთობებიც ყოველთვის დამაბული იყო. რუსეთის ანტიქართული ინტენსიური პროპაგანდა კარგად აისახა კიდევ რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის საქართველოს მიმართ დამოკიდებულებაშიც – მათ საქართველო ყველაზე მტრულ და საშიშ (!) ქვეყანად მიიჩნიეს.* საქართველოს ხელისუფალნი კი, თავის მხრივ, ადანაშაულებდნენ რუსეთს ნეოიმპერიალიზმში, საქართველოში სეპარატიზმის მხარდაჭერაში, ეკონომიკურ მანტაჟში და ა.შ.

რუსმა ექსპერტმა სერგეი მარკედონოვმა მართებულად შენიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული მრავალი პრობლემა 90-იანების დასაწყისიდან დაგროვდა, ხოლო ამ პროცესმა ახალი იმპულსი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მიიღო.¹⁷

აშკარაა, რომ საქართველოს მთავრობამ, სათანადოდ ვერ შეაფასა მოსკოვის

* საყურადღებოა, რომ დღესაც კი რუსეთის მოსახლეობის 33% საქართველოს და 38% აშშ-ს მიიჩნევს „მტრულ სახელმწიფოებად“, რასაც მოწმობს ცნობილი ლევადა-ცენტრის უკანსკნელი გამოკითხვის შედეგები. იხ.: Россияне считают США и Грузию самыми враждебными странами. <http://www.apsny.ge/2013/soc/1371618115.php> (18.06.2013)

გადაწყვეტილება, რადაც არ უნდა დაჯდომოდა მიელო ის, რაც უნდოდა და არ დაეთმო დასავლეთისათვის და განსაკუთრებით კი აშშ-სთვის, პოსტსაბჭოთა სივრცე, კერძოდ კი სამხრეთ კავკასია. მოსკოვმა გადაწყვიტა 2008 წლის აგვისტოში გაეცურებინა თბილისი და შეჭრილიყო საქართველოში არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ანექსიის, არამედ ასევე საქართველოს მთავრობის შეეცვლის მიზნით რუსეთის მიმართ უფრო „მეგობრულად“ განწყობილი ხელისუფლებით. დასავლეთის დიპლომატიურმა ძალისმხვეამ აიძულა რუსეთი შეჩერებულიყო და არ შეეტია საქართველოს დედაქალაქისთვის. დასავლეთის ჩარევამ მოიტანა სამშვიდობო შეთანხმება, მაგრამ რუსეთმა დაარღვია შეთანხმების პირობები, არ გავიდა საქართველოდან და 2008 წლის აგვისტოში აღიარა საქართველოს ორი ტერიტორიის – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის – დამოუკიდებლობა. რუსეთმა მათ ტერიტორიებზე განალაგა თავისი სამხედრო ბაზები, რაც ნიშნავს საქართველოს ორი მხარის – ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის – დე ფაქტო ოკუპირებას.

ურთიერთობა ჩიხში

აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსა და რუსეთის არსებული ურთიერთობა კიდევ უფრო ანტაგონისტური გახდა. საქართველოს მიაჩნია, რომ მისი ისტორიული მიწები – აფხაზეთი და სამაჩაბლო (სამხრეთ ოსეთი) – რუსეთს აქვს ოკუპირებული და რომ რუსეთმა უნდა შეწყვიტოს ოკუპაცია. რუსეთის პოზიციის მიხედვით კი დღეისათვის არსებობს სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო: საქართველო, აფხაზეთი და სამხრეთ

ოსეთი. საქართველოს პოზიციას მხარს უჭერს საერთაშორისო სამართალი* და ამიტომ ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და საერთაშორისო საზოგადოების უდიდესი ნაწილი, რუსეთისას კი – მხოლოდ ვენესუელა, ნიკარაგუა, ვანუატუ და თუვალუ.

საქართველოს დეკლარირებული მიზნებია უზრუნველყოს საკუთარი სუვერენიტეტი და ტერიტორიული ერთიანობა, ასევე – ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია; ხოლო მოსკოვისათვის მიუღებელია სამხრეთ კავკასიის, როგორც სატრანზიტო კორიდორის როლი. როგორც თენგიზ ფხალაძე და ნიკოლაი სილაევი აღნიშნავენ, „საქართველო რუსეთის ფედერაციის პოზიციას, რომელიც მომდინარეობს მისი ეროვნული ინტერესებიდან, მიიჩნევს დასახული ამოცანების განხორციელების მთავარ დაბრკოლებად... უფრო მეტიც, იგი მოსკოვს აღიქვამს, როგორც მისი უსაფრთხოების წინაშე მდგარი გამოწვევებისა და საფრთხეების მთავარ წყაროს“.¹⁸

რადიკალურად განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავია დასავლეთისა და რუსეთის პოზიციები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. დასავლეთს არ გააჩნია რაიმე საშუალება გავლენა იქონიოს რუსეთზე და მას პოზიცია შეაცვლევინოს. რუსეთის მიზანია დაიცვას 2008 წლის ომით მოპოვებული საკუთარი „მონაპოვარი“ და ამდენად რთულია რუსეთის დარწმუნება, რომ უკან წაიღოს თავისი გადაწყვეტილებები.

* ამ საკითხთან მიმართებაში იხ.: Johanna Pop-janevski. International Law and the Post – 2008 Status Quo in Georgia: Implications for Western Policies. CACI, Silk Road Paper, Washington, D.C. May 2011.

ქართულ-რუსული ეკონომიკური ურთიერთობები სერიოზულად დაზარალდა 2006 წელს, როდესაც ორ ქვეყანას შორის განვითარებული პოლიტიკური კრიზისის შედეგად (რუსი ჯაშუშების სკანდალთან დაკავშირებით) მოსკოვმა დაბლოკა რუსეთში ქართული ექსპორტი, რაც გამიზნული იყო ქართული ეკონომიკის ჩასაძირად. ამის მიუხედავად, არასოდეს შეწყვეტილა რუსული ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში, 2008 წლის ომის შემდგომაც კი ისინი გრძელდებოდა და მაგალითად, 2010 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით, რუსეთი მესამე ადგილას იყო ნიდერლანდისა და ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ.¹⁹

ოცნება და რეალობა

ვითარება ჩიხშია მოქცეული და უკიდურესად ძნელია რაიმე გამოსავლის მოძებნა. შესაძლოა, მოსკოვში ბევრს ჰქონდა იმედი, რომ საქართველოს ახალი მთავრობა ისე აშკარად აღარ გამოხატავდა საკუთარ პროდასავლურ სიმპათიას და რომ იგი მოუსმენდა მოსკოვს. ამის საფუძველს იძლეოდა ახალი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის, სიმდიდრის რუსული წარმომავლობა (იგი მილიარდერი რუსეთში საქმიანობით გახდა) და რუსულ ელიტასთან მისი ახლო ნაცნობობა. თუმცა ახალი პრემიერ-მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრისა და სხვა ქართველი ოფიციალური პირების განცხადებების მიხედვით, კარგად ჩანს როგორც რუსეთთან ურთიერთობის დალაგების, ისე დასავლეთის, ევროკავშირისა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ აღებული კურსის გაგრძელების სურვილი.

მას შემდეგ, რაც თბილისში ხელისუფლებაში მოვიდა ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნება“, ახალმა

მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა მოსკოვისაკენ: შეჩერდა რუსულენოვანი სატელევიზიო არხის, „პიკის“, მაუწყებლობა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე აღიზიანებდა კრემლს; გაკეთდა სხვადასხვა განცხადება იმის თაობაზე, რომ აუცილებელი და სასურველია ამ ორ ქვეყანას შორის აღდგეს ურთიერთობები, პირველ რიგში – ეკონომიკური და სავაჭრო, ასევე კულტურული; გამოცდილი დიპლომატი ზურაბ აბაშიძე დაინიშნა პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენლად რუსეთთან მოლაპარაკებებში. ჯერ-ჯერობით ყველაზე შესაძენევი ცვლილება რუსეთის მიმართ რიტორიკის შერბილება და ქართულ სასმელებზე რუსული ემბარგოს მოხსნაა.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე თბილისი წინ არ აღუდგა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას.²⁰

თავიდან რუსეთი ისე იქცეოდა, თითქოს თბილისიდან წამოსულ სიგნალებს არც ამჩნევდა და ზოგიერთმა რუსმა ექსპერტმა დაიწყო იმის მტკიცებაც, რომ საქართველომ ძალუმად უნდა მოსთხოვოს რუსეთს ურთიერთობების აღდგენა,²¹ თითქოს ეს საქართველოს სჭირდებოდა და არა რუსეთს. ზოგმა რუსმა ექსპერტმა გაბრაზებაც კი გამოხატა თბილისის მცდელობებთან დაკავშირებით.²² 2013 წლის გაზაფხულისთვის, როგორც ჩანს, კრემლში გარკვეული ტაქტიკა შეიმუშავეს თბილისთან მიმართებაში და მოსკოვი ახლა უფრო მეტ პოზიტიურ სიგნალს აგზავნის საქართველოს მიმართულებით.

ფაქტს, რომ თბილისში ახალმა ხელისუფლებამ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია თავის სტრატეგიულ მიზნად გამოაცხადა, არ გაუზრდია მოსკოვის

ენტუზიაზმი, თუმცა რუსებს არ სჯერათ, რომ საქართველო მიაღწევს ამ მიზანს. მოსკოვს სჭირდება საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობები. მას სჭირდება საქართველოზე გამავალი რკინიგზა, რომელიც იქნება სატრანზიტო გზა სომხეთში განლაგებული რუსული ბაზებისაკენ მიმავალი სამხედრო ტვირთებისა თუ ბევრი სხვა რამისთვის. პირველ რიგში კი, სჭირდება, რომ თბილისმა უარი თქვას დასავლურ კურსზე და დაუბრუნდეს რუსეთის „მფარველობას“.

როგორც ჩანს, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები ვერ აღდგება მოსკოვსა და თბილისს შორის პირდაპირი დიალოგის გარეშე. თუმცა მოსკოვთან პირისპირ დარჩენა მარტივი არ იქნება თბილისისთვის. ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები გაწყდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ჟენევის მოლაპარაკებები არის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ერთადერთი ხელთარსებული ფორმატი, მაგრამ წინსვლა ამ მიმართულებით არ ჩანს. რუსეთი ჯიუტად ინარჩუნებს თავის პოზიციას და არანაირ დათმობაზე არ მიდის. საქართველოს, ბუნებრივია, არ შეუძლია აღიაროს თავისი ისტორიული კუთხეების დაკარგვა და მიიღოს „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა“, როგორც 2008 წლის ომის შედეგად განსაზღვრა ვითარება მოსკოვმა. ბოლო დრომდე მოსკოვი თავს აჩვენებდა, თითქოს არ აწუხებდა თბილისთან ნორმალური ურთიერთობების არქონა, რომ არ აპირებდა დაემყარებინა ურთიერთობები პრეზიდენტ სააკაშვილთან, ხაზს უსვამდა მის უარყოფით როლს, რომელიც შეასრულა ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარებაში. ეს პრიმიტიული პოლიტიკური ილეთი მიზნად ისახავს განტევების ვაცის მონახვას და რუსეთის ქმედებების ჭეშმარიტი

მიზნების შენიღბვას. ოკუპაციის ხაზზე რუსეთის უკანასკნელი ქმედებები და „საზღვრის დემარკაციაზე“ საუბარი მიანიშნებს იმაზე, რომ მოსკოვი საქართველოსთან ურთიერთობათა „ნორმალიზებას“ საკუთარი წესებითა და სცენარით აპირებს.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები აჩენს იმედს, რომ ორ ქვეყანას შორის ნელ-ნელა აღდგება ეკონომიკური კავშირები. როგორც უკვე აღინიშნა, ორ მეზობელს შორის ეკონომიკური კავშირები ისედაც განაგრძობდა არსებობას. როგორც ვლადიმერ პაპავამ შენიშნა, „მიუხედავად ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსებული სირთულეებისა და დაპირისპირებებისა, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ორ ქვეყანას შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობები არ შეწყვეტილა... ქართულ ეკონომიკაში რუსული კაპიტალის შემოდინება და ინვესტირება გაგრძელდა“.²³ ამრიგად, თუკი ორ ქვეყანას შორის კარგი ურთიერთობები უნდა დამყარდეს, ამის მნიშვნელოვანი ეკონომიკური საფუძველი უკვე არსებობს.

შესაძლებელია თუ არა რომ ოფიციალური თბილისის ნაბიჯები, შეფასდეს როგორც რუსეთისკენ საქართველოს პოლიტიკური ვექტორის გადახრა? პოლონელი ექსპერტი კონრად ზაშტოვტი სვამს ამ შეკითხვას, მაგრამ აღნიშნავს, რომ რთული წარმოსადგენია „თბილისსა და მოსკოვს შორის ნებისმიერი სახის სერიოზული დაზავება, მანამ, სანამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები ჯერ კიდევ მტკივნეულია“.²⁴ შეიძლება დავამატოთ, რომ საქართველოს ფლირტს რუსეთთან ჯერ არ დაერთო მისი ევროპული და ევროატლანტიკური ორიენტაციის შესუსტება, რაც რუსეთისთვის სერიოზული პოზიტიური სიგნალი იქნებოდა.

დასკვნა

საქართველომ უკვე დიდი ხანია ნათლად გამოკვეთა თავისი დასავლური არჩევანი. ეს არჩევანი განპირობებულია საქართველოს მტკიცე განზრახვით რომ გარდაქმნას მრავალეთნიკური, და მრავალი აღმსარებლობის საზოგადოება სიცოცხლისუნარიან, თანამედროვე დემოკრატიულ და ინკლუზიურ ერად და დემოკრატიულ სახელმწიფოდ. რისი მიღწევაც მხოლოდ ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოებითაა შესაძლებელი, და არა რუსეთის სატელიტობით. მაგრამ უსაფრთხოების გარემოს და შიდა პოლიტიკის ცვლილებების გამო ჯერ კიდევ რჩება კითხვები, რამდენად იქნება ეს არჩევანი საბოლოო და შეუქცევადი. პასუხი მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ადგილობრივი ელიტა სახელმწიფოს მშენებლობასთან და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხების მოგვარებას. რუსეთთან ურთიერთობა არის ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება განაპირობოს საქართველოს ევროპული ორიენტაციის შეცვლა.

ამკარაა, რომ მოსკოვის ზეწოლა საქართველოზე გაგრძელდება და არა მარტო თბილისის იძულებით, რომ არ მისდიოს პროდასავლურ პოლიტიკას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს დარწმუნებით, რომ შეეგუოს ე.წ. „ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას“, ანუ მისი ორი ნაწილის დაკარგვასა და რუსეთის სამხედრო გამძლიერებას საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე. გვეჩვენება, რომ მოსკოვი ამჯერად უფრო „შემოქმედებითად“ მიუდგება საკითხს და გამოიყენებს მისთვის ტრადიციული დამანტაჟებისა და რბილი ძალის ელემენტების ნაზავს.

თბილისის ახალი ხელმძღვანელობა მიანიშნებს მოსკოვს, რომ უნდა რუსეთთან ორმხრივი ნორმალური ურთიერთობების დამყარება, თუმცა ბუნდოვანია, რას ნიშნავს „ნორმალური“ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში რადგან „ნორმალიზაცია“ ორ ქვეყანას აქამდე განსხვავებულად ესმოდა და ნორმალიზაციისათვის რა საფასურის გადახდისთვისაა მზად საქართველო. ძნელი წარმოსადგენია რუსეთმა შეძლოს შეცვალოს საკუთარი მოთხოვნები საქართველოს მიმართ და შეარბილოს საკუთარი პოზიცია.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები დღეს გაცილებით უფრო განვითარებულია, ვიდრე ათი წლის წინ იყო, რომ საქართველომ შეძლო არჩევნების გზით ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა, პიროვნებები ქართულ პოლიტიკაში ჯერ კიდევ ასრულებენ, გადამწყვეტ თუ არა, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს და ამდენად, პოლიტიკური ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საქართველოს სამომავლო სტრატეგიულ არჩევანს.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე სუსტი ქვეყნის შემთხვევაში, გარე ფაქტორებმა და გარემოებებმა შეიძლება გადამწყვეტი გავლენა იქონიონ საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და სტრატეგიულ ორიენტაციაზე. ეს ფაქტორები (რუსეთის როლი რეგიონში, დასავლეთთან ურთიერთობა, რეგიონული უსაფრთხოების პრობლემები, ცვლილებები ევროპის ენერგეტიკულ პოლიტიკაში და ა.შ.) არის ყველაზე გაურკვეველი და არამდგრადი, მაგრამ საქართველოს ეროვნული ინტერესები ევროპულ გზას ეყრდნობა და გაცხადებული პრინციპებიდან უკან დახევა ქვეყნისთვის მეტად საზიანო იქნებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Svante E. Cornell, Roger N. McDermott, William O'Malley, Vladimir Socor, Frederick Starr. Regional Security in the South Caucasus: The Role of NATO, CACI, Washington, D.C. 2004, p.16.
2. Jeffrey Mankoff. The Big Caucasus: Between Fragmentation and Integration. CSIS, March 2012, p.19.
3. იქვე
4. Nigar Goksel. Turkish Policy towards the Caucasus: A Balance Sheet of the Balancing Act. Black Sea Discussion Paper Series 2011/1, BST, p.5.
5. იქვე
6. E. Stephen Larrabee. Troubled Partnership: U.S. – Turkish Relations in an Era of Global Geopolitical Change. RAND, Santa Monica, 2010, p.50.
7. Brenda Shaffer. Partners in Need: The Strategic Relationship of Russia and Iran. Policy Paper #57. The Washington Institute of Near East Policy, Washington, D.C., 2001, p.41; Brenda Shaffer. The Geopolitics of the Caucasus. Brown Journal of World Affairs. Spring/Summer 2009, Vol. XV, Issue II, pp. 128 – 139.
8. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. რუსი ექსპერტების ნაწერები: А. Арбатов. Безопасность: Российский выбор. Эпицентр, Москва, 1999, стр. 163-170; Сергей Ознобищев. Кого лечить «от Грузии»? «Международные процессы», Том 9, №2 (26), Май-Август 2011, <http://www.intertrends.ru/seventeenth/016.htm>;
9. Stephen Jones. Georgia: A Political History Since Independence. I. B. Tauris, London-New York, 2013, p. 250.
10. Anthony Cordesman. The Georgia War and the Century of “Real Power”, CSIS commentary, August 18, 2008.
11. Gray S.C. The 21st Century Security Environment and the Future of War. Parameters, Winter Issue XXXVI-II, (4) 2008-09, p.21.
12. Stephen Jones. Georgia: A Political History since Independence. I. B. Tauris, London-New York, 2013, p. 243; იგივე აზრისაა იანუშ ბუგაისკი. იხ. Janusz Bugajski. Georgian Lessons: Conflicting Russian and Western Interests in the Wider Europe. CSIS, November 2010, pp. 3- 4.
13. Eurasia Daily Monitor, March 15, 2007.
14. Eurasia Daily Monitor, March 23, 2007.
15. Civil Georgia, March 11, 2008.
16. Pavel Felgengauer. Putin Confirms the Invasion of Georgia was Preplanned, Eurasia Daily Monitor, August 9, 2012; Liberation, August 10, 2012; Le Figaro, August 10, 2012; ბევრმა დასავლელმა ექსპერტმა ამგვარი შეხედულება ადრეც გამოთქვა. მაგალითად, იხ.: Roy Allison. Russia Resurgent? Moscow’s campaign to “coerce Georgia to peace”. International Affairs, Vol. 84, N6, 2008, pp. 1145 – 1171.
17. Сергей Маркедонов. Россия-Грузия: без завышенных ожиданий, Политком.ру, 12.10.2012, <http://www.politcom.ru/print.php?id=14668>, 15.10.2012.
18. Tengiz Pkhaldze, Nikolay Silaev. Russian-Georgian Relations in the Context of European Security, in Russia and Georgia: Searching the Way Out. GFSIS, 2011, p.12.
19. Civil.ge, 12 მაისი 2010, <http://www.civil.ge/rus/article.php?id=21772>
20. Russia’s Accession to the WTO: the perspective from Tbilisi. International Alert. 12.20.2011, <http://www.international-alert.org/print/3165>
21. Андрей Епифанцев. Давайте, разрешим Грузии поухаживать за Россией, Regnum, 04.11.2012, <http://www.regnum.ru/news/polit/1589591.html?forprint>, 01.14.2013; Interview with Fedor Lukianov. IPN (Interpressnews), <http://www.interpressnews.ge/ge/eqskluzivi/217960-thu-saqartvelo-uars-ar-itkvis-af> (In Georgian)
22. Амелина. Команда Иванишвили – «второе издание» режима Саакашвили, Regnum. 19.11.2012, <http://www.regnum.ru/news/polit/1594982.html?forprint>, 20.11.2012.
23. Vladimir Papava. The Evolution of Economic Relations between Georgia and Russia in the Post-Soviet Period: Past Trends and Perspectives. In Russia and Georgia: Searching the Way Out. GFSIS, 2011, p.64
24. Konrad Zasztowt. Georgian Dream’s Foreign Policies: An Attempt to Change the Paradigm? PISM Policy Paper #3 (51), February 2013, p.6.



საქართველოს საბაზო ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირები

ნაიმა (ნაკობ) მესხია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის
ხელმძღვანელი

საქართველოში გატარებული
ლიბერალური საგარეო ეკონომიკური
პოლიტიკის შედეგად თანდათანობით
ღრმავდება ქვეყნის ჩართულობა
მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის
პროცესში. ქვეყნის საგარეო-სავაჭრო
ბრუნვის მოცულობა ყოველწლიურად
იზრდება, თუმცა, სავაჭრო ბალანსი
მკვეთრად დეფიციტური რჩება. 2013
წლიდან იკვეთება საგარეო ეკონომიკური
ურთიერთობების ახალი ორიენტირები,
რომელთა შორის მთავარია საქართველო-
ევროკავშირის შორის ასოცირების
ხელშეკრულებაზე ხელმოწერის
რეალური პერსპექტივა, რუსეთის
ფედერაციასთან სავაჭრო კავშირის აღდგენა
და საგარეო ვაჭრობის ინტენსივობის
რეგიონის მეზობელ სახელმწიფოებში
გადმონაცვლება. ქვეყნის ეკონომიკური
უსაფრთხოების დაცვის მიზნით საჭიროა
სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება
როგორც საექსპორტო საქონლისა და
მომსახურების, ასევე სამომხმარებლო
კალათაში შემავალი პროდუქტების
მწარმოებელი ბიზნესისათვის. სავაჭრო
ბალანსის დეფიციტის დაძლევა და სამუშაო

ძალის დასაქმების დონის ამაღლება უნდა
გახდეს საქართველოს საგარეო-სავაჭრო
პოლიტიკის ძირითადი ორიენტირი.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის
გაღრმავების პროცესი ეფუძნება
სახელმწიფოთა შორის საგარეო
ეკონომიკური კავშირების გაფართოება-
განმტკიცებას. ქვეყნებს შორის ეკონომიკური
საზღვრების თანდათანობითი მოშლა,
საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის
გადაადგილების ტექნიკური პროცედურების
გამარტივება, საერთაშორისო საფინანსო-
ეკონომიკური ინსტიტუტების გააქტიურება
და მათი ხელშეწყობის გაძლიერება დაბალ-
განვითარებული ქვეყნებისადმი, ტრანს-
ნაციონალური კომპანიების საქმიანობის
გეოგრაფიული არეალის გაფართოება,
ფინანსურ ტრანზაქციათა განხორციელების
უახლეს ინტერნეტ-საკომუნიკაციო და სხვა
თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა,
სატრანსპორტო გადაზიდვათა ფინანსური
და ტექნიკური უსაფრთხოების სრულყოფა
და სხვა გლობალური და რეგიონული
ფაქტორები და პირობები მნიშვნელოვნად
აჩქარებენ მსოფლიო ეკონომიკური
ინტეგრაციის პროცესს.

ეკონომიკური გლობალიზაციის მთავარ მამოძრავებელ მექანიზმს წარმოადგენს წარმოების შეფარდებითი უპირატესობის თეორიაზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება [1]. თითოეული სახელმწიფო ცდილობს მაქსიმალურად და ეფექტიანად გამოიყენოს მის ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული, ბუნებრივი, ცოდნაზე დაფუძნებული ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობები, გაზარდოს ეროვნული წარმოებისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევისათვის.

უკანასკნელ წლებში საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს სახელმწიფოთა ჯგუფების ან რეგიონული გაერთიანებების საერთო ძალისხმევით საქონლისა და მომსახურების ერთობლივად წარმოება, აგრეთვე გლობალური მნიშვნელობის ტექნიკური და ტექნოლოგიური, სატრანსპორტო და სხვა ხასიათის გამოწვევების გადაწყვეტის მიმართულებით მატერიალური და ფინანსური წყაროების გაერთიანება.

თავისი შინაარსით საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა რთული და მრავალწახნაგოვანი კომპლექსია, მისი ფორმირება და განხორციელება მოითხოვს მრავალ შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებისა და პირობების გათვალისწინებას. მათგან დღეისათვის განსაკუთრებით ძნელად პროგნოზირებადია საგარეო ხასიათის ფაქტორები მათი მაღალი ალბათური ხასიათის გამო. ამას ემატება ისიც, რომ ქვეყანათა ჯგუფები გაწევრიანებულია სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებში, ნაწილი ევროკავშირში, დიდი ნაწილი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში და სხვაგან, რის გამოც არც თუ იშვიათად წარმოიშობა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების, ეროვნული

ტრადიციებისა და კულტურების შეჯახება, რაც ართულებს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევას და მათი სტაბილურობის უზრუნველყოფას.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა დიდად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად ვექტორს, რაც განპირობებულია ეროვნული ეკონომიკის დაბალი სასტარტო დონით, ტექნიკურ-ტექნოლოგიური ჩამორჩენილობით და ინვესტიციური რესურსების უკმარისობით. ამიტომაც საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა მრავალწახნაგოვანი და მრავალპროფილიანი გახდა. იგი მოიცავს საგარეო ვაჭრობას, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, საგარეო საკრედიტო ურთიერთობებს, ერთობლივ უცხოურ საწარმოებს, ტრანსნაციონალური კომპანიების რეგიონულ ფილიალებს და წარმომადგენლობებს, საერთაშორისო ფულად ტრანზაქციებს და გზავნილებს, სამუშაო ძალის მიგრაციას, საგარეო ტურიზმს, რეგიონულ და საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებს და სხვ.

მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია საგარეო ვაჭრობის ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული რეჟიმი-პროტექციონიზმი და ფრიტრედერიზმი [2]. აქედან საქართველომ უპირატესობა მიანიჭა მეორეს ანუ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს, რის შედეგადაც დღეისათვის მას გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისათვის დამახასიათებელია პრეფერენციული საგარეო-სავაჭრო რეჟიმები. სატარიფო სისტემისა და საბაჟო კავშირების ტექნიკური რეგულირების რეფორმის შედეგად შესაძლებელი გახდა საგარეო ვაჭრობის რეჟიმისა და საბაჟო პროცედურების გამარტივება, საიმპორტო ტარიფების შემცირება და არასატარიფო

რეგულირების მინიმუმამდე დაყვანა. საქართველოში 2006 წლიდან მოქმედი 16 საიმპორტო სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0, 5 და 12%), ხოლო მთლიანად გაუქმდა ტარიფი საიმპორტო საქონლის თითქმის 85%-ზე. მოიხსნა აგრეთვე სეზონური ტარიფები. საიმპორტო საქონელზე ტარიფი რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით. რაც შეეხება ექსპორტს და რეექსპორტს, ისინი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. რამდენადაც საქართველო 1997 წლიდან ახდენს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან ამ გადასახადით არ იბეგრება. მოქმედი კანონმდებლობით ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები თანაბარია. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან, რომლის თანახმად ვაჭრობა ამ ქვეყნებთან გათავისუფლებულია საბაჟო-საიმპორტო გადასახადებიდან. ამასთან, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ითვალისწინებს ამ რეჟიმიდან გარკვეული სახის საქონლის ამოღებას. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებთან მოქმედებს „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი“ (Most-Favored-Nation-MFN). ევროკავშირთან, აშშ-თან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასა და ნორვეგიასთან მოქმედებს პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences – GSP), რაც იძლევა ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტზე ტარიფის შემცირებული განაკვეთის დაწესების საშუალებას.

1995 წლიდან საქართველოს მიეცა ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP)

სარგებლობის უფლება, ხოლო 1996 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (PCA) და მისი რეალიზაციის მიზნით შეიქმნა შესაბამისი ინსტიტუტები. 2004 წელს საქართველო ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში, ხოლო 2006 წელს მიღებული იქნა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა და მის შესრულებაზე დაწესდა მუდმივი მონიტორინგი. 2005 წლიდან ევროკავშირთან ამუშავდა პრეფერენციების განზოგადებული სისტემის ახალი GSP+ რეჟიმი, რომელიც ვრცელდება 7200 სახეობის პროდუქციაზე და ითვალისწინებს საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებას და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას. 2013 წლის ნოემბერში ვილინიუსში გაფორმდა მემორანდუმი საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე“ (AA) 2014 წელს ხელმოწერის პერსპექტივით. ამ დოკუმენტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია შეთანხმება „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ“ (DC FTA), რომლის მიზანია ევროკავშირის ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის გამარტივება, სავაჭრო და ეკონომიკური ზრდისადმი ხელის შეწყობა საბაჟო ტარიფებისა და კვოტების მოხსნით, ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა კანონების, ნორმებისა და რეგულაციების ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოება და საბოლოოდ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა.

საქართველოს მსოფლიოს 33 ქვეყანასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, ხოლო 32 ქვეყანასთან ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და წახალისების თაობაზე. „ვმო“-ს წევრ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება

„უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ (MFN) საფუძველზე. საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციითა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: ევროკავშირი, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია. „ვმო“-ს წევრ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ (MFN) საფუძველზე.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირების განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებსა და პროგრამებში, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია-გაერო (UNO); ევროკავშირი (European Union); ევროპის კავშირის საბჭო (Council of European Union); ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO); მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO); საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF); მსოფლიო ბანკი (WB); რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი (EBRD); სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO); საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC); განვითარების აზიური ბანკი (ADB); საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი (ITC); ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO); სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO); საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO); მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაცია (Wine-IOVW); გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP); გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC); გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD) და სხვა.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება- განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებათ აგრეთვე შავი ზღვის

თანამშრომლობის ფორმატში მოქმედ რეგიონულ ორგანიზაციებს, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (Black Sea Economic Cooperation- BSEC – ბისეკი), რომლის მიზანია წევრ-ქვეყნების ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემების, ტურიზმის და სხვა სფეროებში. საქართველო როგორც ამ ორგანიზაციის წევრი აქტიურად თანამშრომლობს მასში შემავალ ქვეყნებთან.
- სუამი (GUAM) – სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებულია საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა. მისი მიზანია კავკასიის გავლით ევროპისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ეკონომიკური კავშირების გაღრმავება. სუამს მჭიდრო კავშირები აქვს იაპონიასთან, აშშ-თან, დაგეგმილია ურთიერთობის დამყარება კორეასთან. 2013 წლის იანვრიდან საქართველო სუამის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა.
- დსთ (CIS) – საქართველო ყველაზე გვიან 1994 წელს შეუერთდა 1991 წელს შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, სადაც გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა, გაერთიანებული იყო ყველა პოსტსაბჭოური რესპუბლიკა. დსთ-ს მიზანი იყო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობა. 1993 წელს მასში შემავალმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიური კავშირის შექმნის შესახებ. 2008

წელს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და მათი დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ 2009 წელს საქართველომ დატოვა დსთ გაერთიანება, რასაც ხელი არ შეუშლია მასში შემავალ ქვეყნებთან ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებისათვის. ეს უკანასკნელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2013 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ს ქვეყნების წილი (35%) უფრო მაღალი იყო ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით (27%).

უკანასკნელ წლებში რუსეთის ფედერაციის მიერ წამოყენებულ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შექმნის იდეას მხარი დაუჭირა ბელარუსმა და ყაზახეთმა. ამ სამეულის მონაწილეობით შეიქმნა საბაჟო კავშირი, რომელიც უახლოესი მომავლისათვის მის ეკონომიკურ კავშირად გარდაქმნას ითვალისწინებს, ხოლო უფრო შორეული პერსპექტივისათვის ნავარაუდევია ამ კავშირში შემავალი ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაცია. საქართველომ და მოლდოვამ მტკიცედ უთხრეს უარი ევრაზიის საბაჟო კავშირში გაერთიანებას და ცალსახად გააკეთეს არჩევანი ევროკავშირში ასოცირებული წევრობის სასარგებლოდ. რაც შეეხება სომხეთს, იგი ევრაზიის საბაჟო კავშირში გაწევრიანების მოსამზადებელ რეჟიმშია. მისი სურვილი ერთდროულად ყოფილიყო ევროკავშირში ასოცირებული და ევრაზიული კავშირის წევრი უპერსპექტივოა იმ მიზეზით, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ასეთ ფორმატს დაუშვებლად მიიჩნევა. ამავე დროს სომხეთს ევრაზიის საბაჟო კავშირთან ურთიერთობა მხოლოდ საქართველოს გავლით შეუძლია, რაც გარკვეულად ზრდის რუსულ საფრთხეს ჩვენი ქვეყნის მიმართ. ასევე მძიმე არჩევანის წინაშე დადგა უკრაინა, ხელისუფლების ორიენტაციამ ევრაზიული საბაჟო კავშირისაკენ

ქვეყანაში ურთულესი პოლიტიკური პრობლემები შექმნა. არაა გამორიცხული რუსეთის მხრიდან საფრთხეების შექმნა საქართველოს მიმართაც, თუმცა ევროკავშირის გააქტიურება და ასოცირების შესახებ საქართველოსთან ხელმოწერის დროში დაჩქარება, ისევე როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუმინეთისა და ბულგარეთის მიმართ, სტაბილურობის გარკვეულ გარანტიას იძლევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში სამოქალაქო დაპირისპირების გაღრმავება და დროში გაწელვა, სერიოზულ ნეგატიურ გავლენას მოახდენს უკრაინა-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

საქართველომ გააღრმავა საგარეო ეკონომიკური კავშირები და შეიძინა საერთაშორისო გეოსტრატეგიული ფუნქცია. იგი გახდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების მონაწილე როგორებიცაა: ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (ტრასეკა); ბაქო-სუფსის ნავთობსადენი; ბაქო-თბილისი-არზრუმის ტრანსკასპიური გაზსადენი. საქართველო მოიაზრება „ნაბუკოს“ პროექტის მონაწილე ქვეყანად, რომელმაც კასპიის რეგიონის ბუნებრივი აირი რუსეთის გვერდის ავლით ევროპას უნდა მიაწოდოს. აღნიშნული პროექტის რეალიზაცია ჯერჯერობით ვერ ხერხდება პოლიტიკური და ფინანსური პრობლემების გამო. 2007 წელს დაიწყო ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება, რომლითაც გათვალისწინებულია აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზების გაერთიანება. ამ დერეფნით მოხდება კასპიის ზღვიდან ევროპისაკენ მშრალი ტვირთების გადაზიდვა, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს საქართველოს საგარეო ეკონომიკურ კავშირებს თურქეთთან, რუსეთთან, აზიისა და ევროპის ქვეყნებთან.

უკანასკნელ წლებში მკაფიოდ იკვეთება საქართველოს საგარეო-სავაჭრო კავშირების გაღრმავება მეზობელ

სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სომხეთთან, უკრაინასთან და 2013 წლიდან რუსეთთან. რეგიონში არსებული პოლიტიკური დაპირისპირების მიუხედავად საქართველო ინარჩუნებს აზერბაიჯანთან და სომხეთთან ისტორიულად ჩამოყალიბებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, რაც დადებითად აისახება ორმხრივი ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს აზერბაიჯანთან ენერგეტიკული უსაფრთხოების, ამიერკავკასიის სატრანსპორტო დერეფნის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისა და ახალი პროექტების განხორციელების მიმართულებით. ყოველწლიურად იზრდება საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მოცულობა საქართველო-სომხეთს შორის. გარდამავალ ეტაპზე დინამიურად იზრდება და ღრმავდება ეკონომიკური, სავაჭრო, სატრანსპორტო და ენერგეტიკული კავშირი თურქეთთან. ასეთივე ზრდის ტენდენცია აქვს საქართველო უკრაინას შორის სტრატეგიულ თანამშრომლობას რეგიონულ სავაჭრო-ეკონომიკურ და ენერგეტიკულ სფეროებში.

2013 წლიდან სრულიად ახალი ორიენტირი იკვეთება რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ურთიერთობის კუთხით. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და სსრკ-დაშლის შემდეგ რუსეთთან ეკონომიკური კავშირი არ გაწყვეტილა, მაგრამ 2006 წელს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობების დაძაბვის შედეგად, რუსეთმა საქართველოდან აგრარული პროდუქტების და მათ შორის ღვინის იმპორტზე ემბარგო გამოაცხადა. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებული კონფლიქტისა და რუსული აგრესიის შედეგად ქართული ტერიტორიების დაკარგვამ და რუსეთთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტამ მთლიანად შეაჩერა ეკონომიკური

ურთიერთობები ამ ორ სახელმწიფოს შორის. 2013 წელს საქართველოში მოსული ახალი ხელისუფლების მიერ აღებული იქნა კურსი რუსეთთან სავაჭრო კავშირის აღდგენის მიმართულებით, რის შედეგადაც 2013 წლიდან დაიწყო აგრარული პროდუქციის (ღვინის, თხილის, ყურძნის, მსხლის, კომშის, ციტრუსებისა და სხვა) ექსპორტი რუსეთში. ღვინის ექსპორტი 2013 წელს გაორმაგდა ძირითადად რუსული ბაზრის გახსნის შედეგად, ხოლო მინერალური წყლის ექსპორტი 80.1%-ით გაიზარდა და 2013 წელს 106.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნების სავაჭრო ბრუნვა 2013 წელს ნაჩვენებია 1 ცხრილში.

საყურადღებოა, რომ 2013 წლიდან იკვეთება საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ახალი ორიენტირები, რაც ერთმხრივ, ვლინდება ქვეყნის 5 უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნების ადგილის რიგითობის ცვლილებაში, ხოლო მეორე მხრივ, იმპორტთან შედარებით ექსპორტის უფრო მაღალი ტემპებით ზრდაში. 2013 წელს ექსპორტი წინა წელთან შედარებით 22%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი – 0.4%-ით. საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა პირველ ხუთეულში კვლავ ლიდერობს თურქეთი, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი, მესამე ადგილზეა უკრაინა, ხოლო მეოთხე და მეხუთე ადგილზე პირველად გადმოინაცვლეს შესაბამისად რუსეთმა და ჩინეთმა. მსხვილ პარტნიორებთან საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი გააჩნია, გამონაკლისია მხოლოდ აზერბაიჯანი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის ხარჯზე. უკრაინაში ექსპორტი გაიზარდა 15,4%-ით, იმპორტი – 1%-ზე ნაკლებად. საგარეო სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან, გაიზარდა 33%-ით, ძირითადად ექსპორტის 4-ჯერ ზრდის ხარჯზე, იმპორტი კი გაიზარდა 24%-ით.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2013 წლის ბრუნვის მიხედვით

ქვეყნები	ექსპორტი		იმპორტი		სავაჭრო ბრუნვა	
	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)
სულ	2 09310,3	100,0	7 874402,5	100,0	10 783712,8	100,0
თურქეთი	182 863,4	6,3	1 346 37,5	17,1	1 528 900,8	14,2
აზერბაიჯანი	710 214,7	24,4	638 107,3	8,1	1 348 322,0	12,5
უკრაინა	192 767,1	6,6	602 360,8	7,6	795 127,9	7,4
რუსეთი	190 242,9	6,5	589 419,5	7,5	779 662,4	7,2
ჩინეთი	33 862,5	1,2	563 665,3	7,2	597 527,8	5,5
გერმანია	73 037,3	2,5	449 286,5	5,7	522 323,8	4,8
სომხეთი	315 697,4	10,9	181 931,5	2,3	497 628,9	4,6
აშშ	136 484,2	4,7	253 900,3	3,2	390 384,5	3,6
ბულგარეთი	150 753,8	5,2	200 019,9	2,5	350 773,7	3,3
რუმინეთი	5 085,0	0,2	323 270,8	4,1	328 355,8	3,0
სხვა ქვეყნები	918 301,9	31,6	2 726403,3	34,6	3 644 705,2	33,8

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).

2013 წელს შეიცვალა საექსპორტო სასაქონლო ჯგუფის სტრუქტურა. პირველი ადგილი დაიკავა მსუბუქი ავტომობილების რექსპორტმა, შემდეგ მოდის ფეროშენადნობი, თხილი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, აზოტოვანი სასუქები, ღვინო, მინერალური წყალი, არადენატურიებული ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები, ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადამუშავებული და ა.შ.

მსხვილი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფში წინა წლებთან შედარებით 2013 წელს ცვლილებები არ მომხდარა. პირველ ადგილზე ისევ ნავთობი და ნავთობპროდუქტები დარჩა (12.1%), შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები (9%),

ნახშირწყალბადები (3.8%), სამკურნალო საშუალებები (3.6%), ხორბალი (2.3%), სატელეფონო აპარატები, ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის (1.9%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (1.4%), სიგარეტი (1.2%); გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები (1.1%), სატვირთო ავტომობილები (1%).

2013 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობაში საკმაოდ პოზიტიური სურათი გამოიკვეთა. კერძოდ, განსხვავებით წინა წლებისაგან, როდესაც იმპორტი გაცილებით უფრო სწრაფად იზრდებოდა ვიდრე ექსპორტი [14], 2013 წელს საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში გაიზარდა 72

პროცენტით, ხოლო იმპორტი მხოლოდ 7 პროცენტით. შედეგად ამისა, ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო დეფიციტი 2012 წლის 38%-დან 2013 წელს შემცირდა 33%-მდე [9], რაც მნიშვნელოვანი პოზიტიური მაჩვენებელია. საქართველოს საექსპორტო პროდუქციის მოცულობის ზრდის ტენდენციის ჩამოყალიბება და შენარჩუნება უნდა გახდეს საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების შედეგიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი გარანტი.

საგარეო-ეკონომიკურ კავშირებზე ხელშეკრულებების ოფიციალური გაფორმება თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ მათი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით გამოყენება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამის ცუდ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მოუშადადებლად გაწევრიანება, რამაც არსებითი სარგებელი არ მოუტანა საქართველოს ეკონომიკას, პირიქით, ხელი შეუწყო აგრარული სექტორის დაქვეითებას და მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნის სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. გამომდინარე აქედან, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმის პროგნოზირებაზე, თუ რა გავლენას მოახდენს ახალი საგარეო-სავაჭრო ინიციატივები მომავალში ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე. საჭიროდ მიგვაჩნია ხელისუფლების ძალისხმევის გაძლიერება ორი მიმართულებით: პირველი, ხელისუფლებამ ბიზნესთან ერთად უნდა შეიმუშაოს მოსახლეობის სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების

ადილობრივი რესურსებით წარმოების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რათა იმპორტირებულ პროდუქტს ჩაენაცვლოს ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანი საქონელი და მომსახურება. მეორე, ასევე ხელისუფლებამ ბიზნესთან ერთად შეიმუშაოს საექსპორტო საქონლისა და მომსახურების წარმოების განვითარების სახელმწიფო მხარაჭერის პროგრამა, რაც უზრუნველყოფს სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირებას. შესაძლებელია ამ ორივე პროგრამის ერთ კომპლექსად წარმოდგენაც. ამ კუთხით ახალმა ხელისუფლებამ გარკვეული პოზიტიური ღონისძიებები გაატარა (სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, თანაინვესტირების ფონდი, მეღვინეობისა და მეციტრუსეობის მხარდაჭერა, იაფი სესხების პროგრამა, კანონის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ და სხვა), მაგრამ მათი უმეტესი ნაწილი ეპიზოდური ხასიათისაა და ეფექტიანობა ნაკლებად იგრძნობა, რაც ნათლად ჩანს უმუშევრობის არსებული მაღალი დონის შენარჩუნებაში. როგორც ჩანს, ამ კუთხით საჭიროა აგრესიული, თამამი და არაორდინარული პოლიტიკის გატარება. საჭიროა ისეთი რეფორმების გატარება, რომელიც ორი-ენტირებული იქნება მუდღევი სამუშაო ადგილების შექმნაზე და არა ერთჯერად დახმარებებზე ან კიდევ არაეკონომიკური დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე. ამ მიზნით სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტები: საგადასახადო შეღავათები, საბიუჯეტო იაფი სესხები, სახელმწიფო ინვესტირება, მეთოდურ-ტექნიკური დახმარებები და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Кулишер И.М. Основные вопросы международной торговой политики, М.: ООО «Социум», 2002.
2. პაპავა ვლ. არატრადიციული ეკონომიკის, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
3. საგარეო ვაჭრობა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/trade>
4. პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/index_ka.htm
5. GEORGIA: MOVING TOWARDS DCFTA. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/trade_relation/agreements/index_ka.htm
6. ლეკაშვილი ე. საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები, თსუ, 2012.
7. (BSEC) - http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=525
8. (GUAM) - http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=467&info_id=422
9. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2013 წელს, <http://www.geostat.ge/?action=wnews&lang=geo&npid=280>
10. Dragea R., Wolczuk K., Russia, the Eurasian Customs Union and the EU: Cooperation, Stagnation or Rivalry? Chatham House. Briefing Paper. 2012. <http://www.chathamhouse.org/publications/papers/view/185165>
11. Minasyan S., 2013. Armenia and Georgia: A New Pivotal Relationship in the South Caucasus? PONARS Eurasia Policy Memo No. 292.
12. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12
13. ფუტყარაძე რ. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი, „უნივერსალი“, 2010.
14. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა. და სხვ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი, „ნეკერი“, 2011.
15. სამთავრობო პროგრამა, „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“, http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=68&info_id=38860
16. კაკულია მ., ბოლქვაძე ბ. და სხვ. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება საქართველოში 2012 წელს ვაჭრობის და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში, თბილისი, 2013, <http://www.epfound.ge/georgian/saqmianoba/evropuli-integracia/evropis-samezoblo-politikis-esp-samoqmedo-gegmis-gankhorcielebis-angarishebi/evropis-samezoblo-politikis-esp-samoqmedo-gegmis-gankhorcielebis-angarishebi.html>



ძვირფასო მეგობრებო,

მივესალმები საგარეო პოლიტიკის საკითხებზე სამეცნიერო ჟურნალის „ქართული პოლიტიკა“ სპეციალური ნომრის გამოცემას.

იმ მრავალპლანიან თემატიკაში, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების გლობალურ საკითხებს ეხება, ვფიქრობ, კავკასიურმა პრობლემატიკამ თავისი პრიორიტეტული ადგილი უნდა დაიკავოს.

კავკასია – დედამიწის ერთ-ერთი გამორჩეული მხარე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ეთნიური მრავალფეროვნებით, ტრადიციებით, ერებისა და ენების სიუხვით, ბუნებრივი პირობებით და რესურსებით, მუდამ იყო მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში.

ისტორიულად, კავკასიელთა ტოლერანტული ბუნების მიუხედავად, ერთმანეთს შორის იყო ქიშპიც და დაპირისპირებაც, მაგრამ საერთო კავკასიური ფენომენი, რომელიც ურთიერთმიმტეველობაზეა დაფუძნებული, აერთიანებდა ამ ხალხებს.

სამწუხაროდ, ტოტალიტარული რეჟიმის მძიმე მემკვიდრეობის გამო, კავკასიის რეგიონი კვლავ რჩება აშკარა თუ ფარული დაპირისპირების, აგრესიული სეპარატიზმისა და კარჩაკეტილი ნაციონალიზმის არეალად. კონფლიქტების შედეგად დაიღუპა ათეულ ათასობით უდანაშაულო ადამიანი, მილიონობით ადამიანი იქცა დევნილად, განადგურდა მატერიალური დოვლათი, მოიშალა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი და სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობანი.

ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს გავლენიანი სახელმწიფოების ძალისხმევით, თვით კავკასიელი ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრების დიდი სურვილის მიუხედავად, კავკასია კვლავ რჩება გადაუჭრელი კონფლიქტების რეგიონად.

ასეთ დროს აუცილებელია ვითარების ღრმა, სისტემური და ობიექტური ანალიზი, როგორც თეორიულ, ისე გამოყენებით დონეზე.

კავკასიაში გაჭიანურებული კონფლიქტების მიზეზების მეცნიერულად შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების, პრობლემურ საკითხთა საჯაროდ და საყოველ-

თაოდ განხილვის მიზნით, ვფიქრობთ, მხარი უნდა დავუჭიროთ სამეცნიერო ჟურნალის „ქართული პოლიტიკა“ სპეციალური სერიის გამოცემას კავკასიის გეოპოლიტიკის საკითხებზე.

ჟურნალის ამ ნომრებში გამოქვეყნდება სტატიები იმ უმთავრეს ფაქტორთა შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ კავკასიის გეოპოლიტიკურ როლს თანამედროვე მსოფლიოში, გაანალიზდება კავკასიაში წამყვანი ქვეყნების ინტერესები, კავკასიის რეგიონის ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფაქტორები, ენერგეტიკული და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები, გეოკულტურის აქტუალური საკითხები, კავკასიური დიასპორების როლი კავკასიელ ხალხთა ინტეგრაციულ პროცესებში და მრავალი სხვა. მკითხველს მიეწოდება სრულყოფილი ინფორმაცია იმ სამშვიდობო ინიციატივების შესახებ, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები და ცალკეული სახელმწიფოები გაახმოვანებენ.

ასეთი მასშტაბის გამოცემის ორგანიზება მხოლოდ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების სამეცნიერო ძალებით, ცხადია არ იქნება სწორი, რადგან ამ გამოცემის, როგორც დონე, ისე ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დასმული ამოცანების სიმწვავესა და გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. ამიტომ ვფიქრობთ ამ გამოცემის მომზადებაში უნდა ვითანამშრომლოთ ისეთ ავტორიტეტულ სამეცნიერო დაწესებულებებთან, როგორცაა: გაეროს უნივერსიტეტი და გაეროს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ევროსაბჭოს, ნატოს და სხვ. საერთაშორისო ორგანიზაციების დაქვემდებარებაში მყოფი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომელთა მრავალწლიანი და ნაყოფიერი საქმიანობა დიდად წაადგება კავკასიური პრობლემების მშვიდობიანად გადაწყვეტის საქმეს.

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი აქტიურად ითანამშრომლებს პოლიტიკის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, სამეცნიერო ჟურნალის „ქართული პოლიტიკა“ რედაქციასთან, ყველა დაინტერესებულ სამეცნიერო დაწესებულებებთან, რათა საფუძვლიანად იქნეს წარმოჩენილი კავკასიის გეოპოლიტიკის აქტუალური საკითხები.

გუბაზ სანიკიძე

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მეცნიერებათა დოქტორი.

კითხვარი ჟურნალ „ქართული პოლიტიკის“ მკითხველებისათვის

ჩვენი რეალობა და ინტერნეტ სივრცე შეივსო ახალი გამოცემით. ჟურნალი „ქართული პოლიტიკა“ მოწოდებულია შეავსოს პოლიტიკური დისკურსის ნიშა. გთავაზობთ კითხვარს, გთხოვთ შეავსოთ. კვლევის მიზანია ჟურნალის შედგენისას გავითვალისწინოთ თქვენი აზრი.

1. თქვენი აზრით, რატომ არის საჭირო ასეთი ჟურნალის არსებობა?
 - a. საჭიროა, ვინაიდან ამ თემაზე სხვა ჟურნალი არ მოგვეპოვება
 - b. საჭიროა, ვინაიდან ამ თემის სხვა მედია არასაკმარისად მეცნიერულია
 - c. საჭიროა, რათა საზოგადოებაში თემის გამუქების ზოგი ნაკლები მხარეები შეავსოს
 - d. არა მგონია, განსაკუთრებულად საჭირო იყოს
2. თქვენი აზრით, უპირატესობა ჟურნალის რომელ ფორმას უნდა მიენიჭოს, ინტერნეტ თუ ბეჭდურ, სტამბური წესით გამოცემულ ჟურნალს?
 - a. ონლაინ ვერსიას, დღეს ბეჭდური ვერსია არაეფექტურია
 - b. უფრო ონლაინ ინტერნეტ ვერსიას, თუმცა ბეჭდური ვერსიაც აუცილებელია
 - c. უფრო სტამბური წესით გამოცემულ ვერსიას, თუმცა ონლაინ ვერსიაც საჭიროა
 - d. მხოლოდ სტამბური წესით გამოცემულ ჟურნალს აქვს აკადემიურობა
 - e. ორივეს ერთნაირად
3. თუ გსმენიათ ჟურნალ „ქართული პოლიტიკის“ შესახებ, ვისგან ან საიდან გაიგეთ?
 - a. ჟურნალის რედაქციისაგან
 - b. ნაცნობისაგან
 - c. რეკლამიდან
 - d. ინტერნეტიდან
 - e. შემთხვევით, არ მახსოვს, საიდან ან ვისგან
 - f. სამწუხაროდ ადრე არ მსმენია ამ ჟურნალის შესახებ

თქვენი აზრი ჟურნალის ონლაინ ვერსიის შესახებ:

4. როგორ შეაფასებდით ჟურნალის ინტერნეტში წარმოდგენილ ვერსიას?
 - 4.1. დიზაინის მხრივ (გარეგნული მხარე, ნავიგაციის მოხერხებულობა, კითხვადობა)
 - a. მომწონს
 - b. სასურველია გაუმჯობესება

4.2. ჟურნალის ინტერნეტ საიტის სტრუქტურას?

a. მაკმაყოფილებს

b. სასურველია გაუმჯობესება

4.3. პროფესიულ დონეს განთავსებული ინფორმაციისას?

a. მაკმაყოფილებს

b. სასურველია გაუმჯობესება

4.4. თემების აქტუალობას?

a. მაკმაყოფილებს

b. სასურველია გაუმჯობესება

5. ტექსტების გაცნობისას გიჩნდებათ თუ არა გამოხმაურების სურვილი?

a. დიახ

b. არა

გთხოვთ, აღნიშნოთ თქვენი პოზიცია რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვენი აზრით საინტერესოა ჟურნალისა და მისი მკითხველისათვის

6. უახლეს ისტორიაში საქართველოსათვის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სახელმწიფოსათვის, რომელი პერიოდი იყო უფრო წარმატებული ან წარუმატებელი?

მიუთითეთ ქვემოთ შემოთავაზებული ერთ-ერთი პერიოდი, ან ჩაწერეთ წლები თქვენი შეხედულებისამებრ

6.1. უფრო წარმატებული იყო _____

6.2. უფრო წარუმატებელი იყო _____

6.3. სხვა პასუხი _____

მიუთითეთ ქვემოთ შემოთავაზებული ერთ-ერთი პერიოდი, ან ჩაწერეთ წლები თქვენი შეხედულებისამებრ

პერიოდი				
<u>1918-1921</u> მენშევიკები (1)	<u>1954-1961</u> ხრუმჩოვი (3)	<u>1972-1984</u> შევარდნაძე (5)	<u>1990-1991</u> გამსახურდია (7)	<u>1996-2003</u> შევარდნაძე (9)
<u>1922-1953</u> სტალინი (2)	<u>1962-1971</u> მჭავანაძე (4)	<u>1985-1989</u> გორბაჩოვი (6)	<u>1992-1995</u> სამხედრო საბჭო, შევარდნაძე (8)	<u>2004-2012</u> საკაშვილი (10)

7. როგორ მოგაჩნიათ, 2013 და ამ საარჩევნო პერიოდის მომდევნო წლები იქნება უფრო წარმატებული, თუ უფრო წარუმატებელი წინა პერიოდებთან შედარებით?

- a. იქნება უფრო წარმატებული, ვიდრე რომელიმე წინა პერიოდი
- b. იქნება უფრო წარმატებული, ვიდრე იყო უშუალოდ წინა პერიოდი
- c. იქნება წარმატებული, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე იყო უშუალოდ წინა პერიოდი
- d. იქნება უფრო წარუმატებელი, ვიდრე იყო უშუალოდ წინა პერიოდ
- e. იქნება ისევე წარუმატებელი, როგორც სხვა წინა წარუმატებელი პერიოდები

8. როგორ მიგაჩნიათ, ახლა რომ არჩევნები იყოს, ამომრჩეველმა იგივე არჩევანი უნდა გააკეთოს, რაც ბოლო არჩევნებზე, თუ განსხვავებული? თქვენია მხოლოდ ერთი პოზიცია -

- a. იგივე არჩევანი, დღევანდელი სახელისუფლებო უმრავლესობის სასარგებლოდ
- b. იგივე არჩევანი, დღევანდელი სახელისუფლებო უმცირესობის სასარგებლოდ
- c. იგივე არჩევანი, ხელისუფლებაში არ წარმოდგენილი სხვა პარტიის სასარგებლოდ
- d. გააკეთოს იგივე არჩევანი და ისევ არ მივიდეს არჩევნებზე
- e. სხვა არჩევანი, დღევანდელი უმრავლესობის სასარგებლოდ
- f. სხვა არჩევანი, დღევანდელი უმცირესობის სასარგებლოდ
- g. სხვა არჩევანი, ხელისუფლებაში არ წარმოდგენილი სხვა პარტიის სასარგებლოდ
- h. გააკეთოს სხვა არჩევანი და მეტი აღარ მივიდეს არჩევნებზე

როგორია თქვენი სოციალურ-დემოგრაფიული პორტრეტი

9.	ასაკი	ახალგაზრდა	(1)	საშუალო	(2)	საპენსიო	(3)
10.	სქესი	მანდილოსანი	(1)	მამაკაცი	(2)		
11.	განათლება	საშუალო	(1)	უმაღლესი	(2)	დოქტორი	(3)
12.	შემოსავალი	დაბალი	(1)	საშუალო	(2)	მაღალი	(3)
13.	სექტორი	საბიუჯეტო	(1)	კერძო	(2)	თავისუფალი	(3)
14.	სტატუსი	მართვა	(1)	სპეციალისტი	(2)	დამხმარე	(3)

15. სფერო მეცნ/განათლ/ კულტურა/ეკონომიკა/ბიზნესი/სხვა ... _____
(ჩაწერეთ)

გმადლობთ, ქართული პოლიტიკა გისურვებთ წარმატებებს!

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე

რუსუდან თურქაძე

მედეა აბაშიძე

ნათია ვადაჭკორია

გია არაბული

გიორგი ჯიბლაძე

ირაკლი ყიფიანი

ირინე ბარამიძე

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი

პასუხისმგებელი რედაქტორი

საგარეო ურთიერთობები

მასმედიასთან ურთიერთობები

მხატვრული რედაქტორი

კონსულტანტი

მხატვარ-დიზაინერი

მხატვარ-დიზაინერი



ქიული შერტავას სახელმოგის ხალგაზრდა ჰოლიტიკოსთა სკოლის მიზნები და ამოცანები:

ხალი შუაყყოს ხალგაზრდაზი გელაღი ჰოლიტიკური ჯელბარის დამკვიდრებას; ცოდნაზ დამყარებელი საზოგადოების რამოყალიბებას; ხალგაზრდაზის როლინსა და რაქთაღოგის გავრდას ჰყაყენის წინაშე მდგარი სოციაღარ - ეკონომიკური და ჰოლიტიკური ამოცანების გელაყვაბაში; გავვიტაროს დანიბეარე-საბუღ ხალგაზრდაზს მიმდინარე ჰოლიტიკური მოცვალეები წვდომის და ცენიერარულად გავზოგადების უნარები; ხალი შუაყყოს ხალგაზრდაზის ააღამირი აქტივოგის და სამოქალაქო ტვიტშაგების გავრდას თაორიული ცოდნის ჰრამიბიბაში რაღოგების გვით.

ისტორიული, გვიდოგინანი თანაცხოვრების ჰოლიტიკური გავრცელიღების გავრდასნიღებით ხალი შუაყყოს გავყოფ ხაზაზს მიღბა, საქარტვალოს გავყოფელი ნანიღების - აფხაუათისა და ცენიწელის რავირონის/სახრრათ ოსაღის დარჩენილ მოსახლეოგას-თან დანახოგის, მათი ჯაღიღღღღოგის გავგოგებაზის, იზოღაყიის შამვირების, ერთბავითისაგან დავოროგორბაღი ნავრების შირიბების ჰროგასს. ხალგთა დანახოგის ჰროგასში ხალგაზრდაზის აქტირარულ რაქთვიტ, დანახაროს მათ

ეკონეღიბების წარმოყენის მიზაუთა ჯვღაყაში, მიღბაღი ცოდნის საგვიდოგო მიზანებისტვის გავყოფაზი - თანბოღაბთან მავოგრული, ჰარბნიორული ურთიეროგების დამყარებაში, ინბეარულბარული დიღლოგების გავრტვაში, "გვიდოგის დანახათე" საახბიო მისიის შინსრულბაში. დანახული მიზანების და ამოცანების უზრუნველსაყოფად სკოღა:

აყალიბებას სასწავლო ჯგუფებს საზოგადოებრივ - ჰოლიტიკურ ჰროგასებში აქტირარულ მოწინელი გელაღი ააღამირი მოსწრების გქონე ხალგაზრდაზისგან (ქირიღაღად, სხვღასხვა უბელღისი სასწავლბაღის სბუღანბერი ტვიტმარტვალოგის, ჰოლიტიკური ჰარბიბების და ხალგაზრდაღი საზოგადოებრივი ორბანიწაყიების ლიღარტაგან);

უზრუნველსყოფს სკოღის სბუღანბებისტვის ჰოლიტიკური ცოდნის და სახელგინეფოგებრივი გავრცელიღების გავინარებას სასწავლო ჰროგასში იმ სახელგინეფო და ჰოლიტიკური მოღვაწეების რაქთვიტ, რომღაბივ ჰირაღად, უშაღოღ იღაბან ჰყაყენის წინაშე მდგარ უგინიგწველოგანეს ჰოლიტიკურ გელაყვაბიღებებს;

სბუღანბებთიბის ჰყაყანაში არსაბული ვითარების მაცნიერული ანაღოგის შეღვაგის გასაცნოგად სკოღა სასწავლო ჰროგასში იგვავს საქარტვალოსა და უცხოაღის ააღამირი წრების ჰვღაზა ტვალსარინო წარმოგადგენღებს, ცნობიღ ჰროფასოგ-განწავლბაღებს და ექსპარტებს;

ჰყაყენის წინაშე მდგარი ამოცანების გასაანაღოგბღად სკოღა მხარს უჭარს და ეხმარება გავისტრანბებს და დოქტორანბებს შარჩიონე ისაღი თარები, რომღაბივ განსაუბრებით აქბაღარანი ჰყაყენის მდგრღი გავნიტარებისტვის; იმავდროულად, ეხმარება მათ თარის დანახავების ჰროგასში შუაფარბაღად მიიღონ ყვღა საჯარო ინეფორმაცია და საჰროე ეონსულბაციები შესაბამისი სახელისუფლო სტრუქტურებისგან;

სამინისტროგბთან და უყვაბებთან თანავოგოგლიღით ავღანეს ნიჭიარ სახელგინეფო მოხელაებს ვისაც სურვიღი და შესაქლბაღოგები აქვთ ისწავლონ დოქტორანბარაში და ანღანეს ამ ჰროგასის ადგინისტრირებას; შამდგოგში, ეხმარება მათ, რათა მიღბაღი მაცნიერული ჯვღავის შეღვაგები (ეონწრბული რაქოგენღაციების სახიღ), აქტირარულ დანერგონ გავრტვალოგით საქმიანოგაში; აყყოგს სბუღანბებთა სბაქირებაზს შესაბამისი ჰროფიღის სამინისტროგსა და უყვაბებში; რაქოგენღაციას აქლავს გელაღი ააღამირი მოსწრებით და საზოგადოებრივი აქტირაროგით გავოგრულ სბუღანბებს და გავისტრანბებს სახელისუფლო სტრუქტურებში სააღრო რაქარვში რასარინებსად;

შინსწავლის საჯარო საგსახარო ადამიანერი რასარსების მარტვის ჰროგასების, საჯარო მოსახსახარათა ჰროფასიული მოგზაღების და ჯვღიფიბაციის არსაბულ დონეს, უზრუნველსყოფს საჯარო მოსახსახარათა ჰროფასიონაღოგის და ჯვღიფიბაციის ამაღლბების მიზნით ორბანიწაყიული და მათოღარი დანახარების გავწას;

სახელგინეფო სტრუქტურების წინაშე მდგარი ლოყალღარი ამოცანების ანაღოგის ჰროგასში ჰირბანებულად რთავს სკოღის გვოღე და დანიბეარესაბუღ სბუღანბოგას, რათა შამდგოგში, საშუაღაბა მიეყათ მათ წარგაბებით გავრკაღლონ ჯარირა საქარტვალოს საჯარო დანესაბუღებებში, ჰარბიულ და საზოგადოებრივ ორბანიწაყიებში;

სამეწინერო ჟარნალის „ქართული ჰოლიტიკა“ მავვიოგით გავოსყავს სკოღის სბუღანბების, ხალგაზრდა მაცნიერების და საჯარო მოხელაების საუბათსო მაცნიერულ ნაწროგებს და ავრყელაებს როგორც საქარტვალოგში, ისე უცხო ჰყაყანებში.